კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჯიუზე ვაჟა...

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
2 ივნისი,
2003 წელი
№142
(4521)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

პეტერბურგში

## ჯორჯ ბუში: ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს!

**ასე განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს.**



ეს მოხდა 31 მაისს, პეტერგოფში, სანკტ-პეტერბურგის 300 წლის საიუბილეო ზეიმზე.

შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უთუოდ ღირს, დაწვრილებით შევჩერდეთ ამ მოვლენითს ფაქტზე.

მაშ ასე, ექსპოზიცია: პეტერგოფი, პეტრეს დარბაზი. ჩრდილოეთის პალმირას საიუბილეო ზეიმის დამამთავრებელი აკორდი: 45 სახელმწიფოს ლიდერები მიწვეულნი არიან საზეიმო სადილზე, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მისმა მეუღლემ – ლუდმილამ მათ პატივსაცემად გამართეს. გამოსამშვიდობებელი ღონისძიებაა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ ერთი აქტი გაიმართება – შადრევნების დიდ კასკადზე ლამაზ თეატრალურ სანახაობას წარმოადგენენ მარინეს თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეები.

ეს იქნება მერე.

ახლა კი სტუმრებს დიდი სასახლის მეორე სართულზე „საცეკვაო დარბაზში“ აპერიტივზე მიიწვევენ.

ყველა ელოდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოჩენას, რომელიც ეს-ესაა ჩამოფრინდა პეტერბურგში პოლონეთიდან და წუთი-წუთზე უნდა შეუერთდეს ზეიმის მონაწილე კოლეგებს.

პრეზიდენტები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. საუბრობენ. განწყობილება, რა თქმა უნდა, დღესასწაულის შესაფერია.

ხომ ვთქვი, ელოდნენ-მეთქი, მაგარმ ჯორჯ ბუშის გამოჩენას არც მოულოდნელობის ეფექტი აკლდა, არც ემოციური მუხტი: სტუმრები ერთბაშად მიტრიალდნენ, მიჰყვნენ ამ ემოციურ ტალღას და რკალში მოიქციეს, გარშემოერტყნენ: „პეტრეს დარბაზში“ ზესახელმწიფოს ლიდერი შემოვიდა.

მისალმებები, კეთილი სურვილები.

ჯორჯ ბუში თითოეულს ხელს ართმევს, ადეკვატურად უპასუხებს მისასალმებელ კეთილ სიტყვებს, სულ რამდენიმე წამით, რაც ხელის ჩამორთმევას და მოკითხვას სჭირდება, ჩერდება თითოეულთან.

პრეზიდენტების ალყაში მოქცეული, იგი ენერგიულად მიჰყვება პროტოკოლით გათვალისწინებულ წესს, რომელიც თითქოს მარტივია, მაგრამ ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. უცებ ეს აწყობილი პროცედურა შეჩერდება, გაჩერდება მისალმებათა კონვეიერი: ინდოეთის პრემიერ-მინისტრის წინ მდგომი ბუში ედუარდ შევარდნაძეს შენიშნავს, მისკენ მოტრიალდება, ხელგაწვდილი გადმოჭრის დარბაზს და სიტყვებით:

იხ. მე-2 გვ.





შეხვედრა სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ იაკოვლევთან; საზეიმო რეგატა ნევაზე. ბესო კეზერაშვილის ფოტო.

თვალსაწიერი

## ალი და კვამლი ტელეეკრანზე და „რევოლუციის“ აჩრდილი პარლამენტის წინ

**გასული კვირა გარეთ – სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთვის ზეიმით იყო აღსანიშნავი, შინ კი – ფაქტობრივად ჩაშლილი პარლამენტის სხდომით, როცა ოპოზიციამ დარბაზი დატოვა და დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა შეთანხმებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ.**

მოკლედ, კითხვის ნიშნები არ გვაკლდება.

31 მაისის საღამოს ახალი თავსატეხი გაგვიჩნდა: ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გადმოსცა ცნობა, რომ სანკტ-პეტერბურგის ზეიმზე ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა იქ სახელდახელოდ გამართული დსთ ქვეყნების ხელმძღვანელთა სამიტის გადაწყვეტილებას რუსეთის სამშვიდობო ჯარის აფხაზეთში ყოფნის ვადის ერთბაშად 10 წლით გახანგრძლივების თაობაზე(?!)

„ღამის კურიერის“ ამ ცნობას უმალ მოჰყვა გაუგებრობისა და აღშფოთების ტალღა. ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ დაუყოვნებლივ ამგერა ტელემაყურებელს პრეზიდენტის მხილება მის „ახალ ღალატთან“ დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა კიდევ ერთხელ გამოიტირა მშობლიური მხარე, პარლამენტარმა ფიქრია ჩიხრაძემ კი აღშფოთებისგან სუნთქვის გაძნელების და ხმის აკანკალების მაგალითი წარმოადგინა.

იხ. მე-3 გვ.

ინტერპანორამა

**ერაყში** იპოვეს 300-ზე მეტი ქალისა და ბავშვის ნეშტი. სამმო საფლავში ძუძუთა ბავშვებიც არიან. ქალაქ კირქუქის ცოტა ხნის წინათ არჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საფლავი განეკუთვნება 1980-იან წლებს, როცა სადამ ჰუსეინის რეჟიმმა „ეთნიკური წმენდის“ კამპანია ჩაატარა.




**ისრაელმა** შეცვალა „დახურული პალესტინური ტერიტორიების“ რეჟიმი. ამას წინათ არიელ შარონსა და მაჰმუდ აბასს შორის მოლაპარაკებისას მიღწეული შეთანხმებით, „მწვანე მიჯნის“ იქით უპრობლემოდ შეიძლება გავიდეს ხოლმე 25 ათასამდე პალესტინელი.



**სამხრეთკორეულმა** საპატრულო კატარღამ ცეცხლი დაუშინა ჩრდილოკორეელთა თევზსაჭერ გემებს. ასეთი ინციდენტი ხშირად ხდება ყვითელ ზღვაში, რადგანაც ფხენიანი არ ცნობს გამმიჯვნელ ხაზს, რომელიც 1950-1953 წლების კორეის ომის შემდეგ დააწესა გაერომ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პეტერბურგში

# ჯორჯ ბუში: ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს!


წყლის და სინათლის ფერია პეტერგოფში.

## ასე განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს.

(პირველი გვერდიდან)

— გამარჯობა, ჩემო მეგობარო, — გულთბილად მიესალმება მას.

— მამაჩემი, ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი და მისი და თქვენი მეგობრები ყოველთვის მოკითხვას და კეთილ სურვილებს მაბარებენ თქვენთვის გადმოსაცემად. მე ამას სიამოვნებით ვასრულებ, — ასე დაიწყო ეს საუბარი ჯორჯ ბუშმა.

ედუარდ შევარდნაძემ მიულოცა მას გამარჯვება ერაყის სამხედრო კამპანიაში. ბუშმა დიდი მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ანტიერაყული კოალიციისათვის იმ ფონზე, როცა ზოგიერთს ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობასა და წარმატებაში ეჭვი ეპარებოდა.

ახლა უკვე სხვა სიტუაცია ჩამოყალიბდა და სხვა საკითხები წინ ფერი კარგად იქნება, — უდასტურებს ჯორჯ ბუში.

აშშ პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ როგორ ხორციელდება საქართველოში ამერიკული პროგრამები, უწინარესად, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ხოლო მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი შევარდნაძე უპასუხებს, რომ შედეგები სანიმუშოდ კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა ხელი შეუწყოს რეგიონში სტაბილურობის დამკვიდრებას და მადლობას ეტყვის დახმარებისათვის, განაცხადებს:

— ჩვენი მხარდაჭერა გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, რომ აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა მრავალმხრივი მიმართულებით განვითარდება და თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს!

ციული და ორივე მხარისთვის სასარგებლო.

ამ შეხვედრაზე განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე მთავარი არის სოჭში მიღწეული შეთანხმებების აუცილებელი შესრულება. „ამ შეთანხმებების ამოქმედების პროცესს თავად უნდა მივადევნოთ თვალი და ვაკონტროლოთ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ამ პროცესის დროს წარმოქმნილი დაბრკოლებების და პრობლემების ოპერატიულად გადასაჭრელად, ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და, საერთოდ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის თანმიმდევრული განვითარებისთვის მიზანშეწონილად მიიჩნიეს (ვლადიმერ პუტინის წინადადებით) ეგრეთ წოდებული „ცხელი სატელეფონო ხაზის“ ამუშავება.

პეტერბურგის საზეიმო პროგრამის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს შეხვდა.

ორივე პრეზიდენტის საერთო პოზიცია ასეთ ფორმულაში გამოიხატა: უკვე დადგა დრო და ყველა პირობა შეიქმნა საიმისოდ, რომ დიდმა ბრიტანეთმა ისტორიული როლი შეასრულოს კავკასიაში: უწინარესად, აქტიურად ჩაერთოს საქართველოში მიმდინარე პროცესებში, განსაკუთრებით კი, კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

ამ ჭრილში არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი ასეთი დეტალი: ეუთოს მისიის ხელმძღვანელად საქართველოში აქამდე ლაკომბი მუშაობდა, ახლა დანიშნულია დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, რომელიც მალე ჩამოვა თბილისში. ისიც საყურადღებოა, რომ ინგლისი ჯერჯერობით ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც უშიშროების საკითხებში სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს.

* * *

— სანკტ-პეტერბურგის საიუბილეო ზეიმზე წამოუსვლელობა არ შეიძლებოდა, — გვითხრა პრეზიდენტმა, — ჩვენ ვალი გვადევს ამ ქალაქის, რადგან სწორედ აქ სწავლობდნენ დიდი ქართველი მამულიშვილები და ერისკაცები, ისინი, ვინც სათავეში ჩაუდგა და ათწლეულების მანძილზე წარმართავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების ახალ სიმაღლეებზე ასვლა სწორედ ამ ქალაქთან არის დაკავშირებული.

ამიტომ ვიყავით ვალდებული ჩამოვსულიყავით პეტერბურგში.

და ერთგვარად წრე რომ შეიკრას, ბოლო შეკითხვა პრეზიდენტს:

— პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის შესახებ გვეტყვით რამეს?

— მხოლოდ იმას, რომ ეს იყო სახელმწიფოებრივად უაღრესად სასარგებლო და საჭირო შეხვედრა. თანაც საოცრად თბილი, ადამიანური, გულწრფელი და კაცური შეხვედრა.

ასეთივე საინტერესო და სასარგებლო იყო საუბრები ჩემს მეგობრებთან — თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან..

ისე რომ, სწორი გზით მივდივართ. თუ არ გადავუხვიეთ, რასაკვირველია...

მრავალმნიშვნელოვნად ამთავრებს, ეღიმება.

თბილისში დაბრუნებულებს გვხვდება ამბავი ერთი ალიაქოთის შესახებ, რომელიც ვიღაცას კოშმარულ სიზმარში უნახავს — საქართველომ ხელი მოაწერაო გადაწყვეტილებას აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მანდატის 10 წლით გაგრძელების შესახებ.

ტელევიზიით — პირველი არხით, „იმედით“ — ამ აბდაუბდას უკვე უპასუხეს.

მე არ გავაგრძელებ, რადგან უაზრობაზე არ დავობენ. „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტის რუსუდან ნიკურაძის გუშინდელი სიუჟეტის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ საკუთარი ფანტაზიით შექმნილი მონსტრებით შეშინება რომ დაგვიწყო, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

ესიზმრება და ეზმანება.

იმას კი ვიტყვი, რომ თუ ვერ არჩევ, რა განსხვავებაა 1992 წელს „რეპრესირებული ხალხების უფლებათა აღდგენის სფეროში დსთ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებასა (10 წლით იყო დადებული და იაროვმა მისი 10 წლით პროლონგაციის თაობაზე ილაპარაკა) და აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელებას შორის, საკუთარი დასკვნებისაგან თავი უნდა შეიკავო.

ცნობისთვის, დსთ აღმასრულებელი მდივნის მიერ დაყენებული საკითხის განხილვაში საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია.


დსთ პრეზიდენტების მეთაურთა არაფორმალური შეხვედრა ზეიმის პროგრამის ფარგლებში. ბესო კეზერაშვილის ფოტო. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
პეტერბურგი-თბილისი.

წამოიწია. ეს-ესაა ჩამოვედი პოლონეთიდან, სადაც დიდი გამოსვლა მქონდა. მთავარი აქცენტი ახლა ხალხთა შერიგებაა. (ბუშს მხედველობაში ჰქოდა ევროპაში ჩამოყალიბებული სიტუაცია, როცა ნაწილი ქვეყნებისა კოალიციას არ შეუერთდა, რამაც ევროპის სახელმწიფოთა შორის გარკვეული დაპირისპირება გამოიწვია).

ედუარდ შევარდნაძემ დაუდასტურა, რომ ასეთი კურსი ყოველმხრივ გამართლებულია და მნიშვნელოვანი, ხოლო მისი განხორციელება გადაუდებლად აუცილებელი. შედეგიც შესაბამისი იქნება.

— რასაც თქვენ ამბობთ, გარდუვალია. იმედი მაქვს, რომ ყველა-

* * *

პეტროგრადიდან გამოფრენის წინ პრეზიდენტ შევარდნაძეს ტრადიციული პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისთვის არ გაუმართავს — შუაღამეს გადაცილებული იყო: საიუბილეო, ისედაც გადატვირთული პროგრამა, უსაშველოდ გაგრძელდა.

სახელდახელო (ილ-62-ის აფრენამდე) შეხვედრის დროს მან მხოლოდ ის მთავარი მომენტები აღნიშნა, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო,

საქართველოს პრეზიდენტმა, უწინარეს ყოვლისა, დაასახელა ჯორჯ ბუშთან შეხვედრა. შემდეგ — რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან საუბარი და იგი შეაფასა, როგორც კონსტრუქ-

**31 მაისს, დილით სახელმწიფო მეთაურები კატარღებით „კონსტანტინეს სასახლეში“ გაემგზავრნენ, რათა დასწრებოდნენ მისი გახსნის საზეიმო ცერემონიას.**

**შემდეგ სტუმრები ქალაქ პუშკინოში მიიწვიეს, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის სახელით გაიმართა ოფიციალური საუზმე.**

**საუზმის დასრულებისთანავე, ლიდერები სახელმწიფო ერმიტაჟში გაემგზავრნენ და დაათვალიერეს გამოფენა — „პეტრე პირველი — პეტერბურგის დამაარსებელი“.**

**ყველა სტუმარი დატკბა მდინარე ნევაზე გამართული სადღესასწაულო წარმოდგენით, რომელიც გახსნა რუსეთის პრეზიდენტმა.**

**მან მოწვეულთ კიდევ ერთხელ გადაუხდა მადლობა პეტერბურგში ჩამობრძანებისათვის, ყველას მიულოცა დღესასწაული და ყურადღება მიაპყრო პეტრე პირველის მიერ დაარსებული ქალაქის ისტორიულ მნიშვნელობასა და მის როლს მსოფლიო კულტურის განვითარებაში.**

**31 მაისს საქართველოს დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით თბილისს გამოემგზავრა.**

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მისალმება

# გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს – 1 ივნისს!

ჩემო პატარებო,

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! ეს დღე ხომ მთელი პლანეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მათი უკეთესი მომავლისათვის ზრუნვის გამოხატულებაა.

დროის ბორბალი ისე სწრაფად ტრიალებს და მიქრის, რომ მიუხედავად ჩემს თავზე გამოვლილი ქარტეხილებისა, თითქოს გუშინ ვიყავი თქვენხელა. ჩვენ ყველა ხომ საოცნებო ქვეყნიდან – ბავშვობიდან მოვდივართ, ამიტომ პირველი ივნისი ყველასთვის საერთო ზეიმია.

თქვენ ბედნიერებისთვის, ზღაპრული ცხოვრებისთვის ხართ გაჩენილი. რას გიმზადებთ მომავალი?! – ყოველივე კარგსა და განსაცვიფრებელს – ახდენილ ოცნებებს, წარმოუდგენელ მეცნიერულ აღმოჩენებს, ჩვენ ზურმუხტ დედამიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ურთიერგაგაგებასა და სიყვარულს...

ჩვენი მომავალი თქვენ, ჩვენი შვილები, ხართ, რომლებზედაც უფროსები დღენიადაგ ვზრუნავთ და მაინც, ჩვენი ყველაზე დიდი საფიქრალი ის მუდმივი განძია, რომელსაც დამოუკიდებელი და თავისუფალი სააქართველო ჰქვია. ეს განძი რომ არ დაგვიქანგდეს, შრომა და გარჯა ნუ დაგვზარდება, მოვა დრო და საქართველო გამთლიანდება, გაბრწყინდება; ის ხომ უკვე მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მენდეთ, ასე იქნება...

ბუნების კანონია – ხშირად, ძალიან ხშირად, ცუდს კარგისკენ შემოაბრუნებს, მით უმეტეს თუ ეს ხალხის ურყევი ნება იქნება... ჩემო სათაყვანებელნო, ცხოვრება, ჩვენი წილხვედრი, ძნელად სავალია და ამ გზაზე, უეჭველია, ნებსით თუ უნებლიეთ, ვცოდავთ. ამიტომ მოვმართოთ ყველას დადებითი ენერგია და ვისწავლოთ ურთიერთდაფასება, მეგობრობა, დავგმოთ ცილისწამება და ჭორი, დავძლიოთ სიხარბე და ეგოიზმი. ღმერთმა მოგვცა ნიჭი სათნოებისა და სიყვარულისა. მაშ, ფართოდ გავახილოთ თვალი, შევისისხლხორცოთ სინათლე და სითბო ურთიერთმიტევებისა და სიკეთისა.

ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგვიშალოს და სამშობლო გვიცოცხლოს!

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გლოცავთ, თქვენ, საქართველოს მომავალნო!

**ნანული შევარდნაძე,**
საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტი, გაზეთ „მშვიდობა ყოველთას“ მთავარი რედაქტორი.



## ინფორმაცია

### სტამბოლში ეკლესია გაიხსნება

საქართველოს წარმომადგენლობისთვის, დიპლომატებისა და მათი ოჯახებისთვის სტამბოლში ეკლესია გაიხსნება, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად შესრულდება. ამის შესახებ მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოს მეორემ კაბადოკიაში ვიზიტად მყოფ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს განუცხადა.

როგორც „ინტერ-პრესს“ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტმა მამა ზენონმა უთხრა, ბართლომეოს მეორე ქართველებს ბერძნულ ეკლესიას დაუთმობს. „ქართული ეკლესიის ასამოქმედებლად მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების ნებართვაა საჭირო“ – აღნიშნა მამა ზენონმა.

### ქართველი მეფეების ნეშტებს აგვისტოში გადმოასვენებენ

ქართველი მეფეების – ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის ნეშტებს საქართველოში აგვისტოში გადმოასვენებენ. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ განუცხადა. მისი თქმით, ნეშტების გადმოსვენებასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს აქვს როგორც რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის, ისე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის წერილობითი ნებართვა.

### ფილიალების შემოწმებას იწყებენ

„საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებული ამერიკელი მენეჯერები ფილიალების შემოწმებას იწყებენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დევიდ სორნტონმა განუცხადა, ფილიალებში არსებული მდგომარეობის გამოძიების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმევა.

„მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ რაიონებში ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი სწორედ ფილიალებიდან ცენტრალურ ანგარიშზე თანხის გადმოურიცხაობაა. ამის გამო, ჩვენ ვერ ვახერხებთ საბითუმო ბაზარს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადავუხადოთ. შესაბამისად, ბაზარი ელექტროენერგიის მოწოდებას გვიზღუდავს“ – განაცხადა სორნტონმა.

### მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯანში მდებარეობს

თბილისში გუშინ დილით, დაფიქსირებული 3-4-ბალიანი მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯანში, იურდანის ოლქში მდებარეობს. როგორც „ინტერ-პრესს“ სეისმოლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა ზურაბ ჯავახიშვილმა განუცხადა, ქართველი სეისმოლოგები უკვე დაუკავშირდნენ აზერბაიჯანელ კოლეგებს, რომლებმაც აცნობეს, რომ აზერბაიჯანში მიწისძვრა 7 ბალს შეადგენდა.

ჯავახიშვილის თქმით, თბილისში მომხდარი მიწისძვრა არ იყო იმდენად ძლიერი, რომ რაიმე სერიოზული ნგრევა გამოეწვია დედაქალაქში, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ისედაც ავარიული სახლები, კიდევ უფრო დაზიანებულიყო.

### ცივილიზებულ ფორმას იძენს

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მართვის ცივილიზებულ ფორმაზე გადადის. საქართველოს პარლამენტში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებათა პაკეტი, სატრანსპორტო ადმინისტრაციების დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიებად გარდაქმნას ითვალისწინებს.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის სტატუსის შეძენის შემდეგ, სატრანსპორტო ადმინისტრაციებს ამ დარგში სატარიფო პოლიტიკის დამოუკიდებლად რეგულირების ფუნქცია მიენიჭებათ. მათ საკუთარი ნორმატიული აქტების მიღების უფლება მიეცემათ, რითაც მომხმარებელთა უფლებების უფრო უკეთ დაცვას შეეცდებიან.

ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებს თუ აქამდე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი ნიშნავდა, მათს თანამდებობებზე მოსვლას, ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი გადაწყვეტს. შესაბამისად, ადმინისტრაციებიც ანგარიშვალდებულნი მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე იქნებიან.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ავტორთა აზრით, ადმინისტრაციების დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებად გარდაქმნის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტი წლიურად 1,5 –1,6 მილიონი ლარის შეღავათს მიიღებს.

### გაქცეული პატიმრების რაოდენობა და ვინაობა დაადგინეს

თბილისის მე-5 საპყრობილედან გუშინწინ გაქცეულ პატიმართა ზუსტი რაოდენობა და ვინაობა გუშინ ნაშუადღევს გახდა ცნობილი. საპყრობილე 16-მა განსაკუთრებით საშიშმა დამნაშავემ დატოვა.

როგორც „ინტერ-პრესს“ სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურში განუცხადეს, გაქცეულ პატიმართა შორის არიან: 6-ჯერ ნასამართლევი ე.წ. კანონიერი ქურდი დავით გამყრელიძე, მეტსახელად „სიო“, იგი ამჟამად სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა; 3-ჯერ ნასამართლევი დავით სიხარულიძე, ამჟამად განზრახ მკვლელობისთვის დაკავებული, ზურაბ კანდელაკი – ხულიგნობისთვის მსჯავრდებული, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, ალექსანდრე კობალაძე და ზვიად ჩხაიძე ნარკოდანაშაულისთვის არიან დაპატიმრებულები; ლაშა ჯავახაძე – თაღლითობისთვისაა გასამართლებული, გოჩა გოლეთიანი, გივი მღებრიშვილი, კობა ლომიძე კი – ყაჩაღობისთვის, გიორგი ფახურიძე და ირაკლი კაჭარავა – ქურდობისთვის, ვალერი ბერუაშვილი – ძარცვისთვის; 4-ჯერ ნასამართლევი გოჩა ბარნაბიშვილი და რამინ ეფრემენკო – კოლონიიდან გაქცევისთვის; გისიონ ხაბულიანი მკვლელობის გამოა დაკავებული; მერაბ სამსონიას კი მკვლელობისთვის 17 წელი აქვს მისჯილი.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს კინომხატვარი ირინე ქურთიშვილი.**



### ქვეყნისთვის

– უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ბოლო 9 წლის მანძილზე ძალიან ხშირად მიხდება გერმანიაში ყოფნა, სადაც ძირითადად ვსაქმიანობ. ასევე ხშირად მიხდება სხვადასხვა ქვეყანაში მოძრაობა და ამ გადმოსახედიდან განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, დამოუკიდებლობის არსი და ხიბლი. მე – საქართველოს მოქალაქეს არანაირი ბარიერი არ მხვდება, პირიქით კი, ძალიან ხშირად, – დახმარებაც, ჩემთან თანამშრომლობის სურვილიც, ნდობის ფაქტორიც ხშირად დამაფიქრებს ხოლმე დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. თავისუფალ ქვეყანას თავისუფალი სული მოაქვს ადამიანისთვის.

### ჩემთვის პირადად

– გერმანიაში ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება უკავშირდება კინოპროდუქციის მწარმოებელ „მედეა ფილმს“, რომელსაც მე და ჩემი გერმანელი კოლეგა-კომპანიონი მათიას ჰაები ვხელმძღვანელობთ.

საქართველოში შარშან პირველად გავმართეთ გერმანული ფილმების კვირეული. ამ არაკომერციული პროექტის შედეგმა ცხადყო, რომ ქართველი მაყურებლები და საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე გერმანულენოვანი პიროვნებები ძალიან დაინტერესდნენ ჩვენი ინიციატივით და კმაყოფილიც დარჩნენ. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ მსგავსი აქცია წლეულსაც ჩაგვეტარებინა. 8 თვის მუხლჩაუხრელი შრომის, ინტენსიური მზადების, უძილო ღამეების შედეგი გუშინ გაცხადდა – საზეიმოდ გაიხსნა გერმანული ფილმების რიგით მეორე კვირეული. კვირეულის პროგრამით უჩვენეს 10 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო ფესტივალებზეა პრემირებული.

ვისარგებლებ შემთხვევით და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან კიდევ ერთხელ გამოვხატავ მადლიერებას გერმანული ფილმების კვირეულის მხარდამჭერი ყველა ორგანიზაციის და კერძო პირის მიმართ, რადგან მათი თანადგომის გარეშე ჩვენს ჩანაფიქრს ვერ განვახორციელებდით.

## თვალსაწიერი

# ალი და კვამლი ტელეეკრანზე და „რევოლუციის“ აჩრდილი პარლამენტის წინ

(პირველი გვერდიდან)

მადლობა ღმერთს, **„რუსთავი-2“-მა** პარლამენტისა და ცისფერი ეკრანის სხვა ტრადიციული ლომები აღარ გამოიყვანა, თორემ, დარწმუნებული ვარ, იმ ღამეს საქართველოში არავის დაეძინებოდა.

კიდევ კარგი, **„რუსთავი-2“-ით** გადაცემული ცნობა არ დაადასტურა სანკტ-პეტერბურგში მყოფმა ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტმა, ასეთი რამ არ გამიგია, რომ ყოფილიყო, აუცილებლად შევიტყობდიო. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ ამ ინფორმაციას მონაჭორი და დეზინფორმაცია უწოდა. ბოლოს ეს ცნობა უარყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

მაგრამ ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო, ხომ გაგიგიათ, „ტელევიზიით ითქვა“ და წადი და ახლა დააჯერე ის ადამიანები, რომლებსაც ხელისუფლების ნდობა აქვთ დაკარგული, რომ ეს იყო ჯერ უკრაინის პრეზიდენტის, მერე კი ჟურნალისტთა შეცდომის შედეგი.

სრულიადაც არ ეთქმით საყვედური ბატონებს დავით გამყრელიძეს, თამაზ ნადარეიშვილს და ქალბატონ ფიქრია ჩიხრაძეს თავიანთი მრისხანე ტირადებისთვის, რადგან რუსეთის ჯარის აფხაზეთში ყოფნის ვადის ათი წლით გახანგრძლივების ცნობა ნებისმიერს გამოიყვანდა წყობიდან და მწარე-მწარე სიტყვებს ათქმევინებდა. ოღონდ, ეს კია: პოლიტიკოსთ მეტი დაკვირვება მართებთ, რათა ასეთი „ზესენსაციური“ ცნობა უმალ არ გახადონ საქვეყნოდ სამსჯელოდ. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ რამეზე დათანხმება ედუარდ შევარდნაძეს, რა გინდ „ხელისუფლებას ებღაუჭებოდეს“, არ შეიძლებოდა თავში მოსვლოდა. მას ყველაფერი რომ დააბრალონ ოპონენტებმა, ჭკუის ნაკლებობას ვერ დააბრალებენ. ჰოდა, პირველ ყოვლისა შევარდნაძემ იცის, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მას სწორედ რომ ხელისუფლების დაკარგვად დაუჯდებოდა.

ანდა, ბატონი დავით გამყრელიძე რომ ალსა და კვამლს უშვებდა პირიდან, საინტერესოა, ამ „ღალატით“ მაინც როგორ უნდა შეენარჩუნებინა ხელისუფლება შევარდნაძეს, რუსის ჯარს ჩაიყენებდა თბილისში?

მაგრამ ბატონი დავითი თუ გუშინწინ აფრქვევდა ცეცხლს, ასე ვთქვათ „ცხელ კვალზე“, ბატონი ზურაბ ჟვანია გუშინ ავსიტყვაობდა, ოღონდ არა ინერციით, არამედ – გამიზნულად, უბრალოდ, მომენტი ხელიდან არ გაუშვა.

როდესაც გერმანელები მოსკოვს მიადგნენ და დედაქალაქს დაკარგვის საშიშროება დაემუქრა, სტალინთან შევიდა აქოშინებული ხრუშჩოვი და მოახსენა, ფაშისტები ერთ საათში აქ იქნებიან, დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ მოსკოვიდანო. სტალინმა უბრძანა: მარცხნისაკენ, ნაბიჯით იარ! და როდესაც ხრუშჩოვმა შუბლი კედელს მიადო, მუშაობა განაგრძო. გავიდა ერთი საათი. „ნიკიტა, სად არიან გერმანელები“? – მშვიდად ჰკითხა სტალინმა კუთხეში ატუზულ ხრუშჩოვს...

ნამდვილი ამბავიაო, ამბობენ, ისე კი, ღმერთმა იცის. მთავარი აქ ის არის, რომ სტალინი პანიკურ და გადაუმოწმებელ ცნობებს ჰაიჰარად არ იჯერებდა. სტალინი იყო და იმიტომ.

რა თქმა უნდა, ჩვენს პოლიტიკოსებს სტალინის გამჭრიახობას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ელემენტარული ლოგიკური ანალიზის უნარი კი აუცილებლად მოეთხოვებათ. მაშინ რის პოლიტიკოსები არიან?

ისე, პირდაპირ ცის მანანად კი მოევლინა ეს ინფორმაცია ჩვენს ოპოზიციას, რომელიც 3 ივნისს ქუჩაში აპირებს გამოსვლას: „ხალხთან ერთად“ გადაუწყვეტია იმ საკითხების მოგვარება, რასაც პარლამენტში ვერ აგვარებს.

აქ თავისთავად ჩნდება კითხვა: ეს არ არის ზეწოლა, ხელისუფლების იძულება, მიაღებინოს თავისთვის სასურველი გადაწყვეტილება?

ჩვენ ჩამოვივლით ყველა რაიონსა და სოფელს, ავტობუსებით ჩამოვიყვანთ ხალხს და პარლამენტის წინ დავაყენებთო, აცხადებენ. გინდაარგინდა, ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ოპოზიციას ყურადღების მისაპყრობად სხვა საშუალება არ დარჩენია, რომ ისინი საარჩევნო კამპანიის დამოუკიდებლად ჩატარების გზას ვერ ხედავენ.

ნუთუ იქვე ვბრუნდებით, საიდანაც დავიწყეთ? აღარ დამთავრდა ქუჩის აქციები, რომლებიც შეიძლება „რევოლუციად“ იქცეს? არაფერი გვასწავლა გუშინდელმა დღემ?

ნუთუ საქართველო მართლაც ვერ შედგა, როგორც სახელმწიფო, სადაც პარლამენტის ორ ფრთას შორის უთანხმოების დაძლევა თვით პარლამენტში ხდება? აუცილებლად კიდევ სისხლი და ომი გვჭირდება, რომ სახელმწიფოდ ვიქცეთ?

**ალეკო ასლანიშვილი.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 142, ორშაბათი, 2 ივნისი, 2003 წელი.

## ემიგრანტის პოლიტიკური პორტრეტი

1918 წლის 26 მაისი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობის დღეა. — გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქვეყანა კვლავ გახდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, შექმნა საკუთარი სხაელმწიფო. ამ დღეს, როგორც გადმოგვცემენ, ერთად იყვნენ ნოე ჟორდანია და კოტე აფხაზი, გიორგი ლასხიშვილი და სპირიდონ კედია, რაჟდენ არსენიძე და შალვა ამირეჯიბი, — დამოუკიდებლობის აქტის შემქმნელნი, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

ეს წერილი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ იუსტიციის მინისტრს რაჟდენ არსენიძეს, რომელსაც უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში, ვინაიდან დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ავტორი სწორედ ის არის.

რაჟდენ მათეს ძე არსენიძე დაიბადა ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთში 1880 წლის 14 ოქტომბერს. დამთავრებული ჰქონდა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა აქტიურ სამწერლო-პუბლიცისტურ საქმიანობას. სწორედ უნივერსიტეტში სწავლისას გაცნობია იგი პოლიტიკურ ლიტერატურას და მალე უნივერსიტეტში რევოლუციურად განწყობილი წრის ხელმძღვანელი გამხდარა. თავის მერმისისათვის დიდი პოლიტიკოსისა და ღრმა დიაპაზონის პუბლიცისტისათვის უმაღლესი იმპერატივი დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ მიმავალი გზების ძიება იყო. ამიტომაც გადავიდა საცხოვრებლად გერმანიაში, და „ამერიკის ხმის“ მიუნჰენის რადიოს „ქართულ ბიუროში“ დაიწყო მუშაობა. უდიდესი სიამაყე შეუდგებოდა მოხუცი მამულიშვილის გულს, როცა რადიოეთერს მიუჯდებოდა და თავისი ომახიანი ხმით შორეული გერმანიიდან თავის ხალხს აწვდიდა ობიექტურ ინფორმაციას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და ცდილობდა „კომუნისტურ ნაჭუჭში“ გამომწყვდეული ერისათვის თავისუფლების მოპოვების ჟინი გაეღვიძებინა. რ. არსენიძეს ღრმად სწამდა, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აკეთებდა საქართველოში, „ეს იყო — მთელი ერის შეურაცხყოფა, მისი სულის, ისტორიული შეგნების, თავმოყვარეობის, მისი ეროვნული ღირსების დაცინვა“.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი— საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი გახდა. საქართველოს დამოუკიდებლობლის აქტმა, რომელიც რაჟდენ არსენიძის უშუალო მონაწილეობითა და



# როგორ მზადდებოდა დამოუკიდებლობის აქტი

პუბლიცისტურ წერილებში აყალიბებდა პოლიტიკისა და სამართლის სოციალურ კონცეფციებს, ცდილობდა რუსეთის იმპერია ემხილა არსებული მმართველობის სიყალბეში.

რაჟდენ არსენიძის პიროვნებაში განსახიერებული იყო საქართველოს უზომო სიყვარული და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის აუცილებლობა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო მისი ცხოვრების სულიერი მუხტი. რაჟდენ არსენიძისათვის უმაღლესი იდეა და მიზანი გახლდათ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება, ამიტომაც დაუღალავად იბრძოდა კონსტიტუციის მიღებისათვის. ჯერ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, ხოლო 191 წლის 19 თებერვლიდან — დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. რ. არსენიძის სამართლებრივად დასაბუთებულმა დებულებებმა დიდი გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო კომისიის წევრებზე და ამიტომ 1921 წლის კონსტიტუციის ზოგიერთი თავის შედგენა მას დაევალა. 1920 წლის 20 თებერვლიდან რაჟდენ არსენიძე ხდება სამთავრობო კოალიციის წევრი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად აირჩიეს.

რაჟდენ არსენიძემ ემიგრაციაში გაატარა თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი, ემიგრანტული ცხოვრების მწარე ხვედრი მასში უკიდურეს პროტესტს იწვევდა საქართველოში გაბატონებული რეჟიმის — „პროვინციული ბოლშევიზმის“ მიმართ: მისი მსოფლმხედველობითი თვალსაზრისი დასავლური მენტალიტეტის ფარგლებში ჯდებოდა და თავის პუბლიცისტურ წერილებში სამარცხვინო ბოძზე აკრავდა საბჭოთა კოსმოპოლიტურ აზროვნებას. რ. არსენიძე ქართულ ლიტერატურაში ღრმად გაცნობიერებული ადამიანი იყო, დაუღალავად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებისათვის, იყო მისი უპირველესი ომბუდსმენი. მისი თაოსნობით პარიზში გამოდიოდა ჟურნალი „სოციალისტური აზრი“. რ. არსენიძეს სული ეხუთებოდა, როცა უცხოეთიდან ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. საქართველოს უკეთესო ინიციატივით იყო შედგენილი, ფაქტობრივად განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია და მისი ინტეგრაცია მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში. ნიშანდობლივია ის, რომ დამოუკიდებლობის აქტის იურიდიული კონსტრუქცია აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის თემა იყო მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი ყოფილა — რაჟდენ არსენიძისა და გიორგი გვაზავასი. ამდენად მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიტანო რაჟდენ არსენიძის სიტყვა, სადაც დამოუკიდებლობლის აქტის მომზადებაზეა საუბარი, იგი 1958 წლის 26 მაისს დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს დროშაში“ (სტილი დაცულია):

„...სეიმმა შეძლო შინაური წესიერების დაცვა და ოტომანის საზღვრებიდან წამოსული გაბოლშევიკებული ჯარისაგან მოსალოდნელ დარბევას ქვეყანა ააცდინა, მაგრამ რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ საგარეო ორიენტაციის საკითხებმა და გარეშე ძალების ზეგავლენამ კავკასია ერთობის გზას გადააცდინა და მოშალა იგი. ასეთი მძიმე პირობებში 25 მაისს 1918 წელს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ყველა პარტიების, თვთიმმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი — დაადგინა გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, გაიჩინოს საკუთარი მმართველობა, რომ მტერსა და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაევალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს, ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობდით, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავზე აიღო ამ ისტორიული აქტის გამოცხადება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; გასაკეთებელი კი ბევრია, საჭიროა გამოინახოს ძირითადი მოტივები რუსეთიდან გამოყოფის, აუცილებელია აქტი შეიცავდეს არსებით პრინციპებს, რომელზედაც იქნება აგებული ახალი სახელმწიფო ქართველი ერისა. უნდა აღინიშნოს უფლებები ახალდაბადებული მოქალაქის, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას, მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითოეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს, ბრძოლა და ჯახი თავდება დიდი გულმოდგინებით, მორიგობით, ერთსულოვნებით, რაც მიღებულია — მიღებულია. განხეთქილებასა და გულნაკლობას აქ, ამ დიადი გადაწყვეტილების მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი! ამას ვგრძნობთ ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტადან 72 საათის ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამოზედ გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი არა აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული — ყარსის, ბათუმის, არდაგანის ჩამოცილებით გვემუქრება.

ყველა პარტიაში ერთსულოვანი თანხმობაა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში, მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა და სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც უზომოდ დიდი გავლენა აქვს მთელ ერში — შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ხალხთან ახლოს არიან. ყველა კუთხიდან, ყველა ქალაქიდან, ყველა ბაზრიდან მოდის ერთსულოვანი პასუხი: „თანახმა ვართ! თქვენთან ვართ! დამოუკიდებლობა საქართველოს! ასეთივე პასუხი მოდის ყველა სხვა პარტიებიდანაც. ამგვარად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იგებს პირველ რეფერენდუმს.

ეს იყო 25 მაისს, 1918 წელს — დღით შაბათის, კომისიაში მოგვდის ეს ცნობები, გვიხარია და მეტის ენერგიით ვაგრძელებთ მუშაობას. შეღამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ, ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენიდან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოოდ ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღდეზე ვამთავრებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე 2 წევრი გიორგი გვაზავა და პავლე საყვარელიძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისგმებლო საქმე! ნაშუადღევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში.

ღრმა განცდებით, მაგრამ უდრეკი რწმენით და გაბედულებით ვუდგებოდით ორი ათასი წლის დამოუკიდებლად არსებობის განახლების მომენტს — 117 წლის უსახელმწიფოდ ყოფნის შემდეგ. დიდია ჩვენი განცდა, დღესაც როცა ამ წამებს ვიგონებ, მაშინ ერმა თავისი გაიტანა! საფრთხისაგან თავი იხსნა, მით რომ თავისი თავის პატრონი გახდა! გვწამს საქართველო დღესაც იხსნის თავის თავს კომუნიზმის უმსგავსო თარეშისაგან, ოღონდ ჩვენ ვიყოთ მთლიანი, ერთსულოვანი, ხელიხელ ჩაკიდებულნი, ამას გვავალებს ისტორიული მომენტი. ამას მოელის ჩვენგან მშობელი ერი. „ერთობა ჩვენთვის ტაქტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“.

გაუმარჯოს 26 მაისს!“

გიორგი ქობალია,
თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „სტუდენტთა სამეცნიერო აკადემიის“ ვიცე-პრეზიდენტი.

## ფინანსები

# საინვესტიციო პერსპექტივის თვალსაზრით ექსპერტები MICROSOFT-ის აქციებს გამოყოფენ

**26 მაისი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთშიც გამოსასვლელი დღე იყო. შეერთებულ შტატებში ამ დღეს ხსოვნის, ხოლო ინგლისში ბანკის დღეს აღნიშნავდნენ. ასე, რომ მსოფლიოს უმსხვილესი საფინანსო ბაზრები გასული კვირის ორშაბათს დღესასწაულის გამო დაკეტილი იყო.**

**ახალი კვირის ათვლა შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე სამშაბათს დაიწყო და მძლავრი რალით აღინიშნა.**

თითქმის 3%-ით გაიზარდა ტექნოლოგიური სექტორის კომპანიების აქციები, ხოლო ეკონიმიკის ტრადიციულ სექტორში კომპანიების აქციებზე კოტირებების ზრდამ დაახლოებით 2.1% შეადგინა. Dow Jones-ის ინდექსი 179.97 პუნქტით გაიზარდა 8781.35 მაჩვენებლამდე, მაღალტექნოლოგიების Nasdaq-ი 46.60 პუნქტით 1556.69-მდე. ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე 1.5 მლრდ. აქცია შეადგინა. გაზრდილი აქციების მოცულობამ დაცემულს გადააჭარბა შეფარდებით 23/10-თან.

აღებული სტარტი საფონდო ინდექსებმა მომდევნო დღეებშიც გააგრძელეს. „ცისფერი კოჭების“ ინდექსი კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, 2002 წლის 2 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალ, ხოლო Nasdaq-ის ინდექსი 2002 წლის მაისის შემდეგ მაქსიმალურ მაჩვენებელზე დაფიქსირდა.

გასული კვირის განმავლობაში ტრადიციული ეკონომიკის სექტორში აქციებზე კოტირებების ზრდის მიხედვით ლიდერები შემდეგი კომპანიები აღმოჩნდნენ: Citigroup, American Express, Hewlett-Packard, McDonald`s და Walt Disney.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, მიუხედავად, აპრილის შუა რიცხვებიდან შეერთებული შტატების აქციების ბაზრებზე დაწყებული აქტიური რალისა, ინვესტორები, რომლებიც ფსონს საფონდო ბაზრის მყარ ზრდაზე აკეთებენ, ჯერჯერობით კვლავ იმედგაცრუებულნი არიან აქციების მაღალი ვოლატილურობის გამო. როგორც მრავალწლიანი დაკვირვება მოწმობს, ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში აქციების ბაზარი ზრდას აფიქსირებს, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად მატულობს. და თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, შეერთებული შტატების ეკონომიკას ჯერ კიდევ არ განუვითარებია მოსალოდნელი სტარტი, საქმიანი კლიმატის გაუმჯობესება აშკარად სახეზეა.

ექსპერტთა აზრით, ინვესტორებმა, რომელთა პორტფელი გრძელვადიან ზრდაზეა ორიენტირებული, ყურადღება პირველ რიგში იმ კომპანიებს უნდა მიაქციონ, რომლებიც მნიშვნელოვან თანხებს აბანდებენ თავიანთი ბიზნესის განვითარებაში, განსაკუთრებით კი კვლევებისა და ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში. ცხადია, კვლევებსა და ტექნოლოგიების დანერგვაში ჩადებული ინვესტიციების დიდი მოცულობა, არ შეიძლება მომავალი წარმატების უტყუარ გარანტად ჩაითვალოს, მაგრამ კომპანიათა უმრავლესობა, რომლებიც მსხვილ თანხებს აბანდებს ამ სფეროში იმ წარმატებული დარგების ლიდერებს წარმოადგენენ, რომლებიც ზრდის გაცილებით მაღალ ტემპებს ავითარებენ, ვიდრე მთლიანად ეკონომიკა. ასეთი კომპანიის ხელმძღვანელები ფსონს ძირითადად წარმოებისა და შემოსავლების ზრდაზე აკეთებენ და არა ხარჯების შემცირების გზით მოგების მატებაზე. ამასთან, ფართომასტაბიანი დაბანდება კვლევებსა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში, როგორც წესი მათ მიერ სოლიდური საფინანსო რესურსების არსებობას ადასტურებს.

კვლევების განვითარების სფეროში ყველაზე აქტიური ინვესტიციების მქონე კომპანიების გამოსავლენად Maney Magazine-ის ექსპერტებმა ანალიზი ჩაუტარეს უმსხვილესი ამერიკული კომპანიების საფინანსო მონაცემებს, რომელთა როგორც შემოსავალი, ისე კაპიტალიზაცია 5 მლრდ. დოლარს აჭარბებს. აქედან შეირჩა ის კომპანიები, რომლებსაც კვლევების წარმოების სფეროში ყველაზე მაღალი ხარჯები აქვთ, საერთო შემოსავლების 10%, ანუ სულ ცოტა წელიწადში 1 მლრდ. დოლარი. რეზულტატში სიაში 11 კომპანია აღმოჩნდა, ესენია: Applied Materials, Amgen, Eli Lilly, Texas Instruments, Cisco Systems, Microsoft, Intel, Psizer, Wyeth, Oracle, Johnson & Johnson. ის ფაქტი, რომ ყველა ჩამოთვლილი კომპანია მხოლოდ ორ სექტორს ფარმაცევტულსა და ტექნოლოგიურს განეკუთვნება, ექსპერტთა აზრით, გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. გეოპოლიტიკური დაძაბულობის და აქედან გამომდინარე, ყველა სახის გაურკვევლობის მიუხედავად ფარმაცევტული და ტექნოლოგიური სექტორის კომპანიების ხელმძღვანელები მზად იყვნენ ჩაედოთ სახსრები იმაში, რასაც წარმატების საწინდრად მიიჩნევდნენ.

საინვესტიციო პერსპექტივის თვალსაზრით, ექსპერტები პირველ რიგში Microsoft-ის აქციებს გამოყოფენ, რომელიც წელიწადში დაახლოებით 4.3 მლრდ. დოლარს ხარჯავს კვლებსა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავების საქმეში, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის.

ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ **სავალუტო ბაზარი** ბოლო პერიოდში თითქმის არ რეაგირებდა ამერიკული აქციების ბაზრის ზრდაზე, სამშაბათს Dow Jones-ისა და სხვა ძირითადი საფონდო ინდექსების თავბრუდამხვევმა რალიმ, ვალუტის ტრეიდერები ევროზე მოგების ფიქსაციის გუნებაზე დააყენა.

ფორექსის ბაზრის მონაწილეთა თქმით, ამერიკული აქციების ბაზრის ზრდა ძალიან შთამბეჭდავი იყო იმისათვის, რომ სავალუტო ბაზარს მისი იგნორირება მოეხდინა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ევროს კურსის ასეთი მაღალი „ფრენის“ გათვალისწინებით, რომელმაც ბაზრის მონაწილეებში ცოტა არ იყოს ზედმატად გადახურების აზრი დაბადა. სამშაბათს, საღამოს ნიუ-იორკის სავალუტო ბაზარზე ამერიკული ვალუტის კურსმა ცოტათი აიწია რეკორდულად დაბალი დონიდან და ევრო/დოლარის კურსი 1.1830 მაჩვენებელზე განისაზღვრა.

ევროზე მოგების ფიქსაციის სურვილი ფორექსის ბაზრის მონაწილეებში მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა, შედეგად, ევროს კურსი დოლართან მიმართებაში 1.18-ის მაჩვენებლის ქვემოთ ჩამოვიდა და კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, 1.174-1.178 დიაპაზონში განისაზღვრა.

იხ. მე-6 გვ.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ლიტერატურული წიაღსვლები

# აკაკი გაწერელია ანა ახმატოვაზე, ნეტარ ავგუსტინესა და მათზე, ვინც ლიტერატურას უერთგულა...

„იშვიათად ვსაუბრობთ ტრადიციაზე და თუ ამ სიტყვას მაინც ვახსენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი არსებობა გამოვიგლოვოთ“, — ტ. ელიოტმა ეს ფრაზა ოდნავ მოგვიანებით და მიახლოებით განმარტა, რომ ტრადიცია მემკვიდრეობით არ გადაიცემა, არამედ რეალიზდება დიდი და თანამიმდევრული შრომით... რომ წინამორბედთა ძალმოსილებისადმი, ანუ მათი ნაღვაწისადმი მიმართება ისტორიის შეგრძნებაა...



აკაკი გაწერელია.

არაფერი იწყება თავიდან. ამიტომ შემოქმედის შეფასებაში ყოველთვის იგულისხმება მისი დამოკიდებულების შეფასება წარსულთან (მაინც ვერ ვაღწევთ თავს ზოგად ფრაზებს და ეს მაშინ, როცა გუშინდელ დღესთანაც დავიწყების ბნელი კედელი გვმიჯნავს).

ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ქართული კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ერუდიტი, ნოვაციების დიდოსტატი და უდიდესი ანალიტიკოსი აკაკი გაწერელია დღესაც სათანადოდ დაუფასებელია, არა მარტო თანამედროვე საზოგადოების ნიჰილიზმს და არაკომპეტენტურობას გამოხატავს ფილოლოგიური მეცნიერებებისადმი, არამედ უკანასკნელი ათწლეულების გადაფასებასაც ითხოვს.

აკაკი გაწერელია, ვისი სრული ლიტერატურული მემკვიდრეობა ფაქტობრივად შეუსწავლელია, ისეთივე უტიტულო მეცნიერი გახლდათ, როგორიც გენიალური პავლე ინგოროყვა.

ბატონი აკაკი ქმნიდა ტექსტების ინტერპრეტაციის საკუთარ მეთოდს, სადაც საკვლევი მასალის საგნობრიობა კრიტიკოსის იშვიათი ერუდიციის, არა მრავალგზის აპრობირებული კლასიფიკაციით, არამედ ორიგინალური არგუმენტაციის და ზუსტად დაძებნილი, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი პარალელების ფონზე იკითხება. განზოგადებას აუცილებლობად თვლიდა, რაც მისთვის ერთ ფორმულაში მოქცევას ნიშნავდა, თუმცა ნაკლებად ენდობოდა აპრიორულ ფორმულირებებს, მხატვრულ სენტენციებს და მანიფესტთა სუბიექტურ და იმპრესიონისტულ ბუნებას. არ ენდობოდა ზოგად განმარტებებს, რადგან თვლიდა, რომ თითოეული ტერმინი კონკრეტული შედეგი უნდა იყოს.

1990 წლის ნოემბერში ბატონ აკაკის ვეწვიე. ჩემი ჩანაწერების მიხედვით, როგორც ჩანს, საუბარი რამდენიმე ზოგადი ფრაზის შემდეგ ასე წარიმართა:

ბატონმა აკაკიმ თქვა:

— მე ვიცავ წმინდა ანალიტიკურ ლიტმცოდნეობას და მის უდიდეს შესაძლებლობებს ვაღიარებ.

**— უნივერსალურ შესაძლებლობებს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველივე ზოგადი არ შეიძლება მოერგოს კონკრეტულს. მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ნაციონალურ ფაქტორთან, აქ უკვე კონკრეტული ზოგადისაკენ მიდის.

**— ბატონო აკაკი, ზოგადთან მისვლისას, საიდანაც კონკრეტულს ახსნა უნდა მოეძებნოს, ანალიზის რომელი მეთოდია ისტორიულად გამართლებული?**

— დღეს ცდილობენ ლიტერატურული პროცესები ახსნან სტრუქტურალიზმის მეთოდით. აქ მნიშვნელოვანია შინაგანად დამახასიათებელი დროის გარეშე არსებული თვისებების გარკვევა.

**— თქვენ ახსენეთ სტრუქტურალიზმი. მას დიდხანს ებრძოდა საბჭოთა ლიტმცოდნეობა. არაისტორიულ, ანტიმარქსისტულ მეთოდს უწოდებდა.**

**ტერმინოლოგიური ქაოსი ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში შესაძლოა მსგავსი დაუსაბუთებელი ბრალდებების შედეგიცაა... თქვენი აზრით, რა ძირითად ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს ტერმინოლოგიის შემუშავება?**

— უპირველეს ყოვლისა, არა სტატისტიკურ მონაცემებს და აღნუსხვებს. კატალოგიზაციაც ხშირად არაფერს ხსნის. არ შეიძლება დაითვალო ლექსში მეტაფორების რაოდენობა და ამის გამო მეტაფორული პოეზია უწოდო. ხშირად ერთი მეტაფორა კოორდინირებულია სხვა მეტაფორებთან და მხოლოდ ასე იშიფრება. მაგალითად: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“... ყოველი ნაწარმოები დინამიკური პროცესია და სიმეტრიული ცნებების შეტანა სრულიად ზედმეტია... სტატიკურ ელემენტს შემოქმედებასთან კავშირი არა აქვს. ამაზე წერდა ტინიანოვიც, იგი უდიდესი მეთოდოლოგია, ბახტინზე დიდია. ჩემი მოგონება ტინიანოვზე წავუკითხე იაკობსონს. „ხელში ჩამივარდაო“, — მწერს და მადლობას მიხდის...

მოსკოვისა და ლენინგრადის ყველასთვის ცნობილ აკადემიურ წრეებში უაღრესად მაღალი იყო ბატონი აკაკი გაწერელიას მეცნიერული რეპუტაცია. მოგვიანებით საზღვარგარეთაც იწვევენ... მაგრამ ავადმყოფობის გამო გამგზავრება ვეღარ შესძლო, ურთიერთობა სხვადასხვა ლიტერატურულ წრესთან კი სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

ბატონი აკაკი გაწერელიას ბოლო წლების დათრგუნული განწყობილებისა და მისი შეუზღუდავი ლიტერატურული ინტერესების დასტურად ქალბატონმა ნანა ღვინეფაძემ საკუთარ არქივში დაცული ბარათები გამაცნო, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

1989 წელს, როდესაც ქალბატონმა ნანამ ანა ახმატოვას სხვა ლექსების შემდეგ „რეკვიემიც“ თარგმნა, პეტერბურგში, პოეტი ქალის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით სახლ-მუზეუმის გახსნაზე მიიწვიეს მოხსენებით — „ანა ახმატოვა — ქართული პარალელები“.

მასალების დამუშავების პროცესში, როგორც ჩანს, აკაკი გაწერელიასაც მიმართა. საპასუხო ბარათი 1989 წ. 25 ნოემბრითაა დათარიღებული.

**ძვირფასო ნანა!**

ვასრულებ შენს თხოვნას და გაცნობებ შემდეგ ფაქტებს: ჩემი წერილი „ანა ახმატოვა“, რომელიც სრულად ამ შესანიშნავი პოეტი ქალის გარდაცვალების წლისთავზე დავწერე, 1967 წლის მარტში, პირველად დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1967 წლის 19 მაისის ნომერში და გადაიბეჭდა ჩემი „რჩეული ნაწერების“ II ტომში (თბ. 1978, გვ. 208-215). მისი რუსული თარგმანი შესრულებული განწავლული ფსიქოლოგის ვალოდია ცომაიას მიერ, გავუგზავნე თვითონ ანას (მიუღია საავადმყოფოში გარდაცვალებამდე), მაგრამ ფინალის გარეშე, სადაც მის გარდაცვალებაზე ვმსჯელობ. რამდენიმე რუსმა ლიტერატორმა, რომლებიც ანას ნახულობდნენ ავადმყოფობისას, მაცნობეს, რომ ახმატოვას ძალიან მოსწონებია გენიალურ საფოსთან მისი შედარება. წერილობით მადლობის გადახდა მან ვერ მოასწრო. რამდენადაც ვიცი, იგი საავადმყოფოშივე გარდაიცვალა.

აი, ის ადგილი ჩემი სტატიის შესავლიდან, რომელსაც ანა ახმატოვას გახარება გამოუწვევია:

„მსოფლიო პოეზია არაა მდიდარი ასეთი მასშტაბის პოეტი ქალებით, რომელთაც ეპოქა შეუქმნიათ მშობლიურ მწერლობაში.

ძველმა საბერძნეთმა კაცობრიობას მისცა ელინური ლირიკის დედოფალი საფო, რომლის პატივსაცემად ქალაქ მიტილენში პოეტი ქალის სახე მონეტაზეც კი იყო ამოკვეთილი (ერთი ასეთი მონეტა ქალაქ ბონში ინახება). მეორედ და სრულიად მართებულად, პოეტი ქალის სახე ამოიკვეთა მედალიონზე ამ ორიოდე წლის წინათ და იგი ოქსფორდის უნივერ-



ანა ახმატოვა.

სიტეტს ამშვენებს. ესაა სახე მე-20 საუკუნის მსოფლიო პოეზიის დედოფლის ანა ახმატოვასი“.

პოეტის მეგობრისა და ბიოგრაფის ვ. ვილენონის გადმოცემით, სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ანა ახმატოვა თავის ლიტერატურულ ბედს განსაკუთრებით ტრაგიკულად აღიქვამდა და ამას გამოხატავდა სიტყვებით: „Меня не знают...“, გულისხმობდა არა მარტო გამოუქვეყნებელ „რეკვიემს“, არამედ საერთოდ, მისი პოეზიის ვერგაგებას.

იქნებ „Боткинская больница“-დ წოდებული საავადმყოფოს ოთხკაციან, ვიწრო პალატაში, ინფარქტგადატანილი „მსოფლიო პოეზიის დედოფალი“ მართლაც გაახარა დიდ ელინურ პოეზიასთან ქართველი კრიტიკოსის ესოდენ ორიგინალურმა პარალელმა?

**ძვირფასო ნანა!**

... ყოველთვის მადლიერებით მოვიგონებ იმ ფაქტს, რომ ჩემს „ფაიდას გამოცხადებას“ მხოლოდ თქვენ ერთი გამოეხმაურეთ „კომუნისტში“, სადაც ალბათ ჩემი ღვაწლი ქართულ მწერლობაში (60 წლის მანძილზე!) ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნიათ (ეს მხოლოდ არ ეხება თქვენს განყოფილებას).

მე ხომ უმაღლესი ტიტულები არ გამაჩნია, ან რაიმე ორდენის მსგავსი. ვილენს (ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი, **ნ. ხ.**) ჩემი ძმური სალამი გადაეცით.

ამჟამად ისეთი განწყობილება მაქვს, რომ მგონი ან სამუდამოდ ვეთხოვები მწერლობას. აქა-იქ მიტანილი მასალა (ოთხი თვის წინ!!!) ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა. რა გუნებაზე უნდა ვიყო?

არ ვწერ „ვ. როზანოვზე“ ჩემი სტატიის მეორე ნაწილსაც. საერთოდ, ძალიან მომწონს მარგარიტ ურსენარის შემდეგი სტრიქონები (რომანიდან „ადრიანეს მოგონებანი“).

1. „Смерть отвратительна, но и жизнь-ничуть не менше“.

2. „Постараемся войти в смерть с откритыми глазами“.

... მწერლობაშიც მაფია გაბატონდა. ამიტომაც დამეუფლა უგუნებობა და მაპატიე, რომ შენდამი ეს ბარათიც ჩემს უგუნებობას არეკლავს.

შენი ყოველი კეთილის მოსურნე და ლექტორყოფილი

**აკაკი გაწერელია.**

„თქვენს განყოფილებას“ ბატონი აკაკი გაწერელია გაზეთის ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილებას უწოდებს, სადაც მაშინდელი დაშტამპული ოფიციოზის ფონზე, სხვა მწერალთა და ხელოვანთა გადმოცემითაც, ოაზისივით კეთილმოსურნე და შემოქმედებითი გარემო სუფევდა. იმ ოთახში მუშაობდნენ ნანა ღვინეფაძე, რუსუდან მუხიგულაშვილი და ვილენ მარდალეიშვილი.

აკაკი გაწერელია ზოგადად პრესისგან და მკითხველისგან არ გახლდათ განებივრებული. ამიტომ მცირე ყურადღებასაც განსაკუთრებული მადლიერებით გამოხატავდა. „ფაიდას გამოცხადების“ შესახებ რეცენზიას მაშინვე, ჯერ კიდევ 1979 წლის ივნისში გამოეხმაურა:

**ძვირფასო ნანა!**

გულითად მადლობას გიძღვნი შესანიშნავი სიტყვებისთვის, რომელიც წავიკითხე „კომუნისტში“ ჩემს შესახებ. შენი მცირე ეტიუდი სანიმუშო საჩუქარია იმ ემოციური რეაქციის საზღაურად, რომელიც კერძოდ ჩემს „ფაიდას გამოცხადებას“ გამოუწვევია შენში. გაცნობებ, რომ ეს პატარა რომანი-ეტიუდი 25 წლის მანძილზე ავგუსტინეს პიროვნებისა და ბიოგრაფიის შესწავლის შედეგია.

გისურვებ ჯანმრთელობას და პირად ბედნიერებას, წარმატებებს პოეზიასა და ესეისტურ მოღვაწეობაში.

წინათ შენი ლექტორი, ახლა შენი კარგი მეგობარი

**აკაკი გაწერელია.**

ნეტარ ავგუსტინეზე მუშაობა ბატონმა აკაკიმ არც 25 წლის მერე ჩათვალა დასრულებულად. 1990 წელს, ჩემთან საუბარშიც ახსენა: „ნეტარ ავგუსტინეზე დაუსრულებლივ ვმუშაობ... იტალიაში ერთი პატარა ქალაქია — პადუა... სადაც პატარა ბაზილიკურ ეკლესიაში მოთავსებულია სარკოფაგი ნეტარი ავგუსტინეს ჩონჩხით. უნდა ვნახო აუცილებლად... მისი გარდაცვალების შემდეგ, 300 წლის მანძილზე, სხვადასხვა ადგილზე იყო ეს ჩონჩხი... რობაქიძე თავის საყვარელ ფილოსოფოსად აღიარებს ნეტარ ავგუსტინეს...

აუცილებლად უნდა ვნახო მისი საფლავი...“

იმავე წელს, სწორედ ქ. პადუაში მცხოვრებმა ქართველოლოგმა, იმჟამად ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ ბატონი აკაკი იტალიაში მიიწვია. ვერ გაემგზავრა...

იქნებ ნეტარი ავგუსტინეს სარკოფაგის ნახვა სხვა აუსრულებელ სურვილთა შორის უნდა დარჩენილიყო, იქნებ ბოლომდე უნდა გაეზიარებინა თავისივე ეპოქის ბედი, ეპოქისა — განუხორციელებელი იდეალებით?

თუმცა ძნელია მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე საუბარი მხოლოდ ჩვენი ან სხვისი ლიტერატურული გამოცდილებით და მაშინ, როცა ასეთი მასშტაბის მოაზროვნის ცხოვრებას ვეხებით.

**ნინო ხოფერია.**

## მსოფლიო შტრიხებში

# პრეზიდენტის ავიაცია

**ამ დღეებში მოსკოვის შემოგარენში — ჟუკოვსკის აეროდრომზე დაეშვა ახალი ლაინერი „ИЛ-96-300“, რომელსაც ვორონეჟში თითქმის 10 წელიწადს**



**აშენებდნენ და რომელმაც საბოლოო გამოცდის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტის „ავიაციაში“ უნდა შეცვალოს ის თვითმფრინავი, რომლითაც ჯერ კიდევ რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი დაფრინავდა.**

**ახლა პუტინის „ავიაციაში“ 11 ფრთოსანი მანქანაა, რომელთა ფლაგმანია ახალი ლაინერის უფროსი „ტყუპისცალი“ — „ИЛ-96-300“, რომელიც საექსპლოატაციოდ 1997 წელს გადაეცა, ამას გარდა, რუსეთის თავკაცის ესკადრალიაში შედის ორი — „ИЛ-63 М“, ორი „Ту-154 М“, ორი „Ту-134“, ორი — „Як-40“ და ორიც ვერტმფრენი — „Ми-7“.**

**პრეზიდენტის ახალ თვითმფრინავში არის ორი საძინებელი, საშხაპე კაბინები და დარბაზი თათბირებისათვის. ის გააფორმა შვეიცარიულმა ფირმამ გამოჩენილი რუსი მხატვრის ილია გლაზუნოვის შვილის ივანეს ესკიზების მიხედვით.**

**ახალი ლაინერის მშენებლობა ჯერ კიდევ ელცინის დროს, 1993 წელს დაიწყეს უკვე არსებულის შესაწყვილებლად, რაც დღეს მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში — სახელმწიფოს მეთაურს, ძირითად თვითმფრინავთან ერთად, სარეზერვოც უნდა ჰქონდეს და, როგორც წესი, იგი თან უნდა ახლდეს ძირითად ლაინერს. როგორც ამბობენ, რუსეთის ბიუჯეტში კარგა ხანს ვერ იშოვეს საჭირო თანხა ორი „ილისთვის“ და მხოლოდ ახლა შეძლეს მისი დაფინანსება.**

**ნომერ პირველი თვითმფრინავის მშენებლობა თითქმის გასაიდუმლოებული იყო, მას მკაცრად აკონტროლებდნენ სპეცსამსახურები. ის ისეა აღჭურვილი, რომ შეუძლია ყველანაირ ამინდში აფრენა და დაშვება.**

**ვინაიდან, პრეზიდენტის მოგზაურობის დროს ის ქვეყნის მეთაურის თავისებური კაბინეტია, აქედან იმართება ქვეყანა, შეიარაღებული ძალებიც და, რაც მთავარია, ატომური იარაღი, ამიტომაც თვითმფრინავი აღჭურვილია ყველაზე უახლესი ტექნიკით, კომპიუტერებითა და ვიდეო-აუდიო აპარატურით.**

**თუ რა დაჯდა პრეზიდენტის ახალი თვითმფრინავი, დღეს ეს საიდუმლოა, მაგრამ მისი „ტყუპისცალი“, რომელიც ჯერ კიდევ ელცინის დროს ააგეს, რუსეთის ხაზინას 78 მილიონი დოლარი დაუჯდა.**

**სურათზე: აი, ისიც, რუსეთის პრეზიდენტის ავიაციის ფლაგმანი „ИЛ-96-300“.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 142, ორშაბათი, 2 ივნისი, 2003 წელი.

განსჯა

# საბა თუ სულხან-საბა?

**ამას წინათ დაწესდა კერძო ლიტერატურული პრემია „საბა“ და მისი პირველი ლაურეატებიც გამოვლინდნენ. სხვებმაც იკითხეს და ჩვენც დაგვაინტერესა, რას ნიშნავს „საბა“, ვისი სახელობისაა ეს პრემია? მივმართეთ ამ საქმესთან ახლო მდგომ პირებს — ზოგიერთ მის ლაურეატსა და ჟიურის წევრს. წარმოიდგინეთ, მათ შორის აღმოჩნდა ისეთიც, ამაზე დაბეჯითებით რომ ვერ გვიპასუხა. დანარჩენებმა აგვიხსნეს, მასში იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი.**

ცნობილია, რომ ჩვენი სასიქადულო მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, ბრწყინვალე მეიგავარაკე და ლექსიკოლოგი **სულხან** ორბელიანი (1658-1725) მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო 1698 წელს **საბას** სახელით ბერად აღიკვეცა.

ამჟამად ჩვენში გავრცელებული და დამკვიდრებულია მისი ორივე, საერო და სასულიერო სახელით აღნიშვნა — **სულხან-საბა** ორბელიანი. ასეა ის წარმოდგენილი მის თხზულებათა ოთხტომეულში, რომლებიც მომზადებულია გამოსაცემად ჩვენი გამოჩენილი სპეციალისტების ილია აბულაძის, ალექსანდრე ბარამიძის, რევაზ ბარამიძის, ივანე ლოლაშვილის, ელენე მეტრეველისა და სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, რედაქტორები კი გახლდნენ ვარლამ დონდუა, გიორგი ლეონიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე. ასევე იხსენიება იგი მაშინაც, როცა მისი სახელი ამა თუ იმ დაწესებულებას ეწოდება. მაგალითად, ცნობილია **სულხან-საბა** ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

რამდენად გამართლებულია ეს და გვაქვს თუ არა რაიმე საბაბი, გადავხედოთ ამ ტრადიციას?

აქა-იქ არის შემთხვევები, როგორც სულხან-საბას ეპოქაში, ისე შემდეგ და ჩვენს დროშიც, როცა ეს საერო და სასულიერო მოღვაწე სასულიერო სახელით, „საბად“ იხსენიება. უფრო ეს ლექსებშია. უპირველესად უნდა დავასახელოთ ვახტანგ მეექვსე. სულხან-საბას ლექსიკონის, „სიტყვის კონის“ გამო ის წერს:

„რადგან დაშვრა ასრე **საბა**,
ქება მმართებს აწყა მეცა...“
„ორბელიანმან **საბამან** სახელითა
ქნა სახელი...“

(ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 60).

სულხან-საბა ორბელიანის ძმა დემეტრე, მისადმი მიძღვნილ ლექსში მას „საბასაც“ უწოდებს და „სულხან-საბასაც“.

„ვის ძალუძს **საბას** სწორება, თუ ვსტყუი, ესე ამარტოს...“
„**საბა** ძმად ნეტარხსენებით
მომშორდა ხანსა გრძელადო...“

იქვეა: „სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ, რასა სწერს **სულხან-საბანი“...** (ალ. ღლონტი, ნარკვევები... I, 1955, გვ. 129).

კათოლიკოსი ანტონ პირველი მას სხვაგანაც უწოდებს „საბას“ და მისადმი მიძღვნილ იამბიკოსაც ასე იწყებს: „**საბას** არ ვაქებ, ამად ვითარმედ ესე ეკლესიასა წმიდასა მტერგანუდგა“, მაგრამ თავად ამ ნაწარმოებს ორივე სახელით ასათაურებს: „თვის **სულხან-საბა** ორბელიანისა“ და იამბიკოსაც ამგვარადვე ამთავრებს: „...რაცა სოფლიოთ გამოთქუა **სულხან-საბა**“ (წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 282).

იგავარაკის „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ სათაურში ავტორი ყველა ხელნაწერში (თუ ის დაზიანებული არ არის) საერო, **სულხან** ორბელიანის სახელითაა მოხსენიებული, მაგრამ 1834 წელს გადაწერილ თავის ნუსხას პავლე მესარკიანი (პოლოს მესარკოვი) ურთავს საკუთარ ლექსს და ჩვენს მეიგავარაკეს სასულიერო სახელით ახსენებს: „სიბრძნისა მიერ აღვწერე, წიგნი ესე სიცრუეა, ნათქვამი **საბა** ორბელიანისგან...“ (თხზულებანი, I, 1959, გვ. 279).

„საბა — ასე ასათაურებს 1928 წელს მისადმი მიძღვნილ ლექსს გიორგი ლეონიძე, რომელსაც, როგორც ერთ-ერთი რედაქტორი, ურთავს სულხან-საბას თხზულებათა აღნიშნულ პირველ ტომს (გვ. 431). ამავე სახელით იმოწმებს მას მეორე ლექსშიაც „ნუ გათათრდები“ (ლექსები, 1978, გვ. 139). თუმცა სხვა ლექსში „სულხან-საბადაც“ იხსენიებს:

„რუსთავი — შოთას აკვანი,
ტანძია — **სულხან-საბასი...**“ (გვ. 154).

გ. ლეონიძე თავის გამოკვლევებში ზოგჯერ ცალ-ცალკე „სულხანსაც“ ხმარობს და „საბასაც“, მაგრამ ძირითადად „სულხან-საბას“ იყენებს.

მუხრან მაჭავარიანის ლექსების სათაურია „საბა“ (ლექსები, პოემა, 1983, გვ. 67), „ისევ საბა“ (გვ. 14), სტრიქონებია:

„კურთხეულ იყოს სახელი
შენი — **საბა**! (გვ. 14).
„დროდადრო ცრემლი ისევ წვეთავს
**საბას** წვერიდან“ (გვ. 110).
„ხელმწიფემ საბას ნაუბარი
მოისმინა რა...
**საბას** ხმა როდის წააგავდა კნავილს
კატისას...
წვიმა არ არი! **საბას** კაბა
დაუსველა რამ?!
თოვლი არ არი! **საბას** თავი
გაუთეთრა რამ?! — და. ა. შ. (გვ. 67-68).

მაგრამ პოეტი იქვე ორივე სახელსაც ერთად იყენებს:

„ყინვა არ არი! **სულხან-საბას**
აკანკალებს რა?..
ეს სიცხადეა, **სულხან-საბავ**, თუ
ფანტაზია?!.
ასე ფიქრობდა **სულხან-საბა**
ხელჯოხიანი“. (გვ. 68)

და სხვა.

მ. მაჭავარიანი თავის გამოკვლევაში „რამდენიმე სიტყვა“ (1989 წ.) ჩვეულებრივ იყენებს სახელს „საბა“.

„საბას“ სახელით ასათაურებს თავის ლექსს მურმან ლებანიძეც (ერთტომეული, 1979, გვ. 103) და ა. შ.

ბოლო წლებში, როდესაც 70-წლიანი ათეისტური სახელმწიფო წყობილების დამხობის შემდეგ განსაკუთრებით გამოცოცხლდა, რელიგია და რელიგიურობის თვალსაზრისით ბევრი რამ გადაფასდა, ზოგიერთი ამ თვალით უყურებს ჩვენი ამ დიდი სასულიერო მოღვაწის სახელსაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ (№3. 2000), რომლის რეცენზენტები არიან ინსტიტუტის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ძველ ქართულ მწერლობაზე მომუშავე ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ლაშა ხეცურიანი გამოთქვამს ასეთ აზრს: „ტერმინი სულხან-საბა დამკვიდრებულია ბოლშევიზმის ეპოქაში და არ არის მართებული“ (გვ. 64).

ნამდვილად კი, საკითხის ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს, ეს ასე არ არის. აღნიშნული ტრადიცია ძველ და მკვიდრ ნიადაგზე დგას და ის მომდინარეობს თავად მწერლისა და მისი თანამედროვე მოღვაწეებისაგან.

თავისი ლექსიკონის შესახებ სულხან-საბა წერს ორსტროფიან ლექსს, რომლის სათაური ხელნაწერებში ასეა ჩაწერილი: „**საბას** ნათქვამი“ (თხზულებანი, ტ. IV, ნაკვ. II, 1966, გვ. 655), მაგრამ ავტორი თავის საერო სახელს არ კარგავს და იქვე ახსენებს:

„...ახლად შევკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
**საბამან** ორბელიანმან, ვის ერად მერქვა **სულხანი**“.

თუმცა ამავე ლექსიკონის ორიოდე ნუსხის ბოლოსიტყვაში იკითხება: „ვინც ეს ლექსიკონი გადაწეროს და **საბას** სახელი არ დაწეროს, მის მაგივრად უფალმა ის გაიკითხოს“ (გვ. 643), ამ და სხვა ნუსხებში სხვაგან, ყველგან, აღნიშნული სახელები ერთად წერია. თავშია: „ამა წიგნისა მომღვაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიხსენიებდეთ“... (იქვე, გვ. 643) მეორე ადგილას: „დაბადებულა **სულხან-საბა** ორბელიანი ქართულის ქ (ორონი) კ (ონ)ს ტ-მვ ოქტონბერს“ (გვ. 644). ხოლო, რაც მთავარია, ლექსიკონის „ანდერძნამაგში“ ავტორი თავად წერს: „მე, **სულხან-საბა** ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყმესა ფრიად შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა...“ (ნაკვ. 1, 1965, გვ. 31).

სულხან-საბას სასულიერო ნაშრომის „სწავლანის“ იმ ნუსხაშიც, რომელიც მისი ძმის ზოსიმეს მიერ 1729 წელს არის გადაწერილი, ზოგიერთ ქადაგებას ბოლოს მიწერილი აქვს: „ქრისტე, შეიწყალე **საბა**“, ან „ქრისტე, შეიწყალე **საბა** ორბელიანი“ (თხზულებანი, 111, 1963 გვ. 339), მაგრამ იქვეა: „ქრისტე, შეიწყალე **სულხან-საბა**“. აგრეთვე პირველ სწავლას სათაურად აქვს: „სწავლე ეკლესიისათვის, თუ არს შეკრება მუნ, თქმული **სულხან-საბა** ორბელიანის მიერ“ (იქვე). თვით თხზულება ასეა დასათაურებული: „სწავლანი, თქმულნი **სულხან-საბა** ორბელიანის მიერ“ (გვ. 19).

ავტორის მეორე ამავე ხასიათის ნაშრომის „საქრისტიანო მოძღვრების“ ერთ ნუსხაში, რომელიც ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი, სათაურია: „სწავლა მეცნიერთათვის თქმული აღვიარება, რომელ არს ღმერთი ან შჯული, ორბელის — ყოფილის **საბა**-წოდებულის ნათქვამი“ (გვ. 227, 339). მაგრამ მეორე ნუსხაში, რომელიც ავტოგრაფია და 1773 წელს არის გადაწერილი, მწერლის ორივე სახელი ერთადაა მოცემული: „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი **სულხან-საბა** ორბელიანისაგან...“ (გვ. 227, 339). ორივე სახელით იხსენიება ავტორი ამავე თხზულების სხვა ნუსხებშიც (გვ. 340).

ასევე, ნათლად და გარკვევით ორივე ერთიანი სახელით წარმოგვიდგება მწერალი „ქილილა და დამანას“ თავის გადამუშავებულ ვერსიაზე მესამე პირით დართულ ანდერძშიაც. ანდერძის სათაურია: „ანდერძი **სულხან-საბა** ორბელიანისა დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა“ (თხზულებანი, ტ. II, ნაკვ. I, 1962, გვ. 40). გამომცემლები იქვე მიუთითებენ: „ხელნაწერში სულხან ორჯერ სწერია“. ანდერძის ტექსტი იუწყება: ვახტანგ მეფეს „ქილილა და დამანა“ „რა გაეთავებინა, ქართლში **სულხან-საბა** ორბელიანისათვის გამოეგზავნა (...) და ებრძანა: ეს ჩემი ჭირნახულ გაჩალხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო. ეს **სულხან-საბა** ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო...“ (გვ. 41).

ამ იგავარაკულ ძეგლთან დაკავშირებით ამგვარივე ერთიანი სახელით იხსენიებს მას მისი უმცროსი თანამედროვე მამუკა ბარათაშვილი. მისი სიტყვებია: „**სულხან-საბა** ორბელიანმა“ ქილილა და დამანა“ გალექსა“ (სწავლა ლექსის თქმისა, 1981, გვ. 18).

ბოლოს მოვიხმობ ძველადვე ნათქვამ უცნობი ავტორის ლექსი:

„**სულხან-საბა** ორბელის ძე
სიბრძნით აღდგა ორბების ზე“.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, სურათი ნათელია: ამ ჩვენს დიდ ორბელიანს თავის საკუთარ სახელად მიაჩნია არა ცალ-ცალკე აღებული მისი საერო და სასულიერო სახელი „სულხანი“ ან „საბა“, არამედ ორივე ერთად გაერთიანებულად — „სულხან-საბა“. ეს არის მისი ბოლო ნება! როცა კონტექსტი ნათელია, ვიცით, ვისზეა საუბარი, სიმოკლისათვის, გამონაკლისის წესით, შემოქმედი აქედან ერთ-ერთი მათგანით, რა თქმა უნდა, შეიძლება მოვიხსენიოთ, მაგრამ სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ და, მეტადრე, ოფიციალურ ვითარებაში, მეტი პატივი უნდა მივაგოთ მის ნება-სურვილს და ტრადიცია დავიცვათ — ის გახლავთ **სულხან-საბა** ორბელიანი.

**ბორის დარჩია.**



ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი.

ფინანსები

# საინვესტიციო პერსპექტივის თვალსაზრით ექსპერტები MICROSOFT-ის აქციებს გამოყოფენ

(მეოთხე გვერდიდან)

ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, დოლარს სერიოზულ მხარდაჭერას აღმოუჩენს ამერიკის აქციების ბაზრის მყარი ზრდა. მაგრამ იმისათვის, რომ ზრდა გაგრძელდეს და კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდეს, საფონდო ბაზარს ამერიკული ეკონომიკური გამოცოცხლების საიმედო ნიშნები სჭირდება, რადგან რალი, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო, ექსპერტთა შეფასებით, წლის მეორე ნახევარში ეკონომიკური ზრდის მოლოდინით იკვებება. ასეთი მოლოდინის ფორმირებას მნიშვნელოვნად შუწყო ხელი პირველ კვარტალში ამერიკული კორპორაციების მოგების ზრდამ.

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე გასული კვირის ბოლოს ერთი უნცია ოქრო 366, პლატინა 641, ხოლო ვერცხლი 4.55 დოლარი ღირდა.**

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, 2002 წლის ბოლოს- 2003-ის დასაწყისში ოქროს ფასის მნიშვნელოვანი ზრდა მთლიანად გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ განაპირობა. ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაცია გაურკვევლობის ფაქტორად იქცა, რომელმაც გაართულა მსოფლიო ეკონომიკისა და საფონდო ბაზრის პერსპექტივის გათვლა. ასეთ პირობებში ინვესტორებმა თავი შეიკავეს აქციების ბაზარზე აქტიური ოპერაციებისაგან და ამჯობინეს რა სახსრების ჩადება დაბალრისკიან აქტივებში, ოქრო დანაკარგის დაზღვევის საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს.

ერთი უნცია ოქროს ფასი სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში 320 დოლარის მახლობლად მერყეობდა. იანვარ-თებერვალში ახალ სავაჭრო დიაპაზონში გადაადგილდა და მიაღწია რა ექვსწლიან მაქსიმუმს, 360-385 დოლარის ფარგლებში განისაზღვრა.

ერაყში საომარი ოპერაციების დაწყება ინვესტორების მიერ აღქმული იყო, როგორც შეერთებული შტატების ეკონომიკური სტაბილიზაციისა და საფონდო ბაზრებზე ტენდენციის შეცვლის სიგნალი, რის გამოც ოქროს ფასმა კლება დაიწყო. უკვე მარტის შუა რიცხვში ერთი უნცია ოქრო 335, ხოლო თვის ბოლოს 330 დოლარი ღირდა.

თუმცა, დარგობრივი ანალიტიკოსები არ გამორიცხავდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ინვესტორების ყურადღება სამხედრო მოქმედებებიდან მთლიანად ეკონომიკურ სიტუაციაზე გადაინაცვლებდა, ოქროს ფასს შესაძლოა ახალი აღმავლობა განეცადა. ბოლო პერიოდში ძვირფასი ლითონების ბაზარზე გამოკვეთილი ტენდენცია ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, როდესაც გასულ კვირაში ერთი უნცია ოქროს ფასი თითქმის თებერვალში დაფიქსირებულ მაქსიმუმებს მიუახლოვდა.

**ნავთობის ბაზრების განწყობას** გასულ კვირაში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ფაქტორი განაპირობებდა. „დათვური“ ფაქტორებიდან აღსანიშნავია ბაზრებზე გავრცელებული ინფორმაცია ერაყში ნავთობის ექსპორტის უახლოეს პერიოდში აღდგენის შესახებ.

როგორც ცნობილია, გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს ერაყისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე. პროექტის მიხედვით, გარდამავალ პერიოდში ერაყში ახალი ხელისუფლების დამყარებამდე, ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების კონტროლს შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი განახორციელებს. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ერაყის ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხა განთავსდება „ერაყისათვის ხელშწყობის ფონდში“, რომლითაც ერაყის ეკონომიკის აღდგენის პროგრამები დაფინანსდება. ამასთან, როგორც გასულ კვირაში გაზეთმა Wall Street Journal-მა განაცხადა უახლოეს 7-10 კვირაში მოსალოდნელია ერაყის სამხრეთ საბადოებზე ნავთობის მოპოვების ზრდა, რაც სამხრეთ ტერმინალიდან სპარსეთის ყურეში ექსპორტის დაწყების საშუალებას იძლევა. ერაყის ნავთობის სამინისტროს წარმომადგენლები კი ექსპორტის დაწყებისათვის უფრო მოკლე ვადებს, დაახლოებით ორ კვირას ასახელებენ. თუმცა, დარგობრივი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აქ საუბარია იმ 8 მლნ ბარელი ნავთობის მიწოდებაზე, რომელიც ჯერ კიდევ ომის დაწყების დროიდან ჩარჩა თურქეთის ჯეიჰანის პორტის საცავებში.

ამასთან, როგორც ცნობილია, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ჭარბი მიწოდების გამო, 24 აპრილს ოპეკის რიგგარეშე კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, კარტელის მიერ ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა დღე-ღამეში 25.4 მლნ ბარელამდე შემცირდა. ახალი კვოტა ძალაში 1 ივნისადან შევიდა. ოპეკის გათვლებით, აპრილში კარტელის ათი წევრი ქვეყანა დღე-ღამეში დაახლოებით, 26.4 მლნ ბარელ ნავთობს მოიპოვებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობის მარაგი ინდუსტრიულ ქვეყნებში ძალიან დაბალ დონეზეა კვოტის შემცირება ბაზრებზე „ხარის“ ფაქტორად რჩება.

როგორც გასულ კვირაში საუდის არაბეთის ნავთობის მრეწველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს 1 ივნისიდან მსოფლიოში უმსხვილესი ნავთობის გიგანტი ზუსტად იმდენის მოპოვებას აპირებს, რამდენის უფლებასაც ახალი კვოტა უწესებს. კერძოდ, დღე-ღამეში 8.256 მლნ ბარელს, მაშინ როდესაც საუდის არაბეთში ნავთობის მოპოვება ამ გაზაფხულზე მნიშვნელოვნად აჭარბებდა 9 მლნ ბარელს.

ნავთობის ბაზრებისათვის „ხარის“ ფაქტორს წარმოადგენდა გასულ კვირაში ბენზინის მოედნებზე ფასების ზრდაც, რაც საზაფხულო საავტომობილო სეზონის გახსნას უკავშირდება.

ამასთან, როგორც ოპეკის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ ერაყის ნავთობი ბრუნდება ბაზრებზე, არ არის გამორიცხული კარტელმა 11 ივნისს, ოპეკის მორიგ კონფერენციაზე, ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტის კიდევ უფრო შემცირების გადაწყვეტილება მიიღოს.

გასული კვირის ბოლო დღეს კი, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე ერთი ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 26.03 დოლარი, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბაზარზე WTI-ის მარკის ნავთობი 29.10 დოლარი ღირდა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

ელიტა

## ესეც – ოთხი

„მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი გასულ კვირაში მეოთხე მწვრთნელი გახდა, ვინც ევროპის უმაღლესი საკლუბო მწვერვალი ორივე ამპლუაში დაიპყრო.



აქამდე ანალოგიური მიღწევა მისსავე თანამემამულე ჯოვანი ტრაპატონის, ესპანელ მიგელ მუნიოსსა და ჰოლანდიელ იოჰან კრუიფს ეკუთვნოდათ. ამ თანავარსკვლავედშიც კი ანჩელოტი აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით გამოირჩევა – მან ყველა ფინალი მოიგო, რომელშიც მონაწილეობდა როგორც მოთამაშე ისე მწვრთნელი.

ალბათ, დაგაინტერესებთ ჩემპიონთა ლიგის (უწინ – ჩემპიონთა თასის) ოთხივე ტრიუმფატორის ინდივიდუალური მონაგარი:

**მუნიოსი. მოთამაშე**. მადრიდის „რეალი“. 2 ფინალი – 2 გამარჯვება (1956, 1957 წლები). **მწვრთნელი.** მადრიდის „რეალი“. 4 ფინალი – 2 გამარჯვება (1960, 1962, 1964, 1966 წლები).

**ტრაპატონი. მოთამაშე.** „მილანი“. 2 ფინალი – 2 გამარჯვება (1963, 1969 წლები). **მწვრთნელი.** „იუვენტუსი“. 2 ფინალი – 1 გამარჯვება (1983, 1985 წლები).

**კრუიფი. მოთამაშე.** „აიაქსი“. 4 ფინალი – 3 გამარჯვება (1969, 1971, 1972, 1973 წლები). **მწვრთნელი.** „ბარსელონა“. 2 ფინალი – 1 გამარჯვება (1992, 1994 წლები).

**ანჩელოტი. მოთამაშე.** „მილანი“. 2 ფინალი – 2 გამარჯვება (1989, 1990 წლები). **მწვრთნელი.** „მილანი“. 1 ფინალი – 1 გამარჯვება (2003 წელი).

მინიფეხბურთი

## თანაგუნდელს დაეხმარნენ

ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც ახლახან საფეხბურთო აკადემიის „ოლიმპის“ სტადიონზე გაიმართა, განსხვავებული წესით მოეწყო: 1994 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის გარდა, ასპეზობაში ნორჩთა მშობლები, კლუბების მწვრთნელები და გულშემატკივრებიც მონაწილეობდნენ. ასეთი ორიგინალური შეჯიბრის გამართვის იდეა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს ეკუთვნის.

თავდაპირველად ასპარეზობაში ოთხ ქვეჯგუფად დაყოფილი 16 ბავშვთა კლუბი ჩაება. საკვალიფიკაციო ჯგუფებში მატჩები წრიული სისტემით გაიმართა, აქ გამარჯვებულებმა კი გზა ნახევარფინალისაკენ გაიკვლიეს. პირველ ნახევარფინალში „ნორჩი დინამოელის“ გუნდმა „მიმინო“ (გლდანის რაიონი) დაამარცხა – 4:0. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ნოდარ ახალკაცის სახელობის სკოლის გუნდმა „ირაომ“ ანგარიშით – 1:0 მოუგო „ოლიმპს“.

ვიდრე ფინალური მატჩი გაიმართებოდა, ტურნირის ორგანიზატორებმა მინდორზე სათამაშოდ იხმეს სტუმართა კლუბების მწვრთნელებისა და „ოლიმპის“ მწვრთნელ-პედაგოგთა ნაკრებები. მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელმა ზაზა ბაკურაძემ 4 მშრალი ბურთი გაუტანა მეტოქეებს. შემდეგ ტურნირის ფინალური მატჩის მონაწილეთა მშობლებს მიანდეს საჯარიმო დარტყმების შესრულების უფლება, აქ „ირაოს“ ფეხბურთელთა მშობლებმა გაიმარჯვეს. შემდეგ გაიმართა შეჯიბრება ბურთის აკენწვლაში, სადაც თავი გამოიჩინა „ნორჩი დინამოელის“ მოთამაშემ ერეკლე სულთანიშვილმა.

დასასრულს გაიმართა ფინალური მატჩი. „ნორჩი დინამოელის“ (მწვრთნელი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე) გუნდი „ირაოს“ თანატოლებს შეხვდა. ასპარეზობა „ნორჩი დინამოელის“ (სკოლის დირექტორი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ გეგეჭკორი) სრული უპირატესობით წარიმართა და მისივე დამაჯერებელი გამარჯვებით – 3:0 დასრულდა.

შეჯიბრების საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნიეს თემურ თვალჭრელიძე, რომელსაც 200 ლარი გადასცეს. „ნორჩი დინამოელის“ გუნდის გადაწყვეტილებით, ეს თანხა ამავე კლუბის მოთამაშის ლადო სამხარაძის მშობლებს გადაუგზავნეს მოსკოვში, სადაც მათ თანაგუნდელს სასწრაფო ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

**შალვა ქორიძე.**

**სურათზე: „ნორჩი დინამოელის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მარცხნივ – მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე).**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



ფეხბურთის ამბები

### 39 წლის გოჩა გოგრიჭიანი

სად აღარ უთამაშია 39 წლის გოჩა გოგრიჭიანს? „ცხუმში“, თბილისის „დინამოში“, ქუთაისის „ტორპედოში“, შემდეგ – სამი სეზონი კვიპროსზე, რუსეთის უმაღლეს, პირველ და მეორე დივიზიონებში. მისი ერთ-ერთი კლუბი სოჭის „ჟემჩუჟინა“ თანდათან მეორე დივიზიონამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ ახლა კლუბმა დაიბრუნა თავისი ადრინდელი ხელმძღვანელი, ცნობილი სპეციალისტი არსენ ნაიდენოვი და ცდილობს მდგომარეობის ხსნას.

– სამი წლის განმავლობაში, თუ სათანადო პირობებს შემიქმნიან, კლუბს უმაღლეს დივიზიონში გადავიყვან – ამბობს ნაიდენოვი. ახლა კი ვინ მყავს? სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდობა და, ამასთან, ოთხი ვეტერანი: ლედოვსკიხი, კუზნეცოვი, მედვედევი და გოგრიჭიანი.

ახალგაზრდობა, მწვრთნელის აზრით, სწორედ ამ ვეტერანებმა უნდა დააკვალიანონ.

### სხვადასხვანაირი საჩუქრები

მოსკოვის ოლქის გუბერნატორ გენერალ ბორის გრომოვს ასეთი ჩვეულება აქვს: ყოველი სეზონის დაწყების წინ კლუბ „სატურნის“ ფეხბურთელებს, რომლებიც რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გამოდიან, საჩუქრებს გადასცემს ხოლმე.

2002 წლის ჩემპიონატის წინ გრომოვმა „სატურნის“ თითოეულ ფეხბურთელს მიართვა ყვავილების თაიგული და არყის უზარმაზარი ბოთლი. ამ სეზონში „სატურნმა“ დიდ ვერაფერს მიაღწია. 2003 წლის ჩემპიონატის დასაწყისის საჩუქრები სულ სხვანაირი იყო: მკაცრი ჰალსტუხები მოსკოვის ოლქის ღერბის გამოსახულებით.

ამ დღეებში კი კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვალერი აქსაკოვმა „სატურნის“ ერთ-ერთ ლიდერს სამირ მურატოვიჩს (ქ. რამენსკოეს კლუბსაც ჰყავს ლეგიონერები) აჩუქა სუვენირული ჭადრაკი, რათა ბოსნიელმა, რომელიც ტემპერამენტით გამოირჩევა, უკეთესად იაზროვნოს.

### რასაც ექიმი ვერ ახერხებს, მოახერხებს... ჯადოქარი?

სან-პაულუს ცნობილ კლუბ „კორინთიანსს“ შტატში ჰყავს... ჯადოქარი! მას შემდეგ, რაც ამ კლუბისა და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი კამპეტა დაშავდა, მან დახმარებისათვის მიმართა ექიმებს. ვერდიქტი სანუგეშო არა ყოფილა – უთხრეს, რომ სრულ გამოჯანმრთელებას 9 თვე დასჭირდებოდა. მაშინ კამპეტამ მიმართა კლუბის ჯადოქარ პაი ნილსონს, რომელიც „კორინთიანსში“ უკვე 15 წელია მუშაობს. მან ფეხბურთელს აღუთქვა, რომ 4 თვეში ნამდვილად მოარჩენს!

საინტერესოა, რომ როცა უმძიმესი ტრავმა მიიღო „კორინთიანსის“ თავდამსხმელმა ლუიზაომ, ექიმები გარანტიას ვერ იძლეოდნენ, რომ იგი საერთოდ დაუბრუნდებოდა ფეხბურთს. აი, ჯადოქარმა პაი ნილსონმა კი ლუიზაო მოარჩინა (!) და ფეხბურთს დაუბრუნა.

მხოლოდ შედეგები

## ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების ტაბლო

**ესპანეთი.** „რეალი“ – „სელტა“ 1:1.

**რუსეთი.** „კრილია“ – ცსკა 0:2, „ურალანი“ – „ზენიტი“ 1:0, „შინიკი“ – „ტორპედო“ 1:1, „რუბინი“ – „სპარტაკი“ 1:0, „სატურნი“ – „ლოკომოტივი“ 0:0, „დინამო“ – „როტორი“ 3:1, „ჩერნომორეცი“ – „როსტოვი“ 2:2.

**თურქეთი.** „სამსუნი“ – „ბეშიქთაში“ 3:4, „ანკარა“ – „დენიზლი“ 1:1, „ქოჯაელი“ – „ადანა“ 1:2, „ბურსა“ – „გენჩლერი“ 3:1, „გიოზთეფე“ – „ფენერბახჩე“ 1:1, „ტრაბზონი“ – „მალათია“ 0:2, „ისთანბული“ – „ალთაი“ 0:0, „დიარბაქირი“ – „ელაზიგი“ 1:2.

**ჩეხეთი.** „ზლინი“ – „სპარტა“ 2:1, „პრშიბრამი“ – „ლიბერეცი“ 1:1, „ბლშანი“ – „ტეპლიცე“ 0:1, „სიგმა“ – „სლავია“ 0:2, „ჰრადეც კრალოვე“ – „ბუდიოვიცე“ 2:1, „ბოჰემიანსი“ – „სინოტი“ 1:2, „იაბლონეცი“ – „ბრნო“ 4:1, „ქიჟკოვი“ – „ბანიკი“ 1:1.

**პოლონეთი.** „კატოვიცე“ – „ამიცა“ 1:1, „ვისლა“ – „ვიძევი“ 1:0, „ოსტროვეცი“ – „პლოცკი“ 0:2, „ოდრა“ – პოლონია“ 2:2, „გროცლინი“ – „ზაგლემბიე“ 4:0, „გურნიკი“ – „ლეხი“ 0:0, „პოგონი“ – გარბარნია“ 0:1, „ლეგია“ – „რუხი“ 3:3.

**შვეიცარია.** „ციურიხი“ – „სერვეტი“ 5:2, „ვილი“ – „თუნი“ 2:2, „ბაზელი“ – „ქსამაქსი“ 3:0, „იანგ ბოიზი“ – „გრასხოპერსი“ 2:4.

**დანია.** „ორჰუსი“ – „ფორუმი“ 2:2.

**იტალია. თასის ფინალი.** „მილანი“ – „რომა“ 2:2 (პირველი მატჩი 4:1).

**საფრანგეთი. თასის ფინალი.** „ოსერი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1.

**გერმანია. თასის ფინალი.** „ბაიერნი“ – „კაიზერსლაუტერნი“ 3:1.

**შოტლანდია. თასის ფინალი.** „გლაზგო რეინჯერსი“ – „დანდი“ 1:0.

**ამხანაგური მატჩი.** იაპონია-კორეა 0:1.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

აშენებს „ალკაზარი“

# თბილისის დინამოელები მალე ევროპული დონის მინდორზე ივარჯიშებენ



**მოგეხსენებათ, რა სასიკეთო ცვლილებები მოხდა თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ამ ბოლო ხანებში — დანგრეული, გაპარტახებული კომპლექსი ისე გარემონტდა, რომ ავ თვალს არ ენახვება. ფეხბურთელები, მწვრთნელები, მათი თანაშემწეები სანაქებო პირობებში ცხოვრობენ, თუმცა ყოველივე ამის შესახებ ადრეც გიამბეთ...**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბაზა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ მას შესაბამისი, თანამედროვე საწვრთნელი მოედნები არა აქვს, ეს კი, დამეთანხმებით, არცთუ იოლად მოსაგვარებელი საქმეა.

და აი, ამ პრობლემის გადაჭრის დრო და მომენტიც დადგა. გადაწყდა, სამიდან ერთ-ერთი სავარჯიშო მოედნის მთლიანი რეკონსტრუქციით დაეწყოთ. ბაზის ხელმძღვანელობამ (მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა) სამუშაოთა საწარმოებლად მოიწვია შპს „ალკაზარი“, რომლის ხელმძღვანელია ინჟინერ-მშენებელი, ჟურნალისტი და ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი ალეკო კაკულია. მალე გაირკვა, რომ „ალკაზარი“ სპორტის თავგადაკლული გულშემატკივრებით ყოფილა დაკომპლექტებული: გურამ ებანოიძე — მისი პირველი მოადგილე, დათო კაკულია — მთავარი ინჟინერი, თემურ ნადირაძე — უბნის უფროსი და სხვები დიდი ენთუზიაზმით, მონდომებითა და საქმის სიყვარულით შეუდგნენ მუშაობას: მოიჭრა გრუნტი, ჩაიწყო უცხოეთიდან ჩამოტანილი სპეციალური სადრენაჟო მილები, დამონტაჟდა ვერტიკალური სანიაღვრე მილები...

ეს პირველი და მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოების ხარისხი უკვე შემოწმდა და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, „ფრიადი“ დაიმსახურა: კოკისპირულ წვიმაშიც კი (ასეთი თქეში ამ დღეებში, იცოცხლეთ, საკმაოდ იყო) ჯერჯერობით ხრეშმოყრილ მოედანზე არავითარი წყლის გუბე არ დამდგარა.

**— ვერტიკალური სადრენაჟო მილები რაღაც ახალია, ადრე ჰორიზონტულს აგებდნენ, ეს სიახლე თქვენ მოიგონეთ?** — ვეკითხები ალეკო კაკულიას.

— საქმე ისაა, რომ ჰორიზონტული მილების ჩაწყობა უამრავ დროს, მასალებს, მუშახელს ითხოვს. თანაც ვიდრე საერთო სანიაღვრეს მივუერთებდით, ასეთი მილების ჩაწყობა არაერთი ეზოსა და სახლის ქვეშ გათხრებს მოითხოვდა. ჩვენი ვერტიკალური მილებით წყლები გადის პირდაპირ ნიადაგში, საკმაო სიღრმეზე, მერე კი თავისი ბუნებრივი გზით მტკვარში ჩაედინება.

ეს მეთოდი მოგვიწონა გერმანიიდან სპეციალურად ჩვენთან ჩამოსულმა, სპორტული მოედნების ინსტრუქტორმა, შტუდგარტის საფეხბურთო მოედნების საინჟინრო ფაკულტეტის (ყოფილა ასეთი ფაკულტეტიც!) ხელმძღვანელმა, ცნობილმა სპეციალისტმა ჰერვიკ მიონსტერმა. იგი კმაყოფილია ჩვენი საქმიანობით, თანაც გვეხმარება კონსულტაციებით, რჩევებით და პრაქტიკული თანადგომით.

— მოგეხსენებათ, საერთოდ, განსაკუთრებით ზაფხულობით, რამდენიმე წყალია საჭირო საფეხბურთო მოედნების მოსარწყავად: 1 კვ მეტრისათვის — 40-მდე ლიტრი. მისი ფასიც, იცით ალბათ, არცთუ მცირეა, ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ პრობლემის ახლებურად, ასე ვთქვათ, რაციონალურად გადაჭრა — გვეუბნება მთავარი ინჟინერი დათო კაკულია.

**— მაინც როგორ?**

— უბრალოდ, მოვიწვიეთ ჰიდრომელიორაციის საძიებო სამუშაოთა მწარმოებლები ცნობილი სპეციალისტის ავთანდილ ხოფერიას ხელმძღვანელობით. სპეციალური მანქანის — საბურღი მექანიზმის საშუალებით ისინი უკვე აწარმოებენ ბურღვას და ჩვენთვის საჭირო წლის მოძიებას ნიადაგში. დარწმუნებული ვართ, ბაზას მალე ექნება საკუთარი სარწყავი საშუალება, ეს კი დიდძალ თანხას დაზოგავს.

...ჩვენს იქ ყოფნაში მოედანზე შემოვიდა საკმაოდ მსხვილი მილებით დატვირთული ავტომანქანა, მალე ამწეც ჩააფრინდა მომავალ წყალგაყვანილობას და გადმოტვირთვაც დაიწყო.

**— ყოჩაღი ბიჭები ჩანან** — ვეუბნები ბატონ ალეკოს, **— ზედმეტად არ ფუსფუსებენ, საქმეს ეშურებიან.**

— აქ ყველა გულიანად მუშაობს, ბაზის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, უბრალო მუშით დამთავრებული. ხომ იცი, სპორტი, კერძოდ ფეხბურთი ყველას უყვარს, ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს „დინამოს“ აყვავება-გაძლიერებაში. მერე ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სიამაყით ვეტყვით, რომ...

**— კი მაგრამ, მწვანე საფარი როდისღა დაიგება?**

— შეიძლება არც დავაგოთ, როგორც ხშირად აწყობენ, ბელტებით. ახლა ვარჩევთ ბალახის თესლს, ვფიქრობთ ადგილზე დათესვას, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ეს ამბავი, შეიძლება ვაგონებით ჩამოვიტანოთ ნატურალური ბალახის ხალიჩა.

— მოგეხსენებათ, „დინამოს“ ხელმძღვანელობა ახლახან გადახალისდა. მთავარი მწვრთნელი ბატონი ივო შუშაკი, სხვა მწვრთნელები, ბაზის დირექტორატი ძალიან შემართებულად, პატრიოტულად არიან განწყობილნი. მათთვის ეს ბაზა პირდაპირ ოჯახია. სწორედ ოჯახივით უვლიან აქაურობას, ჩვენგანაც ითხოვენ ძალიან მაღალ ხარისხს. ყველანი ვფიქრობთ, რომ ასეთი საფეხბურთო მოედანი ქვეყანაში არ იქნება! — აცხადებს ალეკო კაკულია. ყველა იქ მყოფი კვერს უკრავს.

**— ამით ამოწურავთ თქვენს მოვალეობას ბაზაზე?** — ვეკთხები მშენებლებს.

— ჯერ ამ მოედანს მოვაწყობთ სანიმუშოდ, მერე ხომ ხედავთ, მეორე მოედანია მისახედი. ეს კი არადა, ფეხბურთელებს ხელოვნურსაფარიანი მოედანიც არ მოსწონთ, ბაზის შემოსასვლელთან რომ ნახეთ. შეიძლება იმის რეკონსტრუქციაზეც იფიქროს ხელმძღვანელობამ მომავალში, — გვეუბნება ალეკო კაკულია.

**— ამ დიდ საქმეში, ვხედავ, ბევრი ღირსეული მამულიშვილია ჩართული, მოდით, რამდენიმე მაინც გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას...**

— კი, ბატონო. დავასახელებდი სამსახურის უფროსს გივი ფიროსმანიშვილს, ინჟინერ ავთო კენდელაძეს, მუშებს ზაურ სახოკიას, ბადრი მაღალდაძეს, ტოპოგრაფიული სამუშაოების ხელმძღვანელს იური გასპაროვს, რა ვიცი, მიჭირს გამოყოფა, ყველა კაცური კაცია, ვენაცვალე მაგათ — ემოციურად ამთავრებს ალეკო კაკულია, თან თავის უახლოეს თანაშემწე-მეგობრებს, ნაღდ სპეციალისტებს და პატრიოტებს დათო კაკულიას (სხვათა შორის, ალეკო და დათო უბრალოდ მოგვარეები არიან), გურამ ებანოიძეს, თემურ ნადირაძეს ეფერება.

თურმე მოფერებას და პატივისცემას ბევრი სიკეთე მოუტანია ქვეყანაზე. აქაც ასე იქნება — უდიდესი საშური და სამომავლო საქმე გაკეთდება!





ასეთი იყო, ასეთი არის საწვრთნელი ბაზის სტადიონი.

**ანზორ ბასილაია.**

სხვის ჯიბეში

## შუმახერის „ლიმონები“

სხვის ჯიბეში ფულის თვლა მაინცდამაინც მოსაწონი როდია, მაგრამ ცნობისმოყვარეობას ისეთი ძალა აქვს, რომ ჩაუდენელს ჩაგადენინებს. სწორედ ამან დაგვაწყებინა სახელოვანი ავტოპილოტის, 5-გზის მსოფლიო ჩემპიონის მიხაელ შუმახერის „ჯიბის ფულის“ თვლა და მისი დოლარების ბრწყინვალებამ ისე მოგვჭრა თვალი, რომ კინაღამ მზის საწინააღმდეგო სათვალეების ძებნა დავიწყეთ.

თანაც, მოდით, მის „ყულაბაში“ იმ სათვალეებით ჩავიხედოთ, რის რეკლამაშიც ფირმამ ორი წლის მანძილზე ნახევარი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. განა ასე ძნელია მზის სათვალეების ტარება?!

შეიძლება კაცმა იფიქროს, ალბათ, იტალიური „ფერარის“ გერმანულ ავტომრბოლს უჭირს და იმიტომ ეძებს „მარცხენა“ შემოსავალსო.

გაუჭირდება, აბა რა? „ფერარი“ ხომ მას რაღაც „გროშებს“ უხდიდა: წელიწადში 30 მილიონ დოლარს! ცოტააო, — იფიქრეს და „ლიმონი“ წაუმატეს. წლეულს კი 38 მილიონ ევროს მიიღებს. ის თავისი შემოსავლებით „ფორმულა-1“-ის რეკორდსმენია — თავისი კარიერის მანძილზე ავტოტრასებზე 197 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. თუმც ესეც მიხაელ შუმახერის საერთო შემოსავალში, რომელიც სულ თითქმის მილიარდ დოლარს უტოლდება, შეიძლება მართლა „გროშებად“ მოგეჩვენოთ.

კი მაგრამ, საიდან გროვდება ასეთი ასტრონომიული სიდიდის ფული? საკუთარი სუვენირული პროდუქციის გასაღებითა და სპონსორთა თუ რეკლამის მიმცემთა გამოსაღებებით.

თავად განსაჯეთ: თავისი ერთ-ერთი მთავარი სუვენირის — კეპების გაყიდვით ის წელიწადში 30 მილიონ დოლარზე მეტს ღებულობს, ხოლო დანარჩენი სხვა სუვენირებიდან კი — ამაზე ორჯერ მეტს. მხოლოდ იმიტომ, რომ მრბოლის კეპზე მიმაგრებულია ბანკის „დოიჩე ვერტ მოგენსბერატუნგ“ ლოგო, გერმანელები ყოველწლიურად მას 8 მილიონ დოლარს უხდიან. ერთ-ერთი ფირმა იმისათვის, რომ მის მუზარადზე მათი ეტიკეტია მიწებებული, ყოველი რბოლის შემდეგ 2 ათას დოლარს უხდის.



მაშინაც კი, როცა მიხაელი არაფერს აკეთებს, ფული მაინც მისდის. ალბათ გახსოვთ, 1999 წელს პილოტმა ფეხი მოიტეხა და რბოლებში ველარ მონაწილეობდა. ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია ყოველი გაცდენილი ეტაპისათვის მას 1,8 მილიონ დოლარს უხდიდა.

ქვეყნად ცოტა როდია ხალხი, თავის კერპთან ერთად სადილზე ან ვახშამზე რომ ოცნებობს. დიდი ამბავი! ის უარს როდი გეტყვით, ოღონდ გადაიხადე საათში 25 ათასი დოლარი და ოცნება აისრულე, თუმც გზაზე დასახარჯი დროც არ დაგავიწყდეთ.

ახლა რეკლამას არ იკითხავთ? რისა თუ ვის რეკლამას აღარ უკეთებს საქვეყნოდ სახელგანთქმული კაცი ავტომანქანებს თუ საათებს, შამპუნებსა თუ ელექტრონულ ტექნიკას, შვეიცარიული ტურიზმის ინვენტარს, სპორტულ ფეხსაცმელს თუ საცვლებს... მარტო „მარლბორო-ომეგა“ მას წელიწადში 2 მილიონს უხდის. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით. ისეც მიხვდებით, თუ საიდან ივსება ასე სწრაფად მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონის უძირო ყულაბა!

ნახე და გაიხარე

## კურნიკოვა თუ არა, მაშ, ვინ?

**გასულ ორშაბათს პარიზის საჩოგბურთო კორტებზე — „როლან გაროსზე“ დაიწყო „დიდი მუზარადის“ ტურნირის სეზონში მეორე ასპარეზობა. ჩოგბურთის სექსუალურად განწყობილ ფანატებს დიდი იმედგაცრუება ელოდათ:**

„როლან გაროსის“ კორტებზე არ გამოვიდა ანა კურნიკოვა — რუსეთელი ლამაზმანი, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ფეხის ტრავმა აწუხებს. მათ, ვისაც მოსვენებას არ აძლევს კურნიკოვას აშოლტილი ფეხები და სავსე თეძოები, შეუძლიათ გადაერთონ ტურნირის ფავორიტების — სერენას (მარცხნივ) და ვინუს (მარჯვნივ) უილიამსების ფეხებზე და სხვა თვალსაჩინოებებზე.

როგორც ირკვევა, პარიზის კორტებზე არიან არანაკლებ საინტერესო, ჩათქვირული ქალბატონებიც. ერთი სიტყვით, მაყურებლებს შეუძლიათ „თვალს წყალი დაალევინონ“...



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# აქეთური, იქეთური...

## 400 ლიტრი ლუდი გულშემატკივრებს, დანარჩენი – მეგობრებს

ცნობილ კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინის“, ანუ უბრალოდ „ჰამბურგის“ ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილი დარჩა, როდესაც იაპონელი ნაოხირო ტაკახარა მისი გუნდის წევრი გახდა. მოხდა ისე, რომ როგორც კი ამ იაპონელმა თავდამსხმელმა ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა და თანაც მუდმივი ჩემპიონის – „ბაიერნის“ კარში, ერთ-ერთმა ლუდის კომპანიამ მას 500 ლიტრი ლუდი აჩუქა.

იაპონელი სულაც არ ყოფილა ძუნწი. ამ 500 ლიტრიდან 400 მან გულშემატკივრებს აჩუქა, 100 კი შინ წაიღო და თავის გუნდის ფეხბურთელებს გაუმასპინძლდა.

## სასჯელიც ამას ჰქვია!

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ მართლაც რომ უმაგალითო გადაწყვეტილება მიიღო იმის გამო, რომ უმაღლესი ლიგის „კლუბ „იანინას“ მოთამაშეებთან დიდი დავალიანება აქვს, მას მოეხსნა 56 (!) ქულა. იმ 19 ქულის გაუქმებასთან ერთად, რომელიც კლუბს ჰქონდა, მას მომავალშიც დარჩება ვალი – 37 ქულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბს საერთოდ ვერაფერი იხსნის და მან უმაღლესი ლიგა უნდა დატოვოს.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ერთი რამ მაინც გაუგებარია – რა ეშველებათ ამით „იანინას“ მოთამაშეებს, რომლებიც ამდენი ხანია არ იღებენ ხელფასს?

## ანშო? დიდი დანაკლისია!

7 ივნისს უნდა განახლდეს შეჯიბრება ევროპის პირველობის მეათე შესარჩევ ჯგუფში, სადაც ჩვენი ნაკრები გამოდის. იმასთან დაკავშირებით, რომ ხუთივე ნაკრები მეტ-ნაკლებ იმედებს ინარჩუნებს, ახლა თითოეული მატჩი შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს.

შვეიცარიის ნაკრების ხელმძღვანელობა ჩივის: სერიოზულად დაშავდა ცენტრალური მცველი სტეფან ანშო, რომელიც „ლივერპულში“ გამოდის. თუ იგი 7 ივნისამდე, როცა შვეიცარიელები რუსეთის ნაკრებს იღებენ, არ გამომჯობინდა, მაშინ გუნდს დაცვაში პრობლემები შეექმნება.

## „ეს ხომ უმადურობაა!“

ჩვენს გულშემატკივრებს აინტერესებთ ყოველგვარი ცნობა, რაც კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეებს ეხება.

და აი, ცნობა იმის შესახებ, რომ შვეიცარიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კორბი კუნმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა მისი გუნდისადმი იტალიელების დამოკიდებულების გამო. საქმე ის არის, რომ შვეიცარიელებმა ესოდენ განთქმული გუნდი თავიანთ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩზე მიიწვიეს და ამას ჟენევაში ახალი სტადიონის გახსნაც დაუკავშირეს. იტალიელები კი როგორ მოიქცნენ: ჟენევაში წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფი არ ჩაიყვანეს, მეტოქე, ასე ვთქვათ, არაფრად ჩააგდეს და მაინც ეს შეხვედრა... მოიგეს.

## რას ჩაასივდა?!

როგორც პარიზის გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, საფრანგეთის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „ბორდოს“ პორტუგალიელ თავდამსხმელ კანეირას საინტერესო თავგადასავლები გადახდა. „პარი სენ-ჟერმენთან“ პირველ წრეში შეხვედრისას კანეირა მინდვრიდან გააძევეს ფიორეზთან უხეში თამაშის გამო და აი, ამ კლუბების მეორე წრის შეხვედრაში კანეირას კვლავ დაატოვებინეს მინდორი. რატომ? იმავე ფიორეზთან უხეში თამაშის გამო!

## „სარმით გავუმასპინძლდები! 20 სარმითაც!“

მადრიდის „რეალის“ კაპიტან ფერნანდო იეროს ხშირად ამტყუნებენ, რომ ხშირად არღვევს თამაშის წესებს.

იერო კი ასე ფიქრობს:

– თუკი თავდამსხმელი შეეცდება გვერდი ამიაროს და მე ველარ მოვახერხებ მის შეკავებას, აუცილებლად სარმით შევაჩერებ. თუკი საჭირო გახდება, ერთ მატჩში ოცჯერ წავაქცევ თავდამსხმელს. და, ერთხელაც კი არ გავწითლდები.

## ალპური ლიგა?

ეს საინტერესო ინიციატივა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის. მან წინადადება მისცა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციას ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატების გაერთიანების შესახებ. ეს კლუბების ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მეტ მაყურებელსა და სპონსორს დააინტერესებს.

გავიხსენოთ, რომ ავსტრია და შვეიცარია ერთობლივად აპირებენ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის გამართვას, ალპური ლიგა კი ხელს შეუწყობს ამ ორი ორგანიზატორი ქვეყნის შემდგომ დაახლოებას.

## ყველაზე ერთგული გულშემატკივარი

ყველაზე ერთგული გულშემატკივარი თურმე შოტლანდიაში ცხოვრობს. მას გორდონ კემპბელი ჰქვია. 90 წელს გადაცილებული გორდონი 81 წელია შოტლანდიის პირველობაზე მესამე დივიზიაში მოთამაშე კლუბ „სტირლინგ ალბიონის“ ქომაგია.

არც ისე დიდი ხნის წინათ შოტლანდიელმა სტატისტიკოსებმა ფრიად საყურადღებო მოვლენა აღნიშნეს – მისტერ კემპბელი მე-3000-ჯერ დაესწრო საყვარელი კლუბის მატჩს.

## დასვენება სჯობს, როცა 39 წლისა ხარ!

როგორც განთქმულმა დანიელმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა განაცხადა (იგი ეროვნებით გერმანელია), მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ იგი დაამთავრებს თავის პროფესიულ კარიერას.

4 წლის წინათ შმაიხელი „მანჩესტერ“ იუნაიტედს“ გამოეთხოვა, შემდეგ კი სამ კლუბში – ლისაბონის „სპორტინგში“, ბირმინგემის „ასტონ ვილასა“ და „მანჩესტერ სიტიში“ მოასწრო გამოსვლა.

39 წლის მეკარე აცხადებს, რომ მისი ორგანიზმი უკვე ვეღარ უძლებს დატვირთვებს, ამიტომაც დადგა დრო, შეწყვიტოს თამაში.

## 45 პროცენტით ხელფასის შემცირება? – არავითარ შემთხვევაში

გამოჩენილმა ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა (იგი რომის „ლაციოში“ თამაშობს) სასაცილო უწოდა კლუბის ხელმძღვანელობის წინადადებებს, ამ 30 წლის ფეხბურთელს რომ მიეცა.




„ლაციო“ სტამს სთავაზობს ახალ კონსტრაქტს, რომლის დროსაც მას ხელფასი 45 პროცენტით შეუმცირდება და ხელფასის ოთხთვიან დავალიანებასაც აქციებით მიიღებს.

– ეს პირობები სრულიად მიუღებელია. მე რომ სუპერმარკეტში შევალ ოჯახისათვის სანოვაგის საყიდლად, დანახარჯი აქციებით გადავიხადო?..

სტამი იმუქრება, რომ თუ ამ პირობებს არ შეცვლიან, სხვა კლუბში გადავალო.

## რონალდოს 300 გოლი

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა რონალდომ „მალიორკასთან“




ამასწინანდელ მატჩში თავისი მესამე გოლი გაიტანა. რაც შეეხება კარიერაში პირველ გოლს, მისი ავტორი „კიჭა“ 1993 წლის 5 აგვისტოს გახდა ამხანაგურ მატჩში ბრაზილიური „ბელენენსეშის“ წინააღმდეგ. მაშინ რონი „კრუზეიროს“ შემადგენლობაში გამოდიოდა.

## ზანგს სოლარიუმის აბონემენტი აჩუქა, რათა უკეთ გაშავებულიყო

განთქმული ფეხბურთელი პოლ გასქოინი ალკოჰოლისადმი დიდ მიდრეკილებასთან ერთად, გამოირჩევა იუმორითაც. იგი აკვირდება თავის პარტნიორებს, ხშირად დასცინის მათ, ზოგჯერ მახვილგონივრულად, ზოგჯერ კი... უხეიროდ.

ერთხელ რომის „ლაციოში“ თამაშის დროს პოლ გასქოინმა თავის შავკანიან პარტნიორს, ჰოლანდიელ არონ ვინტერს აჩუქა... სოლარიუმის აბონემენტი.

## დაიბადა პირდაპირ... სტადიონზე

60-იანი წლების მიწურულში ერთი ინგლისური გაზეთი წერდა: „ყველაზე ნორჩი ფეხბურთის გულშემატკივარი ჩვენთან ცხოვრობს“. ეს მართლაც ასე იყო – ედი ჰარტფორდი პირდაპირ სტადიონზე „სტოკ სიტისა“ და „არსენალის“ მატჩის დროს დაიბადა. თამაშის შემდეგ მას მიართვეს ბურთი მატჩის მონაწილეებისა და სამი მსაჯის ავტოგრაფით, აგრეთვე გამოუწერეს 50 გირვანქა სტერლინგის ჩეკი.

## სახელები უცნაურად დაემთხვა

იტალიურ „პიაჩენცაში“ თამაშობს არგენტინელი თავდამსხმელი კამპანიერო, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი გახლავთ ურგო არმანდო მარადონა. ეს კი უცნაურად დაემთხვა დიეგო მარადონას უმცროსი ძმის სახელსა და გვარს. უგო არმანდო მარადონაც თავის დროზე თამაშობდა ფეხბურთს პროფესიულ დონეზე, თუმცა არც ისეთი წარმატებით.

## გაქარცულმა მსაჯმა... თამაში შეწყვიტა

კურიოზული რამ მოხდა იტალიის სამოყვარულო კლუბების „პასირანოსა“ და „უზო ომეს“ შეხვედრაში, როცა შესვენებისას მსაჯი მარიო ლაინი გასახდელში შევიდა, აღმოაჩინა, რომ ვიღაცას მოუპარავს მისი ჩანთა და საათი „როლექსი“. იგი ისე გამწარდა, რომ მაშინვე გამოაცხადა – თამაში აღარ განახლდებოდა, ფედერაციისადმი მიმართვაში კი აღნიშნა, რომ ეს „უშიშროების მოსაზრებით გააკეთა“.

## ოღონდ „მილანში“ დარჩეს...

... უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო თანახმაა მომავალი, 2003-2004 წლების სეზონიდან გაცილებით ნაკლები ხელფასი მიიღოს.

იმის გამო, რომ პრესაში ხშირად ჩნდება ცნობები შევჩენკოს „მილანთან“ გამოთხოვების შესახებ, უკრაინელს მოუხდა მათი საჯაროდ უარყოფა.

მისი ახლანდელი კონტრაქტი კლუბთან 2006 წელს მთავრდება.

## არავინ იცნობდა, ახლა კი...

არ გვგონია, ფეხბურთის ბევრ გულშემატკივარს გაეგონოს ესტონეთის ნაკრების ნახევარმცველ მარკ კრისტალის გვარი. იგი ახლა ყურადღებას იპყრობს ეროვნულ ნაკრებში თავისი გამოსვლების რიცხვით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამას წინათ კრისტალმა ასეთ დონეზე თავისი 126-ე შეხვედრა გამართა და ამით დაეწია ისეთ განთქმულ ოსტატებს, როგორიც პაოლო მალდინი და ანდონი სუბისარეტა არიან.

ახლა ევროპელთაგან, ამ სამეულს უსწრებენ ლოთარ მათეუსი (150 მატჩი), თომას რაველი (143) და პეტერ შმაიხელი (129). სამივე უკვე გამოეთხოვა ნაკრებს. ისე, რომ კრისტალი უახლოეს ხანებში, ყოველ შემთხვევაში, შმაიხელს მაინც ჩამოიტოვებს.

## თუკი ბესკოვი ყავას შემოგთავაზებდა...

ვეტერან ფეხბურთელებს ძალიან ეშინოდათ, რომ დადგებოდა დღე და მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი მათ გუნდიდან გარიცხავდა.

და აი, რას დააკვირდნენ: ბესკოვი ასეთ ფეხბურთელს შინ იბარებდა, აუცილებლად შესთავაზებდა ყავას და შემდეგ აუხსნიდა, რატომ ითხოვდა მას გუნდიდან.

წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ვალენტინ ბუბუკინი იგონებს:

– ყველაფერი ძველი სქემის თანახმად კეთდებოდა. ჯერ ვიქტორ ვოროშილოვი დაიბარა და ყავას მისი დათხოვნა მოჰყვა. ვოროშილოვი ჩემზე უფროსი იყო, მერე კი ჩემი ჯერი დადგა. რომ დამიბარა და ყავა შემომთავაზა, დავასწარი და ვუთხარი: „როდის დავწერო განცხადება“?

## აი, კალამი, რათა კიდევ ბევრ ხელშეკრულებას მოაწეროთ ხელი... ჩვენთან!

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა, რომელიც ძალიან კმაყოფილია თავის გუნდში ბრაზილიელი რონალდოს თამაშით, ეს გარემოება თავისებურად აღნიშნა. მან ფეხბურთელს კალამი გადასცა შემდეგი სიტყვებით: „რათა რონიმ კიდევ ბევრ ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი სამეფო კლუბთან“.

## „სტრასბური“ იყიდება – ვინ არის მსურველი?

1997 წელს ახლო წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა პატრიკ პრუაზიმ, იმ მომენტისათვის კი უკვე კომპანია „აი-ემ-ჯის“ (სპორტული მარკეტინგი) მფლობელმა, შეიძინა ცნობილი ფრანგული საფეხბურთო კლუბი „სტრასბური“ და იმედი ჰქონდა, რომ მას ქვეყანაში უძლიერესად აქცევდა. ამ 6 წლის განმავლობაში პრუაზიმ კლუბს 23 მილიონი ევრო კი დაახარჯა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ახლა იგი აცხადებს, რომ ჰყიდის „სტრასბურს“, ვნახოთ, ვინ იქნება მყიდველი.

## ათასს გადააჭარბა

ლონდონის „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ სიმენი 39 წლისაა, მაგრამ სულაც არ აპირებს ფეხბურთისათვის თავის დანებებას. აპრილის მიწურულში მას თავისებური იუბილე ჰქონდა, თავისი მეათასე ოფიციალური მატჩი გამართა, მაისში კი გადააჭარბა კიდეც მას.

კარიერის დასაწყისში სიმენმა 106 მატჩი ითამაშა მესამე დივიზიონის კლუბ „პეტერსბროში“, შემდეგ 84 – „ბირმინგემ სიტის“ შემადგენლობაში, 175 – ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსში“, უკვე 563 – ლონდონის „არსენალში“ და 75 – ინგლისის ეროვნულ ნაკრებში.

## ხუმრობა – ხან უხეირო, ხან – ისე, რა

იტალიელ კომიკოს მსახიობ პაოლო კალაბრეზის ერთი სული აქვს, ვინმეს გაეხუმროს, ვინმე შეაცდინოს.

ერთხელ იგი „სან-სიროს“ სტადიონზე „მილანისა“ და „პერუჯას“ მატჩის დროს საპატიო სტუმრების ლოჟაში შევიდა და თავი ის-ის იყო არჩეულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბელგიელ ჟაკ როგედ გაასაღა. იფიქრა, მის სახეს ასე მალე ვერ დაიმახსოვრებენო. გაუგეს და გამოაძევეს.

ეს მისი პირველი ხუმრობა არ ყოფილა. ერთხელ რომის ოლიმპიურ სტადიონზე „ლაციოს“ მატჩის დროს თავი ევროპის ერთ-ერთი ჯუჯა სახელმწიფოს მმართველად გამოაცხადა. იმავე „სან-სიროზე“ კი მთელი ორი წლის მანძილზე შედიოდა, როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავი ნიკოლას კეიჯი.

## პელეს რა შეედრება!

ამას წინათ რონალდომ თავის კარიერაში მე-400 ოფიციალური მატჩი გამართა. რა თქმა უნდა, მშვენიერი მიღწევაა, მაგრამ შესადარებელიც კი არ არის პელეს შედეგებთან.



საქმე ის არის, რომ რონალდოს ასაკში (იგი 26 წლისაა) პელეს 840 ოფიციალური მატჩი ჰქონდა გამართული. იგი ხომ წელიწადში დაახლოებით 100 მატჩში მონაწილეობდა

## მინდვრიდან 24-ჯერ გააძევეს!

რით არის ცნობილი ფეხბურთის სამყაროსათვის „სევილიის“ (ესპანეთის უმაღლესი ლიგა) მცველი პაბლო ალფარო?

არაფრით! იტყვით თქვენ, მაგრამ მთლად სწორი მაინც არ იქნებით.

საქმე ის არის, რომ ალფარო, ალბათ, ერთადერთი ფეხბურთელია მსოფლიოში, რომელიც მინდვრიდან (ძნელიც კია ამის დაჯერება) უკვე 24-ჯერ გააძევეს!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაჰ, დრონი, დრონი...

# მასწავლებელი, მეგობარი, კოლეგა




1958 წელს, სხვადასხვა რედაქციაში პრაქტიკაზე განაწილებულ თსუ-ს ჟურნალისტიკის განყოფილების მეოთხეკურსელთა შორის, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ინფორმაციის განყოფილებაში გამიშვეს ერთი თვით. სწორედ იქ შევხვდი ნამდვილ პროფესიონალებს, როგორც ამბობდნენ, „გაზეტჩიკებს“ და მათ შორის — მიხეილ კაკაბაძეს, რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორობიდან იქ გაუმწესებიათ განყოფილების გამგედ.

მიშა (კუწა, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ) ტოლ-სწორივით შემხვდა, გაარკვია, რომ „სპორტული ორიენტაციის“ ვიყავი და შემომთავაზა რამდენიმე თემა, მათ შორის — უმაღლეს ლიგაში გადასული ქუთაისის „ტორპედოს“ ახლად დამთავრებული სტადიონის შესახებ რეპორტაჟის მომზადება. ჩამოტანილი მასალა ფოტოსთან ერთად სასწრაფოდ მოამზადა, სამდივნოს ჩააბარა და პირველი წარმატებაც მომილოცა.

... იმ ერთ თვეში მისგან ვისწავლე იმდენი, რაც უნივერსიტეტში წლების მანძილზე არ დამსიზმრებია. მიხეილ კაკაბაძემ მასწავლა ჟურნალისტისთვის მართლაც აუცილებელი პასუხისმგებლობა, აკურატულობა, სიზუსტე და... იუმორისადმი სერიოზული (!) დამოკიდებულება. მიხეილ კაკაბაძე გახლდათ ფილოსოფიურად მოაზროვნე, ცინცხალი გონების, ახლის ძიებისა და პოვნის დიდოსტატი. იგი, შეიძლება ითქვას, მთელი სხეულით გრძნობდა სიტყვას, სწორ გამოთქმას, ფორმისა და შინაარსის ორგანულობას.

ერთხელ, მაშინ ახალგაზრდა მოჭადრაკემ და ჟურნალისტმა გივი გამრეკელმა განყოფილებაში მოიტანა ინფორმაცია თბილისის კინოსტუდიაში ერთ-ერთი დიდოსტატის (გვარი აღარ მახსოვს) მიერ გამართული ერთდროული თამაშის სეანსის შესახებ, სადაც წერდა, რომ იმ დიდოსტატთან ყაიმისთვის მიუღწევია კინოსტუდიის დარაჯს (СТОРОЖ). მიშამ სათვალის ზემოდან გადმოხედა გივის და უთხრა: ეს „სტოროჟი“ ასე მუჭორსკია (მას უყვარდა უცნაური, მეგრულით შეზავებული გამოთქმები) და ტექსტში შეიტანა ცვლილება: ყაიმს მიაღწია კინოსტუდიის მუშაკმაო.

მიშა კაკაბაძეს ძალიან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ჟურნალ „ნიანგის“ თანამშრომლებთან, მათ შორის — მხატვარ გივი ლომიძესთან, რომელიც, ასევე დიდი იუმორის „პატრონი“ იყო. მათი ურთიერთობა მოსწრებული გამოთქმებით, სილაღით გამოირჩეოდა და, ძალაუნებურად, ახალგაზრდებსაც ჩაგვითრევდა ხოლმე.

იმ შორეულ წლებში ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ 14-15 წლის შემდეგ, 1976 წელს მომიწევდა დიდი პროფესიონალი ჟურნალისტის, მასწავლებლის, საყვარელი ადამიანის შეცვლა გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის თანამდებობაზე. მიხეილ კაკაბაძე რატომღაც დააშორეს მის საყვარელ გაზეთს 1974 წელს. თითქმის მთელი ორი წელიწადი გავიდა, ვიდრე მის შემცვლელს მონახავდნენ. ეს კი არ იყო იოლი, რადგან მიხეილ კაკაბაძე კარგად ცნობილი, პროგრესულად მოაზროვნე, საქმეში ღრმად ჩახედული, არაორდინარული პიროვნება გახლდათ.

როდესაც რედაქტორის კაბინეტში შევედი როგორც შემცვლელი, მის დიდრონ, შავ თვალებში დავინახე სევდის ჩრდილი, თუმცა ალალად მომილოცა და წარმატებები მისურვა.

ალბათ, სევდამ გაუმძაფრა ავადმყოფობა, რომელიც წლების მანძილზე აწუხებდა. ვფიქრობ, მანვე მოუსწრაფა სიცოცხლე მომავლის ქართველს — მიხეილ კაკაბაძეს.

**ანზორ ბასილაია.**

**დღეს კაფეში „მსოფლიო სპორტი“ გაიმართება მიხეილ კაკაბაძის ხსოვნის საღამო და მისდამი მიძღვნილი მოგონებათა წიგნის პრეზენტაცია.**

ჭადრაკი

# ევროპის ორი ჩემპიონატი სტამბოლში

**2000 წლიდან მოყოლებული ევროპის საჭადრაკო კავშირი მართავს კონტინენტის ჩემპიონატებს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ეს შეჯიბრებები ისეთ საინტერესო და ძლიერ შემადგენლობებს იკრებენ, რომ ამ მხრივ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებს თუ ჩამოუვარდებიან.**

ევროპის 2000 წლის პირველობა ქალთა შორის გაიმართა ბათუმში 13 ქვეყნის 32 მოჭადრაკის მონაწილეობით. მასში ჩვენი არაერთი დიდოსტატი და ოსტატიც თამაშობდა. შეჯიბრების მთავარ ფავორიტად მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ითვლებოდა, მაგრამ მან მხოლოდ სამი წრე გაიარა და ნახევარფინალამდე მიაღწია. ფინალში კი ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის წარმომადგენელი ეკატერინა კოვალევსკაია და უკრაინელი ნატალია ჟუკოვა. წინასწარ უპირატესობას კოვალევსკაიას ანიჭებდნენ, მაგრამ ჟუკოვა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, გაიმარჯვა ანგარიშით 2,5:1,5 და ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა.

თუ ქალთა ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით გაიმართა, ვაჟთა პირველობისათვის შვეიცარულ სისტემას მიმართეს, 11 ტურად. ეს გასაგებიც იყო, რადგან იტალიურ ტურნირში სენტ-ვინსენტში 120-მა მოჭადრაკემ მოიყარა თავი. 8-8 ქულით პირველ ოთხი ადგილი გაიყვეს პაველ ტრეგუბოვმა (რუსეთი), ალექსეი ალექსანდროვმა (ბელორუსი), თადეუშ მარკოვსკიმ (პოლონეთი) და ანდერი ხარლოვმა (რუსეთი). დამატებითი მონაცემებით პრიზებიც სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა. ჩემპიონობა კი, ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად ტრეგუბოვს ხვდა, რომელსაც შეჯიბრების დაწყებამდე ფავორიტად არავინ თვლიდა. ზურაბ აზმაიფარაშვილმა 7 ქულით დაასრულა შეჯიბრება.

მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო ასევე შვეიცარული სისტემა (11 ტურად) აირჩიეს ქალთა 2001 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ვარშავაში. შედეგები, პირდაპირ ვთქვათ, მეტად თავისებური იყო: მთავარი პრიზები ერთბაშად შვიდმა მოჭადრაკემ გაინაწილა ასეთი თანმიმდევრობით: 1. ელვირა სკრიპჩენკოლოტიე (მოლდოვა), რომელიც ახლა ჩემპიონი გახდა. 2. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი). 3. ქეთევან არახამია (საქართველო). 4. ალისა გალიამოვა (რუსეთი). 5. კრისტინა ფოიშორი (რუმინეთი). 6. ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია) და 7. ტატიანა სტეპოვაია (რუსეთი). მათ 8-8 ქულა მოაგროვეს. ნინო ხურციძემ 7,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება, ნანა ძაგნიძემ და ქეთევან კახიანმა (გერმანია) — 7-7 ქულით.

ვაჟთა მეორე ჩემპიონატი მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში გაიმართა, ამასთან, მონაწილეების რაოდენობის გაზრდის გამო, შვეიცარული სისტემით უკვე 13 ტურის გათამაშება გახდა საჭირო. ემილ სუტოვსკიმ (ისრაელი) და რუსლან პონომაროვმა 9,5-9,5 ქულით დაასრულეს შეჯიბრება. დამატებით პარტიებში წარმატების შემდეგ ჩემპიონობა სუტოვსკის მიენიჭა. 9-9 ქულა მოაგროვეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა და იუდით პოლგარმა (უნგრეთი). ზურაბმა გაიმარჯვა ამ დამატებით პარტიებში და მესამე პრიზი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქალთა 2002 წლის ჩემპიონატს ბულგარეთის ქალაქმა ვარნამ უმასპინძლა. აქ ღირსეული კონკურენტი არ ჰყავდა 23 წლის ანტუანეტა სტეფანოვას. მან პირველი 4 პარტიის მოგების შემდეგ ყაიმით დაამთავრა მეხუთე (კოვალევსკაიასთან), შემდეგ მოიგო ზედიზედ კიდევ 3 და გაინაღდა კიდეც პირველი ადგილი. მეორე ადგილი დარჩა 20 წლის ლილიტ მკრტიჩიანს, მესამე — მრავალნაცად ალისა გალიამოვას.

მაშ ასე, ევროპის პირველი სამი ჩემპიონი — ჟუკოვა, სკრიპჩენკო-ლოტიე და სტეფანოვა.

ევროპის 2002 წლის ჩემპიონატი ვაჟთა შორის ბათუმში გაიმართა. საინტერესოა, რომ მასში 4 ქალიც მონაწილეობდა: მაია ჩიბურდანიძე, ნატალია ჟუკოვა, ანა მათნაძე და ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი). პირველი ადგილი საკმაოდ მოულოდნელად მოიპოვა ახალგაზრდა პოლონელმა დიდოსტატმა ბართოლომეი მაჩეიამ, მეორე — ვადიმ მილოვმა (შვეიცარია), მესამე — სერგეი ვოლკოვმა (რუსეთი).

ვნახოთ, რას მოგვიტანს ევროპის ეს ორი ჩემპიონატი ჭადრაკში, რომლებსაც სტამბოლი უმასპინძლებს.

**გივი თორელი.**

ნუთუ?

# კაპიტანი მწყობრშია და იმედს არ ჰკარგავს

**ეს თავისებური ამბავი მართლაც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. შარშან განთქმულ „ფიორენტინას“ სახელოვან კლუბს იტალიის სერია A-სთან გამოთხოვება მოუხდა. მის შემადგენლობაში რამდენიმე ცნობილი ოსტატი გამოდიოდა, რომლებიც სხვა კლუბებმა მიიწვიეს. გადაწყდა „ფიორენტინას“ საერთოდ გაუქმება. მის ნაცვლად შეიქმნა სამოყვარულო კლუბი „ფლორენცია“, რომელმაც 3 საფეხურით დაბლა მდგომ „სერია C-2“-ში (შეიძლება მას მეოთხე ლიგაც ვუწოდოთ) დაიწყო თამაში.**

**და აი, საოცრება — როცა „ფიორენტინა“ ყველა მოთამაშემ დატოვა, ამის გაკეთება არ მოინდომა ცნობილმა ოსტატმა, 36 წლის ანჯელო დი ლივიომ, გუნდის კაპიტანმა, თუმცა მას არაერთი განთქმული კლუბი იწვევდა. იგი „ფლორენციაში“ დარჩა და მისი კაპიტანიც გახდა. 2002-2003 წლების სეზონში ახალმა კლუბმა ერთი საქმე უკვე გააკეთა — იგი „სერია C-2“-დან „სერია C-1“-ში გადავიდა.**

**რამდენიმე კითხვა ამ იშვიათ რაინდ ანჯელო დი ლივიოს, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წელს მსოფლიო პირველობაზე თამაშობდა, საერთოდ კი იტალიის ნაკრებში 37 მატჩი აქვს გამართული და ახლაც მისი მზადყოფნა უდავოდ მაღალია. მას ტურინის გაზეთ „სტამპას“ კორესპონდენტი ესაუბრება.**

**— მე იმ გუნდის კაპიტანი ვიყავი, რომელმაც „სერია A“ დატოვა და დაიშალა. ახლა ამ გუნდის კაპიტანი ვარ, რომელმაც გულშემატკივრების იმედი უნდა გაამართლოს.**

**— გამოგვიტყდით: ეს ხომ იგივეა, რაც კაცი რომის განთქმულ სასტუმრო „პლაზაში“ ცხოვრობდეს და იქიდან რომელიმე მიყრუებული ადგილის პანსიონში გადავიდეს, ჰიდრომასაჟის ნაცვლად ცივი შხაპით დაკმაყოფილდეს?**

**— დიახ, ასეა, მაგრამ მე ამაზე მაინცდამაინც არ მიფიქრია.**

**— უკანასკნელი კონტრაქტით თქვენ „ფიორენტინაში“ წელიწადში სამ მილიარდ ლირას იღებდით (1,5 მილიონ ევროზე ოდნავ მეტს). როგორ არის ამ მხრივ საქმე ახალ „ფლორენციაში“?**

**— 80 პროცენტით ნაკლებს ვიღებ. ბევრი ფული კი დავკარგე, მაგრამ ადამიანური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი მოვიგე.**

**— განა არ გიკვირთ, რომ ისეთი მშვენიერი მინდვრების შემდეგ „ხრიოკ“ ადგილებზე თამაშობთ. აქ გირტყამენ კიდეც, მიფურთხებასაც კადრულობენ, რახან ტელევიზია მატჩებს არ იღებს და ვერავინ დაინახავს.**

**— ვიცი, ვიცი, ეს ხომ თავისებური ჯუნგლებია, მაგრამ აქ დარჩენას დიდხანს არ ვაპირებ.**

**— ამისათვის თქვენ ნამდვილი გმირობა უნდა გამოიჩინოთ.**

**— ფლორენციელი გულშემატკივრები ამას ნამდვილად იმსახურებენ.**

**დი ლივიოს ყოველ გამოჩენას მინდორზე ფლორენციელი გულშემატკივრები ყოველთვის მქუხარე ტაშით ხვდებიან.**

## 32-ს 36 სჯობს

**ასე ფიქრობს ფიფას ხელმძღვანელობა (მას სავსებით უჭერს მხარს უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსენიც) და ამიერიდან მსოფლიო პირველობაზე 32 ნაკრების ნაცვლად 36 ითამაშებს. ეს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ინიციატივით კეთდება, მაგრამ მასვე დაევალა მოუაროს ყველა პრობლემას, რომელიც კალენდართან არის დაკავშირებული. ეს რაოდენობითი ცვლილებები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატიდან მოხდება.**

**როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის ახალი ფორმატის რატიფიკაცია მოხდება პარიზში, ივნისში, როცა ფიფას აღმასკომის 24 წევრი შეიკრიბება.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მხნე ჯარისკაცი. III ნაწილი

ათლეტიზმი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა წვევამდელი ჭაბუკების ჯარში სამსახურისთვის მოსამზადებლად. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძალასთან შედარებით არმიაში უპირატესობა გამძლეობას ენიჭება და ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. უნიკალურია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტურ კლუბ „ამირანის“ მწვრთნელების — ნიკოლოზ სარალიძისა და გია ჯმუხაძის აღზრდილის — **სერგო მერაბიშვილის** მიღწევა ბაგირზე ცოცვაში — საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია 6 საათის განმავლობაში 400-ჯერ აცოცდეს 6-მეტრიან ბაგირზე.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს სერგო მერაბიშვილს შესრულებით.

**1. მიზიდვა ნიკაპით ძელის შეხებამდე (სურ. 1, 2).** სრულდება 5 მისვლა 15-15 გამეორებით.

**2. ორძელზე აზიდვა წელზე დამაგრებული საწონით (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 20-20 გამეორებით.

**3. 6 მეტრის სიგრძის ბაგირზე ცოცვა ფეხების გამოუყენებლად (სურ. 4).** ათლეტი 30-ჯერ ადის ბაგირზე 0,5-წუთიანი შესვენებებით.

**4. მუცლის კუნთების ვარჯიში ძელზე (სურ. 5).**

ათლეტი მართ კუთხემდე სწევს ფეხებს და ასრულებს 5 მისვლას 30-30 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**გენადი სანაიას ფოტო.**
















გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## აშკარა-დაუჯერებელი

# წმინდა შუბის მაგია

*„მაგრამ ერთმა მეომარმა შუბი აძგერა ფერდში, და მყისვე გადმოსჩქეფა სისხლმა და წყალმა“.*
**სახარება იოანესი. თ. 19.34.**

**ლონგინოსის შუბი, რომლითაც რომაელმა ჯარისკაცმა ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ფერდი განუგმირა, სხვა ქრისტიანული სიწმინდეებისაგან განსხვავდება. თუ წმინდა ნივთები მორწმუნეთათვის თაყვანისცემის სიმბოლოებს წარმოადგენენ, ლონგინოსის შუბს მისტიკურ ძალას მიაწერენ. თვლიან, რომ შუბის პატრონი ყოველთვის აღზევებულია და მას მსოფლიოზე ბატონობის პრეტენზია აქვს.**

### ქრისტეს შობამდე საუკუნეებით ადრე

ლონგინოსის შუბი ქრისტეს შობამდე დაამზადეს. იგი თავისი საიდუმლო მიზნებისათვის იუდეის მესამე მღვდელმთავარმა ფინესმა გამოჭედა. საზოგადო მოღვაწემ და მხედართმთავარმა, როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, ამის შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა, ამასთან ერთად, ღმერთის ნებას ხალხს უქადაგებდა. ფინესის გარდაცვალების შემდეგ შუბი ხელიდან ხელში გადადიოდა. უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მისი მფლობელი აუცილებლად მსოფლიოს მბრძანებელი უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, შუბის პირველმა მფლობელმა ამ იარაღში შეათავსა სიკეთისა და ბოროტების ძალა. სამწუხაროდ, ძალათა ეს ორი პოლუსი მხოლოდ შუბის მფლობელს ემორჩილებოდა და მისი ბუნებიდან გამომდინარე შეეძლო როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების ქმნაც. ამ თვისებების გამო ფინესის შუბს თავდაპირველად „ბედის შუბის“ სახელი უწოდეს. ეს მოხდა მაცხოვრის დაბადებამდე საუკუნეებით ადრე.

შუბის ხელში ჩასაგდებად ბევრი იბრძოდა, ბევრი ოცნებობდა გამხდარიყო ამ უნიკალური იარაღის მფლობელი. იგი ხელთ ეპყრა იერიქონის კედლებთან მდგარ იესო ნავინს; მეფე საულმა ეს შუბი სტყორცნა ახალგაზრდა დავითს; ამ შუბის ყოვლადშემძლე ძალით გათამამებულმა იროდმა ბრძანა ყველა ჩვილის ამოხოცვა. საბოლოოდ შუბი ხელში ჩაუვარდა რომაელ ცენტურიონს ლონგინოსს, სწორედ მან აძგერა ფერდში გოლგოთაზე ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ეს შუბი.

შუბის სასწაულმოქმედ შესაძლებლობებზე მთელი მაშინდელი მსოფლიო საუბრობდა. შუა საუკუნელი ერეტიკოსები და ურწმუნოები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ მაცხოვარი ღმერთის შვილი კი არა, უბრალო მოკვდავი იყო. იგი მკვდრეთით იმის წყალობით აღდგა, რომ მას ფერდი სწორედ ამ სასწაულმოქმედი შუბით განუგმირა რომაელმა ასისთავმა. სწორედ შუბის წყალობა იყო ის, რომ მაცხოვარმა მარადიული უკვდავება მოიპოვა.

მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ თავდება შუბის ბიბლიური ისტორია და იწყება რეალური ამბავი მაგიური თილისმისა.



### ეჩმიაძინის მონასტერი – ლონგინოსის შუბის ადგილსამყოფელი?

საეკლესიო გადმოცემით ლონგინოსმა გოლგოთაზევე ირწმუნა ღმერთი. მაცხოვრის სიკვდილით დასჯის შემდეგ რომაელ ცენტურიონს აღმოხდა: **„მართლაც ღვთის შვილი იყო იგი, ვინც ახლა ჯვარზე გააკრეს“.** სულ მალე ლონგინოსი თავად გაეშურება ქრისტიანობის საქადაგოდ კერპთაყვანისმცემლებთან. სწორედ მას მიეწერება ძველ სომხეთში პირველი ქრისტიანული საზოგადოების დაარსება. იქ დატოვა ლონგინოსმა ყოვლისშემძლე შუბი, რომელიც ორასი წლის შემდეგ სომხური სამოციქულო ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა. არის სხვა მოსაზრებებიც: სომხეთის ტერიტორიაზე ეს რელიკვია მოციქულმა ფადეუსმა შეიტანა. ასეა თუ ისე, ისტორიულად დამტკიცებულია, რომ შუა საუკუნეებში „ბედის შუბი“ აირივანკის მონასტერში ინახებოდა. შემდეგ მონასტერს სახელი გადაუკეთეს და სურბ გეგარდი შეარქვეს, რაც ქართულად „წმინდა შუბს“ ნიშნავს. XVII საუკუნეში შუბი ეჩმიაძინის მონასტერში დიდი ზარ-ზეიმით გადაიტანეს. ამის შემდეგ ამ უნიკალურმა რელიკვიამ მხოლოდ ერთხელ დატოვა სომხეთის მონასტერში განთავსებული წმინდა ნივთების საუფლო.

1805 წელს მთავარმართებელ პავლე ციციანოვის ბრძანებით, გენერალმა ნესვეტაევმა მცირერიცხოვანი რაზმით ბრწყინვალე ოპერაცია განახორციელა და ეჩმიაძინი – სომეხი კათალიკოსების რეზიდენცია, თურქებისაგან გაათავისუფლა. სასულიერო პირთა თხოვნით, ტაძარში დაცული სიწმინდეები გენერალმა ციციანოვმა უსაფრთხოების მიზნით თბილისში ჩაიტანა. ამის შესახებ მოახსენეს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს. იმპერატორმა სომხეთის კათალიკოს-პატრიარქს დანიელს აღუთქვა, რომ პირველივე მოთხოვნისთანავე სიწმინდეები სომხეთის ეკლესიას დაუბრუნდებოდა. იმპერატორმა პირობა არ დაარღვია. ამჟამად „ბედის შუბი“ ეჩმიაძინის სიწმინდეთა საცავში ინახება და შვიდ წელიწადში ერთხელ სპეციალურ ცერემონიაზე, რომელსაც სომხეთის კათალიკოსი ხელმძღვანელობს, გამოაქვთ. შუბის ბუნიკი ვერცხლის კიდობანში დევს. ამ დროს მისი ხილვა ნებისმიერ მორწმუნეს შეუძლია. ბოლოს მორწმუნეებმა შუბი 2001 წლის სექტემბერში იხილეს.



ლონგინოსის შუბი რომ სომხეთში ინახება და ის მართლაც სასწაულმოქმედია და არა მისი ასლი, ამას უამრავი მეცნიერი ეჭვობს. დასაფიქრებელია და ეჭვის საბაბს აღძრავს ის ფაქტიც, რომ შუბი სრულიად განსხვავდება ფინესის მიერ გამოჭედილი ბუნიკისაგან, რომლის აღწერილობაც თაობიდან თაობას საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა. მეორე – შუბის სახელი ისე იყო მთელ მსოფლიოში ცნობილი, რომ მის ხელში ჩასაგდებად, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თითქმის ყველა გამოჩენილი მმართველი იბრძოდა. არავინ დაუშვებდა იმას, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სასწაულმოქმედი შუბი ასე დაუცველად ყოფილიყო ეჩმიაძინის ტაძარში, მაშინ როდესაც სომხეთზე დიდხანს ბატონობდნენ სხვადასხვა დამპყრობლები.

უფრო მეტიც, ყურადსაღებია რელიკვიაზე მინაწერიც, რომელიც ჟურნალისტებმა და მეცნიერებმა ეჩმიაძინში გამართული ცერემონიის დროს ამოიკითხეს: „შუბი. დასაკეცი. გამოჭედილია 1680 წ.“ რა არის გამოჭედილი 1680 წელს, შუბი თუ ვერცხლის კიდობანი? ან იქნებ ორივე ერთად?

მეცნიერები და ლონგინოსის შუბით დაინტერესებული მკვლევარები ერთ აზრზე არიან – ლონგინოსის შუბი რომ მართლაც სომხეთში ყოფილიყო, იგი დიდი ხნის მოპარული იქნებოდა. არსებობდა შუბის რამდენიმე ასლი, რომელზეც ისევე „ნადირობდნენ“, როგორც ნამდვილ ლონგინოსის შუბზე. ყველა ასლი თავისი წინამორბედისაგან განსხვავდებოდა და იმეორებდა იმ შეცდომას, რომელიც „სომხურ შუბსაც“ ეტყობა. რაც დრო გადიოდა, ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ფინესის შუბისგან, ანუ ორიგინალისაგან.

ეჩმიაძინში დაცული შუბი რომ ნამდვილი არ არის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სომხური ეკლესია მსოფლიო ეკლესიად არ აღიარეს. ამ სტატუსს ეკლესიას მრევლის სიმრავლის მიხედვით კი არ ანიჭებენ, არამედ იმის გამო, თუ რამდენი რელიგიური, ქრისტიანული სიწმინდეა დაცული იქ. ალბათ, საეკლესიო წრეებში დიდი ხანია იციან, რომ ეს „სიწმინდე“ ყალბია და ამას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ.

### ლონგინოსის შუბი ნაპოლეონსა და ჰიტლერსაც ეპყრათ ხელთ

„სომხური“ სიწმინდის პარალელურად არსებობს მეორე „ბედის შუბიც“, თავისი ისტორიითა და მისტიკური ძალით. იგი ვენაში ჰოვბურგში ჰაბსბურგების დინასტიის კუთვნილ საგანძურში ინახება. მეცნიერები სწორედ ამ შუბს თვლიან ლონგინოსის შუბად, რომლითაც ცენტურიონმა მაცხოვარი ფერდში განგმირა.

„ევროპული ისტორიის“ მიხედვით შუბი ლონგინოსის შემდეგ რომაელ კეისარს დიოკლეტიანეს, შემდეგ კი ნათლისმცემელ კონსტანტინეს ეკუთვნოდათ. ამის შემდეგ შუბი ხელში ჩაუვარდათ ვესტგუთთა მეფეებს – აღმოსავლელ გუთებს, რომლებმაც რომი დაიპყრეს; „ბედის მომტანი“ იარაღი ფრანგების ხელში მოხვდა. მათი მეფეების ძლევამოსილებაც შუბის „დამსახურებად“ ითვლება. მისი მფლობელები იყვნენ ხლოდვიგი, დაგობერტი, პიპინ გარისტალელი, კარლოს დიდი, რომელმაც, როგორც ლეგენდები გვამცნობენ, შუბის მაგიური ძალის წყალობით შექმნა ერთ-ერთი უძლიერესი ევროპული იმპერია. ერთ-ერთი ბრძოლის დროს კარლოსმა შუბი დაკარგა. იგი 1098 წელს ანტიოქიაში გამოჩნდა. კანონიკელი ბერი რაიმუნდ აგილიერი წერს, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის დროს პროვანსელ გლეხს პეტრე ბართოლომეოს რამდენჯერმე გამოეცხადა წმინდა ანდრია, რომელმაც მას შუბის ადგილსამყოფელზე მიუთითა. წმინდანმა პეტრეს უბრძანა, რომ ჩასულიყო ტულუზელ გრაფ რაიმონდოსთან და მისთვის გადაეცა წმინდა რელიკვიის ადგილსამყოფელის შესახებ. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ბართოლომეომ მიაღწია გრაფ რაიმონდომდე და წმინდანის გამოცხადების შესახებ მოუთხრო. ასე და ამგვარად, ლონგინოსის შუბი ნაპოვნი იქნა. მისი მფლობელი ტულუზის გრაფი რაიმონდო ჯვაროსნებთან ერთად წმინდა მიწაზე წავიდა საბრძოლველად. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჯვაროსანთა წინსვლა. ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდა ურწმუნოთა ციხე-სიმაგრეები. წმინდა მიწა გათავისუფლდა ურჯულოთაგან. დაეცა თვით იერუსალიმიც.

თითქმის ორასი წელი ინახებოდა შუბი ამ ქალაქში. ევროპაში იგი XIII საუკუნის შუა წლებში დააბრუნა წმინდა ლუდოვიკომ. ამის შემდეგ მაგიურ თილისმას ევროპის თითქმის ყველა მმართველი ფლობდა. ბოლოს იგი ჰაბსბურგების ხელში აღმოჩნდა – წმინდა რომის იმპერიის იმპერატორების საკუთრება გახდა. ჰოვბურგი, რელიკვიის ადგილსამყოფელი, შუბმა მხოლოდ ორჯერ დატოვა. პირველად მაშინ, როდესაც აუსტერლიცთან ბრძოლის დროს ნაპოლეონმა ბრძანა მისთვის ყოვლისშემძლე შუბი მიეტანათ. იგი განუყრელად ატარებდა შუბს ყველგან, სანამ რუსეთში ლაშქრობისას არ დაკარგა. ამის შედეგი ყველასათვის ცნობილია: ყოვლისშემძლე ნაპოლეონმა თილისმის დაკარგვით კრახი განიცადა. მან სიცოცხლე ტყეობაში წმინდა ელენეს კუნძულზე დაასრულა.

შუბი სასწაულებრივად კვლავ ჰოვბურგში აღმოჩნდა.

იხ. მე-12 გვ.

## მსოფლიო შტრიხებში

### უსახლკარო მილიონერი

**ის ნამდვილად უსახლკარო, მიუსაფარი იყო, წლების მანძილზე ნისლიანი ალბიონის დედაქალაქის – ლონდონის ქუჩებში ცხოვრობდა, ნარჩენებით იკვებებოდა და გამწარებით იბრძოდა არსებობისათვის.**

**მისი ცხოვრება არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მას ქუჩაში შემთხვევით ქალბატონი მარგარეტ ლეინი გადააწყდა და თავისთან წაიყვანა. ამის შემდეგ უერთმანეთოდ ვეღარ სძლებდნენ. მას ტინკერს ეძახდნენ.**

**როცა მხცოვანმა ქალბატონმა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ანდერძის შედგენა ბრძანა და თავის მთავარ მემკვიდრედ ის გამოაცხადა, მალე 89 წლის ლეინი მიიცვალა და ტინკერი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი... კატა გახდა.**

**დიახ, ლაპარაკია კატაზე. ანდერძში კი ნათქვამია, რომ ტინკერი არის ქალბატონ ლეინის მთელი მოძრავი თუ უძრავი ქონების მემკვიდრე.**

**სახლი, რომელშიც ახლა ტინკერი ცხოვრობს, შეფასებულია 560 ათას გირვანქა სტერლინგად. აღარაფერს ვამბობთ ცხონებულის საბანკო ანგარიშებზე.**

**კატისათვის ნაანდერძევი ფულიდან შეიქმნა 160 ათას გირვანქიანი ფონდი ტინკერისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ანდერძის მიხედვით, თუ კატა სახლიდან გაიპარება, მაშინ ფონდი გაუქმდება. ქალბატონმა ლეინმა თავის მემკვიდრეს მზრუნველებიც დაუნიშნა – ენი და იუჯინ უიტები. თუ 21 წლის მანძილზე კატა გარდაიცვლება – მთელი ქონება მათ დარჩებათ. იქამდე კი მათ კატას ზრუნვა არ უნდა მოაკლონ, თანაც ყოველდღე გაუმასპინძლდნენ მისი საყვარელი კერძებით – უმი ვირთევზათი და რძით.**

**მილიონერი კატა ახლა მარტო როდი ცხოვრობს, მან უიტების კატების მთელი ოჯახი შეიფარა და ახლა სიამტკბილობით ცხოვრობს მათთან ერთად.**

### მოიტაცეს ჰარი პოტერი

**დიდი გამოსასყიდის მიზნით ამ დღეებში მოიტაცეს მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ნორჩი სასწაულმოქმედი ჰარი პოტერი.**

**მისი ადგილსამყოფელი განსაკუთრებით გასაიდუმლოებული იყო. ის მხოლოდ ხუთმა კაცმა იცოდა. მაგრამ სამმა 16 წლის „ბოროტმოქმედმა“ მას მაინც მიაგნო და მოიტაცა.**

**მეორე დღეს რამდენიმე ბრიტანულ გაზეთს შესთავაზეს, რადაც 50 ათას დოლარად ეყიდათ ამ საყოველთაოდ ცნობილი ნორჩი გმირის... შესახებ ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ბესტსელერის 3 თავი.**

**დიახ, ლაპარაკია ჰარი პოტერის თავგადასავალზე, ჯოანი როულინგის ახალი წიგნის შესახებ, რომელსაც ორი წელი ელიან მკითხველები და რომელიც 21 ივნისს უნდა გამოიტანონ გასაყიდად. მისი სამი თავის მოპარვა ახალგაზრდებმა სტამბიდან მოახერხეს და სენსაციას დახარბებული გაზეთების მეშვეობით ფულის შოვნა დააპირეს. მაგრამ რედაქციებმა შეგნებულობა თუ წინდახედულობა გამოიჩინეს და მტაცებლები პოლიციის ხელში აღმოჩნდნენ.**

**აღსანიშნავია, რომ ნალოდინევი წიგნის ბეჭდვის ამბავი გულდასმით იყო გასაიდუმლოებული – სტამბა აღჭურვილია უშიშროების თანამედროვე სისტემით, დედანთან ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ ხუთ კაცს, მაგრამ სანატრელი წიგნი მაინც მოიპარეს. ბაზარზე ის სავარაუდოდ 34 დოლარი ეღირება.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ლეგენდა

საქართველოს რესპუბლიკა

№ 142, ორშაბათი, 2 ივნისი, 2003 წელი.

## აშკარა-დაუჯერებელი

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

# წმინდა შუბის მაგია

მეორედ შუბი ჰოვბურგის მიღმა მეოცე საუკუნეში აღმოჩნდა. 1933 წელს გერმანიაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ადოლფ ჰიტლერმა. ამბობენ, რომ მას ძლიერ სწამდა შუბის ყოვლისშემძლეობისა და სურდა იგი ხელში ჩაეგდო. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ავსტრიის ანექსია ჰიტლერმა მხოლოდ იმის გამო მოახდინა, რომ შუბს დაპატრონებოდა. მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ლონგინოსის მაგიური შუბი ნიურნბეგში, სპეციალურ საცავში ინახებოდა. 1945 წლის გაზაფხულზე ქალაქი მოკავშირეთა ძალებმა გაათავისუფლა. ქალაქში შესულ მეშვიდე დივიზიას ამერიკელი გენერალი **პეტჩიზი** ხელმძღვანელობდა. შუბი ამერიკელთა ხელში აღმოჩნდა. გენერალ პატონის ბრძანებით, რომელიც ცნობილი მისტიკოსი იყო და რამდენიმე წელი მიუძღვნა გრაალის თასის ძებნას, მისმა ქვეშევრდომებმა შუბის ხელში ჩაგდების დრო ზუსტად დააფიქსირეს –**1945 წლის 30 აპრილი, 14 საათი და 10 წუთი.**

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ეს მისტიკური რელიქვია ამერიკელებმა კვლავ ავსტრიას დაუბრუნეს. ახლა იგი კვლავ ჰოვსბურგში ინახება და მისი ხილვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თავისი არსებობის მანძილზე შუბი ყველა უძლიერესი მმართველის საკუთრება იყო. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ უძველეს გამოჭედილ რკინის ბუნიკს ათობით სახელი შეარქვეს: „ბედის შუბი“, „ძალაუფლების შუბი“, „წმინდა შუბი“, „წმინდა მავრიკიუსის შუბი“, „ცენტურიონის შუბი“, „ლონგინოსის შუბი“ და სხვა.

### ყოვლისშემძლე შუბის ახალი ისტორია

რატომ ცდილობდნენ მსოფლიო მმართველები შუბის ხელში ჩაგდებას? პასუხი, ალბათ, ძალზე მარტივია. ქრისტეს შობამდე, როდესაც ფინესმა შუბი გამოჭედა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ მისი მფლობელი აუცილებლად გადაწყვეტდა კაცობრიობის ბედს. ამიტომაც გასაოცარი არ არის, რომ ყველა ძალაუფლების მოყვარული იბრძოლებდა მის ხელში ჩასაგდებად. საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემოდა ლეგენდები შუბის მაგიურ ძალაზე, სწორედ ამიტომაა, რომ დღესდღეობით ძალზე ძნელია არ ირწმუნო ამ რელიკვიის ყოვლისშემძლეობა, ამიტომაცაა, რომ იმ ქვეყნის ხელმძღვანელები, რომელთაც მსოფლიო ბატონობა სურთ, ცდილობენ შუბის ხელში ჩაგდებას. ცოტა ძნელი დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ ნამდვილი შუბი მშვიდობისმოყვარე და პატარა სახელმწიფო ავსტრიაში ინახებოდეს. იქაც, ალბათ, მაგიური შუბის „ორეულია“.

მკვლევარები დარწმუნებული არიან, რომ ლონგინოსის შუბი აშშ-ში ინახება. ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე ნიურნბერგიდან ამერიკელმა გენერალმა შუბი სამშობლოში გადააგზავნა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქს მისი ასლი დაუბრუნეს. თუ გადავხედავთ აშშ-ს როლს დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე, ეს ადვილი დასაჯერებელია, მაგრამ 40-50-იან წლებში? იქნებ, მაგიური შუბი გერმანელებმა ნიურნბერგიდან სხვა ძვირფასეულობასთან ერთად გაიტანეს და გადამალეს? ნიურნბერგში ინახებოდა ერთ-ერთი სიწმინდე „წმიდა მავრიკიუსის ხმალი “, ხოლო „ლონგინოსის“, ანუ „ძალაუფლების შუბსაც“ ამგვარი წარწერა ჰქონდა — „წმიდა მავრიკიუსის შუბი“. იქნებ, ამერიკელებს ხელთ სწორედ „წმიდა მავრიკიუსის ხმალი“ ჩაუვარდათ და არა შუბი? თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მოკავშირეთა ნიურნბერგში შესვლამდე ყველა ძვირფასეულობა „წმინდა შუბის რაინდთა ორდენის წევრებმა“ გაიტანეს ჰიმლერის ხელმძღვანელობით, მაშინ მათ ნამდვილად არ აერეოდათ ერთმანეთში შუბი და ხმალი. არის ვერსია, რომ შუბი ორდენის წევრებმა ასლით შეცვალეს, ნამდვილი გადამალეს და იგი მოგვიანებით, ომის დამთავრების შემდეგ ჩაუვარდათ ხელში ამერიკელებს. შეიძლება ამ ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ არენაზე აღზევება სხვა პირობებმა გამოიწვია, მაგრამ ზოგიერთი პოლიტოლოგი, მკვლევარი და ისტორიკოსი ყოველივეს მაგიური შუბის ძალას მიაწერს. მივყვეთ მოვლენებს.

გერმანიის ხელისუფლებაში მისული ჰიტლერი დიდხანს კეთილგანწყობილ პოლიტიკას ატარებდა მეზობელ სახელმწიფოებთან, ეს გაგრძელდა მანამ, სანამ გერმანიამ ავსტრია არ დაიპყრო და ხელში არ ჩაიგდო ყოვლისშემძლე მაგიური შუბი. ამის შემდეგ იწყება მესამე რაიხის აღზევება, მეზობელი სახელმწიფოებისადმი დაუფარავი მუქარა და... მეორე მსოფლიო ომი. გერმანიის მთავრობის პოლიტიკა ღია და აგრესიული გახდა.

აშშ-ც ომის შემდეგ ფრთხილად იქცეოდა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში. მაშინაც კი, როდესაც იგი ბირთვულ იარაღს ფლობდა. მისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიცვალა. თვლიან, რომ ამერიკელებს „ლონგინოსის მაგიური შუბი“ 1981-82 წლებში ჩაუვარდათ ხელში.

მაშ, სად ინახებოდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მაგიური იარაღი და როგორ მოხვდა იგი ამერიკაში?

1994 წელს მოსკოვში გამოვიდა ვალენტინ პრუსაკოვის წიგნი „ჰიტლერის ფერფლი“. ეს ნაშრომი წარმოადგენს ხელნაწერის სახით გამოშვებულ ბროშურას, რომელიც თითქოს ავტორს გაუგზავნა წყალქვეშა ნავის ყოფილმა კაპიტანმა ვილჰელმ ბარნჰარტმა. ამ ხელნაწერით ვგებულობთ მეტად უცნაურ ამბავს.

თურმე, მაგიური თილისმის ნიურნბერგიდან გატანას ხელმძღვანელობდა „წმინდა შუბის რაინდთა ორდენის“ წევრი, პოლკოვნიკი მაქსიმილიან ჰარტმანი, ძმა რაიხის პირველი მფრინავის ერიხ ჰარტმანისა.

ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ძვირფასეულობა გადამალეს ანტარქტიდაში. 1974 წელს ჰარტმანმა ჩამოაყალიბა ორდენი და მიზნად დაისახა გახლეჩილი გერმანიის გაერთიანება. მაქსიმილიანი თვლიდა, რომ გერმანიის გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, როდესაც მის ტერიტორიაზე მაგიური რელიკვია დაბრუნდებოდა. 1979 წელს მაქსიმილიანმა ორდენის სამ წევრთან ერთად ანტარქტიდაზე საიდუმლო ექსპედიცია მოაწყო, სამალავიდან გამოიტანა მაგიური შუბი და გერმანიაში ჩაიტანა. პოლკოვნიკის დღიურში დაწვრილებითაა აღწერილი ექსპედიციის მარშრუტი. მიუნხენიდან ოფიცრები თვითმფრინავ „ლიუფტგანზით“ მადრიდში ჩაფრინდნენ, შემდეგ ბრაზილიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სან-პაულუში დაეშვნენ. იქიდან კერძო კომპანიისაგან თვითმფრინავი-ამფიბია დაიქირავეს და ქვეყნის სამხრეთში პაწაწკინტელა დასახლებულ პუნქტს ბახაია-ტიტუსს ეწვივნენ. რამდენიმე დღეში გაეშურნენ ანტარქტიდისაკენ. ამფიბიით დაეშვნენ ოკეანეში. ისინი თევზსაჭერ ტრაილერ „ანელიზაზე“ გადავიდნენ, რომლითაც ყინულოვან სანაპიროებამდე მიაღწიეს. ბოლოს, შვეულმფრენით სამალავამდე ჩავიდნენ, აიღეს „ლონგინოსის შუბი“ და უკან დაბრუნდნენ. 1979 წლის ზაფხულის მიწურულს რელიგიური რელიკვია გერმანიის მიწაზე დაბრუნდა.

ამ ისტორიაში თითქმის ყველაფერი სიმართლეს შეეფერება. მკვლევარებში ეჭვს მხოლოდ შუბის გადამალვის ადგილი — ანტარქტიდა იწვევს. მკვლევარებმა არქივებისა და კერძო დეტექტივების საშუალებით ბარნჰარტის მიერ აღწერილი მარშრუტი გადაამოწმეს. არქივებით დადასტურებულია, რომ ნიურნბერგიდან ძვირფასეულობა მართლაც მესამე რეიხის ოფიცრებმა მაქსიმილიან ჰარტმანის მეთაურობით გაიტანეს. მან მართლაც ჩამოაყალიბა 1974 წელს „წმინდა შუბის რაინდთა ორდენი“. ეს ორდენი საზოგადოებრივ ორგანიზაციად ითვლება და დღემდე არსებობს. ინტერნეტში მისი „საიტიცაა“ გახსნილი. როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა 80-იანი წლების დასაწყისში დაადგინეს, ჰარტმანი და მისი სამი მეგობარი ნამდვილად ჩაფრინდნენ სან-პაულუში, ეს იყო 1979 წლის მაისში. მათ დაიქირავეს თვითმფრინავი-ამფიბია და ქალაქიდან გაფრინდნენ, მაგრამ სად იმყოფებოდნენ ისინი სამი თვის განმავლობაში, უცნობია. ჰარტმანი გერმანიაში აგვისტოში გამოჩნდა.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ წიგნში აღწერილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ მესამე რაიხის ძვირფასეულობა გადამალული იყო არა ანტარქტიდაში, არამედ ბრაზილიაში. ეს ვერსია უფრო შეესაბამება ჭეშმარიტებას, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ გერმანელი მაღალჩინოსნები ომში დამარცხების შემთხვევაში მართლაც სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე აპირებდნენ გადასვლას.

მაშ ასე, 1979 წლის აგვისტოში „მაგიური შუბი“ ევროპაში დაბრუნდა. ჰარტმანი დასანახად ვერ იტანდა ამერიკელებს და ამიტომაც იგი შუბს მათ არ გადასცემდა. იგი 1983 წელს გარდაიცვალა. რელიკვია მისი მეგობრების, ორდენის წევრების ხელში გადავიდა. არ არის გამორიცხული, რომ გერმანიის გაერთიანების იდეით შეპყრობილმა ორდენის წევრებმა თავიანთი მხსნელის სახე ამერიკელებში დაინახეს და სწორედ მათ მიჰყიდეს შუბი. არც ის ვერსიაა გამორიცხული, რომ შუბის ადგილსამყოფელის შესახებ ამერიკის სპეცსამსახურებმა შეიტყვეს და რელიკვია მოიპარეს. მათ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევისას თავად ჰარტმანის მოკვლაც კი.

ასე იყო თუ ისე, ორდენის წევრებმა თავიანთი მისია შეასრულეს — გერმანია მაინც გააერთიანეს. „მაგიური შუბი“ რომ ამერიკის კონტინენტზეა, ეს ეჭვს არ იწვევს. თუ მისტიკური სახით შევხედავთ ამ ვერსიას, ადვილად დავრწმუნდებით ამაში. ყოველივე ამაზე მეტყველებს ამერიკის სახელმწიფოს სიძლიერე, მისი „ზესახელმწიფოებრიობა“ და მსოფლიოში ლიდერობისადმი სწრაფვა. ვინ იქნება მისტიკური ძალებით „შეჯერებული“ მაგიური შუბის შემდგომი მფლობელი, ამას დრო გვიჩვენებს.

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

## თემის გაგრძელება

# ცოტა რამ კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე

ერთმა დიდმა მწერალმა თქვა, ყველაფრის მოყოლა შეიძლება, კაცს თუ მოყოლის უნარი გააჩნიაო. კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როგორც პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, ამ ნიშნით ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში. ერუდიცია, მჭევრმეტყველება, არტისტიზმი, მნიშვნელოვან დეტალებზე აქცენტის გაკეთების უნარი — აი ასეთია მისი, როგორც მთხრობელის, პორტრეტი. კარგ მთხრობელს, ცხადია, აუდიტორიაც შესაფერი უნდა ჰყოლოდა, ანუ კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდებოდა, და ისიც აუდიტორიის შემოკრებაშიც დიდ ნიჭიერებას იჩენდა ხოლმე. ეს აუდიტორია კი ძირითადად ცისკრელებისგან შედგებოდა. ბატონ კონსტანტინეს მათთან მუშაობაც უყვარდა, მოლხენაც და სუფრაზე თუ სუფრის გარეშეც საუბარიც, უფრო სწორად, ხმამაღალი საუბარი საკუთარ თავთან, განცდილის, თავს გადახდენილის მოგონება, ალბათ შეფერადებაც, მაგრამ ეს ზეპირი მოთხრობები მისი იყო, მისი პიროვნული მომხიბლაობით გაჯერებული. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ თხრობისას ტრანსშიც კი ვარდებოდა, თხრობას რომ დაასრულებდა, ერთხანს ველარც აღგვიქვამდა, ისევ იქ იყო, გამოგონილი თუ რეალურ ამბებთან და პერსონაჟებთან მარტო დარჩენილი.

ეს იყო უაღრესად საინტერესო კაცი, ახირებულიც, დინჯიც და ფიცხიც, მკაცრიც და გულთბილიც, იუმორის გრძნობით, განათლებით, შინაგანი ინტელიგენტურობით გამორჩეული. არ ვიცი, ვინ შეარქვა იმდროინდელ „ცისკარს“ კონცლაგერი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ „ლაგერის“ უფროსს დიდ პატივს სცემდნენ მაშინდელი ცისკრელები, ყოველ შემთხვევაში, ერთ ცისკრელზე, გურამ ფანჯიკიძეზე მაინც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი კონსტანტინე მისთვის უაღრესად საინტერესო და პატივსაცემი პიროვნება გახლდათ. გურამი მერეც ხშირად იხსენებდა მის ბევრ ნაამბობს, მის ხუმრობებს, ახირებულ ხასიათს, მაგალითად, ისეთი სამუშაო იარაღებისა თუ ხელსაწყოების: დანების, სასხლავების, ბარების, თოხებისა და სხვა ამგვარების კოლექციებს, ხელს რომ არასოდეს მოკიდებდა. მისი ეს თვისება გურამს „კოლხეთის ცისკარს“ ყველაზე დასამახსოვრებელ პერსონაჟს ბარნაბა საგანელიძეს აგონებდა ხოლმე.

ზოგჯერ, როცა ადამიანს იხსენებ, კალამი გაგექცევა და საკუთარ თავზე უფრო მეტს წერ, ვიდრე იმ პიროვნებაზე. არ მინდა, მეც ასე გამომივიდეს, მაგრამ პირადად ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება ისე მჭიდროდ არის ბატონ კონსტანტინესთან დაკავშირებული, რომ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ამაზე. 60-იანი წლებიდან მე უკვე ინტენსიურად ვაქვეყნებდი თარგმანებს, მაგრამ რამდენიმე მოთხრობას თუ არ ჩავთვლით, ნახევრად მხატვრული წიგნების თარგმნა მიწევდა. ეს იყო ჩემი მეუღლის შეკვეთით თარგმნილი წიგნები — პელეს, სტენლი მეტიუზის, დი სტეფანოს ბიოგრაფიები, რომლებიც თავის დროზე პოპულარობით სარგებლობდა ფეხბურთის მოყვარულებში. ამ დროს შემომთავაზა ბატონმა კონსტანტინემ მეთარგმნა საქართველოში მცხოვრები რუსი მწერლის ემანუილ ფეიგინის წიგნი „ჯარისკაცი შვილი ჯარისკაცისა“. მე, რომ იტყვიან, ხუთიანზე შევასრულე ეს დავალება და აი, ერთ მართლაც მშვენიერ დღეს ბატონმა კონსტანტინემ, რომელიც იმ დროს „ნაკადულის“ დირექტორი გახლდათ, დამიბარა და მითხრა, ძალიან მიყვარს თომას მანის რომანი „ბუდენბროკები“ და მინდა შენ თარგმნოო. „ბუდენბროკები“ სტუდენტობისას ზერელედ გვქონდა გავლილი, მაგრამ რომანის სიდიადე მაინც კარგად მქონდა გააზრებული და ამ წინადადებამ დამაფრთხო. ჩემი შიში არც დამიმალავს, მაგრამ ბატონმა კონსტანტინემ შემაგულიანა, მეც გავკადნიერდი და დავთანხმდი. ეს იყო 1966 წელს და დღემდე ამ თარიღს ჩემი ნამდვილი შემოქმედების ნიშანსვეტად ვთვლი. ეს ფაქტი მრავალჯერ მიხსენებია ჩემს ინტერვიუებში თუ ზეპირ გამოსვლებში, მრავალჯერ მითქვამს მადლობა პირადად ბატონ კონსტანტინესთვის, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, დღეს ერთხელ კიდევ გამოვხატო ჩემი მადლიერება. არ შემიძლია არ გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი: ბატონი კონსტანტინე რომ განათლებული და ნაკითხი კაცი იყო, ამაზე უხერხულიც კია ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო მისი განსაკუთრებული ინტერესი სიკვდილ-სიცოცხლის თემისადმი. შემთხვევითი არაა, რომ მისი ერთ-ერთი უძლიერესი მოთხრობაა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“. მოკლედ, ერთ ასევე მშვენიერ დღეს მან გამომიგზავნა რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი მოთხრობა, სადაც ევთანაზიის სპეციალიზებულ კლინიკა-სასტუმროში დედა-შვილის უკანასკნელი დღეები იყო აღწერილი. სამწუხაროდ, ის თარგმანი სადღაც გამებნა, თორემ დღეს უფრო აქტუალური იქნებოდა მისი გამოქვეყნება, რადგან მსოფლიოში დღეს ინტენსიურად იმართება დისკუსიები იმის თაობაზე, ზნეობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებულია თუ არა ევთანაზია, ანუ უიმედო ავადმყოფის უმტკივნეულოდ გასტუმრება საიქიოში.

ზემოთ აღწერილი ფაქტი მოწმობს, რომ ბატონ კონსტანტინეს მე, როგორც მთარგმნელი, ყოველთვის ვყავდი მხედველობის არეში, ამას ერთვოდა პიროვნული სიმპათიებიც, ახლობლობა მისი ოჯახის წევრებთან, მის მშვენიერ მეუღლესთან, ქალბატონ მერისთან, რომელიც თანატოლივით მიზიარებდა ხოლმე გულისნადებს და ბევრი რამ, რაც მკითხველისთვის ნაკლებადაა საინტერესო. ბოლოს კი ერთი რამ მინდა ვთქვა: სამწუხაროა, რომ დღეს ბევრს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, არაფერს ეუბნება კონსტანტინე ლორთქიფანიძის — მწერლის, გამომცემლის, ჩვენი უახლოესი წარსული მემატიანის სახელი.

**დალი ფანჯიკიძე.**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შემდეგ სპეციალობებზე: მუსიკისმცოდნეობა — კომპოზიცია, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, ფორტეპიანო, ორგანი, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო საკრავები (ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა, გიტარა, ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა, დასატყამი საკრავები), საორკესტრო სიმფონიური დირიჟორობა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმღებ კომისიაში. მისამართი: თბილისი, 380008, გრიბოედოვის ქუჩა № 8. ტელეფონი 99-69-92, 98-70-27.

## ნამდვილი ამბავი მოთხრობად

# ვერ გივიწყებ, ნათია!

**დღესაც მასზე ვფიქრობ. მისი ბედის თანაზიარ სხვა ბავშვებზეც. უდანაშაულო და უმანკო მსხვერპლზე; ვფიქრობ მის უძირო, ზღვისფერ თვალებში დაბუდებულ უნაპირო სევდაზე, გაუმხელელ დარდზე, ბურუსით მოცულ ფიქრსა და გაფერმკრთალებულ, უსიხარულო ბავშვობაზე**

**ის ახლა თორმეტი წლისაა. ჩვენი უნებლიე შეხვედრიდან სამი ტკივილიანი წელი გავიდა. ვერაფრით ვერ ვივიწყებ, ვერ ვივიწყებ ზამთრის იმ სუსხიან დღეს, ქარიშხალივით თავს რომ დამატყდა და მასთან ერთად უფსკრულში გადამისროლა, საიდანაც ძნელად ამოდიან.**

**ის მაშინ ანგელოზს ჰგავდა, ოღონდ უფრთოს, მხრებჩამოყრილს. იქნებ განგების ძალამ უმანკო არსებას ფრთები შეასხა და უფსკრულიდან ნაპირზე ამოიყვანა, მაშინ ხომ ისიც ბედნიერი იქნება და მეც.**

**მანამდე კი მინდა სხვებსაც მოვუთხრო ჩვენი უცნაური შეხვედრის სევდიანი ისტორია.**

**იქნებ უფრო ღრმად დავფიქრდეთ ჩვენს მომავალზე და დასკვნა ყველამ ერთად გამოვიტანოთ.**

გასული საუკუნე დღეებს ითვლიდა.

ზამთრისთვის უჩვეულო, თბილი დღეები მოულოდნელად სუსხიანმა და მოქუფრულმა დილამ შეცვალა. ცა თანდათან ტყვიისფერი ღრუბლით დაიფარა. ჯერ წვიმა დაუშვა, მერე წვრილი, სილისმაგვარი თოვლიც გაურია.

სამარშრუტო ავტობუსი ქალაქის შუაგულიდან დაიძრა და გეზი გარეუბნისკენ აიღო. მგზავრები ფიქრებში გაერთვნენ, მათ სიმყუდროვეს პატარა სალომეს ტიკტიკი არღვევდა.

— ბებო, როდის მივალთ შენთან? ნაძვის ხეს მოვრთავთ? ბევრი სათამაშო მიყიდე? მერე დედიკოსთან როდის დავბრუნდებით? — წამდაუწუმ ეკითხებოდა ძალზე მომხიბვლელ და ახალგაზრდა ბებოს პატარა შვილიშვილი.

ბოლოს დაიღალა და ჩაეძინა.

ჩემი გაჩერებაც მოვიდა. როგორც კი მანქანიდან ფეხი გადმოვდგი, სასიამოვნო განწყობა სახეში შემოყრილმა ნამქერმა სადღაც გამიფანტა.

პალტოს აწეულ საყელოში თავი უფრო ღრმად ჩავრგე და ქუჩა გადმოვჭერი.

ხუთი სრულდებოდა, თუმცა, როგორც ზამთარსა და ავყია ამინდს ჩვევია, საკმაოდ ჩამოქუფრული იყო.

ის-ის იყო, ჩემგან მარჯვნივ, გაჩერების გადახურული მოსაცდელი მოვიტოვე, თვალებში გვერდულად მოცისფრო სილუეტმა გამიელვა.

რამდენიმე ნაბიჯით უკან მივბრუნდი. ნამდვილად არ მომჩვენებია. გაჩერებაზე კაცის ჭაჭანება არ იყო, გარდა პატარა გოგონასი, რომელიც მოსაცდელის ერთი ბოლოდან მეორისაკენ ნერვული მოძრაობით მიმოდიოდა.

მივუახლოვდი და ახლოდან დავაკვირდი. ცისფერი, დათბილული ქურთუკი ეცვა, ხელში კი პატარა ცელოფანის პარკით რაღაც ეჭირა. გოგონამ თავი ასწია და ტირილისაგან დაწითლებული, მაგრამ მაინც საოცრად ლამაზი ცისფერი თვალებით შემომხედა. წუთით ასე შეყოვნდა, შემდეგ ხელში მთლად სველი, პატარა ყვავილებიანი ცხვირსახოცი მოჭმუჭნა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა.

— რა გქვია, პატარავ?— გაოგნებულმა ძლივს დავარღვიე სიჩუმე.

შეჩერდა, დაკვირვებით შემომხედა, თავით-ფეხამდე შემათვალიერა...

— ნათია, — მითხრა ცოტა დაყოვნებით.

თავზე ხელი გადავუსვი, ჩემსკენ მოვიზიდე; ისიც თითქოს მომენდო.

— ნათია! რა კარგი სახელი გრქმევია. — რამდენი წლის ხარ? — მეორე კითხვაც შევაპარე.

— ცხრის, — უფრო სხარტად მიპასუხა.

— ოო, შენ არც ისე პატარა ყოფილხარ, რომ არ გეწყინა, პატარა რომ დაგიძახე?

მთელი ამ ხნის მანძილზე თვალს არ მაშორებდა, ცრემლი კი უნებლიეთ მოგორავდა მის ფერმკრთალ ღაწვებზე. მერე თვალები ძირს დახარა და თითქოს ცრემლს გზა მიეცაო, უკვე წვრილი ნაკადულივით ჩამოეკლაკნა ლოყაზე.

გული შემეკუმშა. რაღაც ბურთი ყელში გამეჩხირა, თითქოს მახრჩობდა...

— რა გატირებს, ნათი, არ მეტყვი? ჩვენ ხომ დავმეგობრდით?

— თქვენ რომელ სახლში ცხოვრობთ? — კითხვაზე კითხვით მიპასუხა.

— აი, ამ სახლში, აგერ რომ მოჩანს, მაგრამ ცოტა ხნის წინათ გადმოვედით.

იქნებ ნათიაც ამ სახლში ცხოვრობს და ჯერაც არ ვიცნობ — გამიელვა უცებ.

— ვალოდას იცნობ? — იჭვნეულად დამაკვირდა.

— არა, არა. ვინ არის? აკი გითხარი, ცოტა ხნის წინათ გადმოვედით და ჩვენი სადარბაზოს მეზობლებსაც კარგად ვერა ვცნობ, — დიდივით გავუბი ნათიას საუბარი.

— მამაა ჩემი, — დარცხვენით ამოილუღლუღა და სველი ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა.

გულმა რეჩხი მიყო, არა, ვალოდას ნამდვილად არ ვიცნობდი, მაგრამ თითქოს მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— ააა, გამოვიცანი, მამიკო შინ არ დაგხვდა, ხომ? მოდი, ჩემთან წავიდეთ, მე შენზე ოდნავ პატარა შვილიშვილი მყავს, მასთან ითამაშებ, სახლში დიდი ბებიაც გვყავს, იცი, როგორ უყვარს პატარები? შენი გაცნობა მასაც გაუხარდება. მერე ტელეფონზე დავრეკოთ და როცა მამა მოვა, გაცუნცულდები, კარგი?

— არა, არა, მაგათთან ტელეფონი არ მუშაობს, მამა კი, ვინ იცის, როდის მოვა, შორსაა მისი სამსახური. მე ჩემი პატარა ძმის, გიორგის ნახვა მინდოდა. კარი არავინ გამიღო... გთხოვთ, არ უთხრათ მამაჩემს, ეს რომ გითხარით.

— არა, რას ამბობ, — დავამშვიდე, — მაგრამ კიდევ სცადე, იქნებ ზარი ვერ გაიგონეს.

— გაიგონებენ, თორემ, მაშინვე არ გამიღონ... — მოღუშულად ჩაილაპარაკა და ხელი ჩაიქნია.

— შენ სად ცხოვრობ, დედა სად არის? — ალერსითა და თანაგრძნობით ვკითხე ატირებულ გოგონას.

— დედა საბერძნეთშია, — სლუკუნით მიპასუხა, — იქაც ორი და მყავს სოფო და მარიამი, სამი წლის და წლინახევრის. გიორგი კი ერთი წლის ახლახან გახდა, ისეთი პუტკუნა და საყვარელია, სულ მინდა, ვეთამაშო. ახლაც სათამაშო მომქონდა მისთვის, — თქვა და ხელში პატარა ცელოფანის პარკი შეარხია, — საჩხაკუნოა, ძალიან უყვარს, რომ ვაჩხაკუნებ, სულ იცინის, პატარა კიჭები უჩანს...

რამდენი არ ვემუდარე, ვერაფრით დავიყოლიე ნათია უკან დაბრუნებაზე.

— რამდენი ხანია გლდანის სამარშრუტოს ველოდები. არ მოვა, ნეტავ? — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა შეწუხებულმა.

— გლდანში ვინ ცხოვრობს?

— გლდანში კი არა, მე ბებიასთან ვცხოვრობ ვარკეთილში, „ახმეტელიდან“ გადის ჩვენი „მარშუტკა“.

— მერედა ასე გვიან, მარტო იქ როგორ წახვალ, მე გამოგყვები, — დავამშვიდე ნათია.

— არა, რას ამბობთ, მე სულ ასე დავდივარ რამდენი ხანია, მიშვებს ბებია.

უკვე ბინდდებოდა. სამარშრუტო, როგორც იქნა, გამოჩნდა. ნათია ჩავსვი და მძღოლს ვთხოვე, ვარკეთილის სამარშრუტოში გადაესვა. მგზავრებმა რაღაცნაირი გაკვირვებით შემომხედეს, უთუოდ იფიქრეს, ასე პატარა გოგოს, თანაც ასეთ დროს მარტო როგორ უშვებსო. ნათიას მგზავრობის ღირებულება გადავუხადე და დავემშვიდობე.

იმ წუთში პირველად ვნახე გასხივოსნებული მისი ცისფერი, ზღვასავით უძირო თვალები.

გამიღიმა და ხელი დამიქნია.

ერთ ხანს გაქვავებულივით ვიდექი, თვალს არ ვაშორებდი სამარშრუტოს, რომელშიც, ისის იყო, ნათია ჩავსვი.

ქარბუქმა იმძლავრა და თითქოს მთელი ნამქერი სახეზე შემომაყარა.

არ მახსოვს, სახლში როგორ წამოვედი. თავში ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა: როგორ დავუჯერე და არ გავყევი, ხომ მშვიდობით მივა შინ? ოღონდაც კარგად იყოს და... ტელეფონი მაინც მეკითხა, ვინ მეტყვის მის ამბავს?

მას შემდეგ არა ერთი ღამე დამათენდა ნათიაზე ფიქრში.

მეზობლებისგან ბევრი რამ შევიტყვე მის შესახებ.

გაყრილ მშობლებს ახალი ოჯახები შეუქმნიათ. ნათიას დედა ახალშეუღლებულ მეუღლესთან ერთად ოჯახური პირობების გასაუმჯობესებლად ოთხი წლის წინათ საბერძნეთში წასულა. მამა კი სწორედ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მეორე ცოლის ყოფილი ქმრის ბინაში გერებთან ერთად.

ნათია თავის ნახევარ დებს მხოლოდ სურათით იცნობდა. მისთვის ერთადერთი ნათელი სხივი მისი ნახევარძმა, პატარა გიორგი იყო, რომლის ხშირად ნახვის სურვილსაც უკლავდნენ მამის ცოლი და გერები. რამდენჯერ უნახავთ მეზობლებს ატირებული ნათია, როგორ გაბრუნებულა უკან, როცა მამა შინ არ იყო და კარს არავინ უღებდა. ეტყობა, სხვის ოჯახში მეორე ცოლთან „ხიზნად“ შესულ მამასაც არ ჰქონდა დიდი უფლებები.

მალე პატარა გიორგიც გავიცანი. ჩვენგან ხელმარცხნივ ერთი სართულით დაბლა, პირველ სადარბაზოში ცხოვრობდნენ, ზიარი კედელი გვყოფდა. აივნიდან ხშირად ვეთამაშებოდი, მართლა ძალიან საყვარელი და ლამაზი ბავშვი იყო. მამასთანაც ვხედავდი შაბათ-კვირას ეზოში სასეირნოდ გამოყვანილს, დანარჩენი დღეები კი ვალოდა სახლში გვიან ბრუნდებოდა და ხშირად ძალიან ნასვამი იყო. ზმუილით დააყენებდა მანქანას ავტოფარეხში და იქიდან ძლივს გამოჰყავდათ.

თვალებით სულ ნათიას ვეძებდი. მერე კი თითქოს საერთოდ დავკარგე მასთან შეხვედრის იმედი, ბედს შევეგუე.

ერთ დღესაც საშრობში უნდა გავსულიყავი. კარი გამოვაღე და დავინახე, როგორი ჟრიამულით ჩამორბოდნენ ზედა სართულიდან ბავშვები. შევხედე და ადგილზე გავშეშდი, ისიც, თითქოს ერთ ადგილას გაიყინაო, მე შემომაჩერდა.

გონს უცებ მოვეგე და ბავშვი გულში მაგრად ჩავიკარი.

თვითონაც სიყვარულით მომეხვია.

— ნათია, მიცანი? — ვკითხე აღელვებულმა.

— დიახ, როგორ არა, გაჩერებაზე... — მეტი ვერაფერი თქვა.

— როგორა ხარ, ჩემო პატარავ, ცოტათი გაზრდილხარ, უფრო დამშვენებულხარ, ნახე შენი ძმა? დედიკოსაგან რა ისმის? — ანგარიშმიუცემლად მივაყარე... ვგრძნობდი, რომ ვცრუობდი მის წინაშე, ნათია კიდევ უფრო გამხდარი და სევდიანი მომეჩვენა.

ის კი მიღიმოდა და თვალებში შემომციცინებდა, მერე უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ლამაზმაქმანებიანი ლურჯი კაბის ღილები შეიხსნა, იქ გულისპირთან ხელები მოაფათურა და ორად მოკეცილი კონვერტი ამოიღო.

— ეს ჩემი დედიკოს წერილია, ორი კვირის წინ გამომიგზავნა, სურათიც იყო, მაგრამ მეშინია არ გამიფუჭდეს და ბალიშის ქვეშ ვინახავ, ღამით კი გულში ვიკრავ და ისე ვიძინებ. დეიდა, გთხოვთ, წაიკითხეთ, წაიკითხეთ ეს წერილი. ოღონდ ხმამაღლა. მეც მინდა, კიდევ ერთხელ მოვისმინო. სხვა რომ მიკითხავს უფრო კარგად ვიმახსოვრებ, რასაც ჩემი დედიკო მწერს, როცა მე ვკითხულობ, ზოგჯერ თვალები მიჭრელდება... უკვე ზეპირად ვიცი, გინდა ზეპირად წავიკითხო? არა, არა, თქვენ წაიკითხეთ, მე კი მოგისმენთ...

ძალიან დავიძაბე. სხვა გზა არ იყო, წერილი ხმამაღლა უნდა წამეკითხა:

„ჩემო ზღვისფერთვალება ანგელოზო, შვილო, ნათია!

ამ წერილს შორეული საბერძნეთის ქალაქ სალონიკიდან გიგზავნი. ახლა აქ ღამის ორი საათია. შენი დაიკოები კარგა ხანია, დავაძინე. შენი და ბებოს წერილი უკვე მერამდენედ წავიკითხე, ახლა კი შენთან საუბარში მინდა მთელი ღამე გავათენო. ან კი რა გამომილევს შენთან სასაუბროს, ჩემო ჭკვიანო და დინჯო გოგოვ.

იცი, როგორ მენატრები? დღისით და ღამით სულ შენზე ვფიქრობ, შენ მიდგახარ თვალწინ. სულ შენი მუდარით სავსე ცრემლიანი თვალები მელანდება: — დედიკო, მეც წამიყვანეო, — რომ მეხვეწებოდი. ვერ ვიჯერებ, ბებომ ახლა რომ სურათი გამომიგზავნა, ის პატარა, ხუთი წლის ნათია ხარ, მაშინ რომ დაგტოვე. როგორ გაზრდილხარ, დედის სიხარულო, უკვე დიდი ხარ, ალბათ, მკერდამდე მომწვდები, მე რომ ჩამოვალ, ჩემს მხრებზე მაღალი იქნები. მარტო იმაზე ფიქრი მზარავს, რომ ექვსი წლისა ბებომ სკოლაში უჩემოდ მიგიყვანა. მოგიკვდეს დედა, ვინ იცის, როგორ გატკინე გული, მაგრამ ვიცი, შენ ჭკვიანი ხარ, გაიზრდები და ჩემს სატანჯველს მიხვდები. ვიცი, რომ მაპატიებ.

ბებო მწერს, ხშირად ტირის, ნერვიულობსო. განსაკუთრებით მაშინ, როცა პატარა გიორგის ნახვა უნდა და იქიდან გაწბილებული ბრუნდებაო. გაფიცებ დედიკოს, შენს დაიკოებს, პატარა ძამიკოს, თუ ჩემი შვილი ხარ, ნუ იტირებ. მე ხომ ისედაც გულმოკლული ვარ უშენოდ და მეტად ნუ მომიკლავ გულს, გემუდარები.

სანამ არ დარწმუნდები, მამა შინაა, ისე ნუ მიხვალ. ან კი, ამხელა გზაზე მარტოკა როგორ დადიხარ, შვილო, ცალკე ამაზე ფიქრი მკლავს.

აქამდე შენს ძველ სურათთან ვიძინებდი, ახლა იმას შევცვლი, უფრო დიდი ნათია მინდა, მას ჩავიხუტებ გულში და ოთხივენი ერთად დავიძინებთ. ჩვენს სურათსაც გიგზავნი და შენც ასე მოიქეცი.

ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო, ვიცი, ძალიან გიჭირს უჩვენობა, მაგრამ ცოტა კიდევ და მერე სულ ერთად ვიქნებით. მე აქამდე ვერ ვიმუშავე, პატარების გაზრდას მოვუნდი. ამათი მამა კი იმდენს ძლივს შოულობს, მშივრები არ დავრჩეთ. ახლა სოფოს ბაღში მივიყვან. ამ პატარასთან კი შინ ავიღებ რამე სამუშაოს, რომ ბებოს ცოტაოდენი ფული მაინც გამოვუგზავნო და შენთვისაც რაღაცეები ვიყიდო.

მე რომ ჩამოვალ, შენ მხოლოდ ჩემი შვილი კი არა, ჩემი მეგობარიც გახდები. ყველაფერს მოგიყვები, რაც გადამხდა. ვიცი, რომ გამიგებ.

რაც ყველაზე მეტად მახარებს, შენი წერილებია. რა კარგად და ლამაზად წერ უკვე. ნიშნებიც კარგი გქონია. აბა, შენ იცი, ჩემო კუდრაჭა, როგორ გამახარებ. მე კი აქედან სულ შენზე ვილოცებ და მალე შენთან შეხვედრის იმედით ვიცოცხლებ.

მომიკითხე შენი კლასელები და მასწავლებლები.

კიდევ ერთხელ გემუდარები, ნულა ტირიხარ, ჩემო დიდო და ჩემო პატარავ, თორემ შენი ცრემლის ყოველი წვეთი ჩემს გულში მდუღარესავით ჩაედინება და ისედაც დამწვარ გულს უფრო მითუთქავს.

მაგრად გიკრავ გულში და ასიათასჯერ გიკოცნი მაგ ლამაზ თვალებს. შენ შემოგევლოს შენი დედიკო“.

წერილი დავკეცე და თავჩაღუნულმა ნათიას გავუწოდე. უკვე ვხედავდი, ლამაზი, ცისფერი თვალებიდან როგორ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

ვერაფრით ვანუგეშე. არ მინდოდა, ჩემი ადამიანური სისუსტით მისთვის უფრო მეტად მეტკინა გული.

ნათიამ წერილი ფრთხილად ჩაიდო უბეში. კაბის სახელოებით ცრემლი მოიწმინდა და უკანმოუხედავად სირბილით დაეშვა კიბეზე.

გარეთ, ეზოში, ბავშვების სიცილ-კისკისი ისმოდა. ნათიაც მალე შეუერთდა თანატოლების მხიარულებას.

* * *

მას შემდეგ აღარ შემხვედრია.

ერთ მშვენიერ კი არა, უზომოდ ნაღვლიან დღეს შევნიშნე, რომ ჩვენს ქვემოთ, მეორე სართულის დარაბებიც მიიხურა.

ბავშვის ჭრელი წინდა, რომელიც მჭიდროდ შემოხვეოდა აივნის რკინის მოაჯირს, მტკივნეულად მახსენებდა პატარა გიორგის გრუზა თმებს, მაყვალივით შავ თვალებსა და კოტიტა ფეფუნებს.

სათამაშო კი, ვინ იცის, ნათიას თავის ძამიკოსათვის სასოებით მირთმეული საჩხაკუნო, კარგა ხანს ეხეთქებოდა ქარისაგან აივნის კუთხეებს, თითქოს ამ ტყვეობიდან თავის დაძვრენას ლამობსო, ისე როგორც ნათია ესწრაფოდა თავის დედიკოსთან, მამასთან, პატარა დაიკოებთან და გიორგისთან შეხვედრას.

**ნუნუ კუპრეიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 142, ორშაბათი, 2 ივნისი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 2 ივნისი

07.30 ალიონი 16.30 ოქროს მართვე 17.00 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 17.15 რამპა 17.20 50 – 50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 მრავალჟამიერ 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.00 მოამბე 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი **"მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"**.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი **"რვაფეხა"** 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი **"სამნი ნავში ძაღლის გარეშე"**.

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.20 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.50 სერიალი **"მაშველები"** 19.50 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მხ. ფილმი **"ნატვრის ხე"** 22.00 სერიალი **"ჯაშუში"** 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"ნაზი სიყვარული"** 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"ანდერგრაუნდი"** 10.20 მხ.ფ. **"ამერიკის საყვარლები"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 20.00 ბურთი და მოედანი 20.30 მხ.ფ. **"მწვანე იალქნები"** 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"მთვრალი, შფოთიანი სიყვარული"** 01.30 ღამის ფილმი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59 ქრონიკა 09.00, 13.15, 17.20 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი **"იუდას ქალი"** 47-ე ს. 10.30 ლარის მახე 11.00 სერიალი **"შტოკინგერი"** მე-10 ს. 12.05 სერიალი **"სახიფათო მოსახვევები"** მე-10 ს. 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.00 სერიალი **"ეარ ამერიკა"** მე-9 ს. 15.15 ფანების კინოკლუბი **"იარაღის არჩევა"** 17.30 X-კლუზივი 18.05 სერიალი **"იუდას ქალი"** 48-ე ს. 19.30 სერიალი **"სახიფათო მოსახვევები"** 20.20 სპორტ. პროგრამა "გოლი" 20.50 დოკ. ფილმი "მეჭურჭლეთუხუცესი" 21.00 სერიალი **"ეარ ამერიკა"** 23.20 სერიალი **"გაიხსენო ყველაფერი"** 00.30 კინონოსტალგია **"ლედი ჰამილტონის სასიყვარულო ისტორიები"**

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გამ) 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" 19.00 სერიალი **"მარია ემილია"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი **"დროის მანქანა"** 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი **"ყელსაბამის ამბავი"**

12.00 ინდური მხ. ფილმი **"ღმერთმა იცის"** 15.00 მხ. ფილმი **"მის კონგენიალობა"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ქვლების მტვრეველი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"გაიცანი ჯო ბლექი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური პაუზა 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 ინდური მხ. ფილმი **"ანარეკლი"**

07.00 ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის 08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი **"მაიამის რაპსოდია"** მთ. რ-ში ანტონიო ბანდერასი 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" **"სხვისი თამაში"** მთ.რ-ში ჯონ ჰანა. 01.40 "ღამურა" **"სტიგმატა"** მთ.რ-ში პატრიცია არკეტი. 03.45 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 10.00 მხ. ფილმი **"ხელოვნური გონება"** 12.25, 15.20, 17.50 მუსიკა 12.40 მხ.სერიალი **"ფერადი ცხოვრება"** მე-2 ს. 13.45 "ოსტატები" 14.00 "ბელისიმო" ედუარდ ვიცკი. 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 მსოფლიო ფეხბურთი" 15.35 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 17.50 ლეო და გეო 18.05 სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** 18.30 მულტსერიალი "ვიზიონერები" 19.00 სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.15 სერიალი **"სირინოზები"** მე-11 ს. 22.00 "ჩემი ქვეყანა" – "დათო" 22.20 "ტელემეტრი" 22.35 მხ.ფილმი **"მანკიერი წრე"** 00.20 გადაცემა "პილოტი" 00.40 მხ. ფილმი **"ქარი ღამეში"**.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20, 10.50, 13.55 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.10 კომედია **"ჯუმანჯი"** 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 თრილერი **"ეშმაკის საკუთრება"** 14.25 მხატვრული ფილმი **"ბოშათა ბანაკი ცას მოემგზავრება"** 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი "შესანიშნავი ბარტოკი" 17.25 კომედია **"ურჩხული"** 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 დოკუმენტური ფილმი "პიკასო" 20.30 კომედია **"დიდი რბოლა"** 22.40, 02.45 მუსიკა 23.00 "ალტერნატივა" 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 მხატვრული ფილმი **"სიმპატიკო"** 03.20 დოკუმენტური ფილმი 03.50 მელოდრამა **"ლოლიტა"**

## სამშაბათი
### 3 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი **"მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"** 11.45 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 ნაშუადღევს 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი **"სიყვარულის ტყვე ქალი"** 16.50 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 17.05 შემეცნებითი ფილმი "ქვეყანა, ქვეყნები" 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "ჩვენი ფეხბურთი" 22.35 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი **"სამნი ნავში ძაღლის გარეშე"** მე-2ს.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმები 19.30 სერიალი **"რვაფეხა"** 20.30 დოკ. ფილმი 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.20 მხ. ფილმი **"კანონის მეორე მხარე"**

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.10 სერიალი **"ჯაშუში"** 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.20 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.45 დოკ. ფილმი "ბუნება" 19.15 პერეკროსტოკი 19.50 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"რელიქვია"** მთ. რ-ში: პენელონ ენ მილერი. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 ბურთი და მოედანი 10.50 მხ. ფილმი **"მწვანე იალქნები"** 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი **"მთვრალი, შფოთიანი სიყვარული"** 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. **"გამოუსწორებელი თაღლითები"** 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი **"ქალის ხვედრი"** 01.10 ღამის ფილმი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 ქრონიკა 09.00 უცერემონიოდ 09.30 სერიალი **"იუდას ქალი"** 10.30 სპ. პროგრამა "გოლი" 11.00 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" 12.05 სერიალი **"სახიფათო მოსახვევები"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 13.15, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.05 სერიალი **"ეარ ამერიკა"** 15.15 კინონოსტალგია **"აურზაური"** 17.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" მე-12ს. 18.05 სერიალი **"იუდას ქალი"** 19.30 სერიალი **"სახიფათო მოსახვევები"** 20.30 ლარის მახე 21.05 სერიალი **"ეარ ამერიკა"** 22.45 "უცერემონიოდ" 23.20 სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** 1-ლი ს. 00.30 მძაფრსიუჟეტიანი კინო **"ტურბულენტობა-2"**

